

დათო ტურაშვილი

გურჯი ხათუნი

ვუძღვნი ჩემს გურჯი-ხათუნს
და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ქალებს - ყველაზე სევდიან ემიგრანტებს დე-
დამიწაზე...

როცა უდაბნოს მზე ტუჩქისაც დაგწვავს, გზააბნეული ქარავანი დუმილით დაგდლის, ქვიშების ქარი დაგიპნელებს მოპარულ მთვარეს, მოწყურებული ოაზისი დაგხვდება მშრალი, ვეღარ იპოვნი ბავშვობაში ნაჩუქარ ვარსკვლავს, ცაზე გაქრება წაკითხული სიცოცხლის ხა-ზიც, ლურჯი თვალებიც აგევსება თეთრი ცრემლებით - მაინც არ მოკვდე:

მე გამიხსენე...

მე მოგიყვები დაკარგულ ზღაპარს ათას ერთი გრძელი ღამიდან...

აბუ ალ-ბიკა საბით იბნ აჰმად ნაფშ ად-დინ ათ-თიფლისი

(თბილისში გარზაცლილი არაბი პუგზი)

საძირკველი

ოსმალეთში მანამდეც ნამყოფი ვიყავი, მაგრამ გურჯი-ხათუნის შესახებ მხოლოდ ის ვი-ცოდი, რომ ცამეტი წლისა გაათხოვეს რუმის სულთანზე. ისიც ვიცოდი, რომ მეცამეტე საუკუნის საქართველოში, იმ ასაკის გოგონებს, დღეს რომ თინეიჯერებს უწოდებენ, ქალები ერქვათ. თუმცა, ცამეტი წლის ქართველი მზეთუნახავი, თუნდაც მეცამეტე საუკუნეში, თუნდაც სელჯუკების დედოფლობისთვის, მაინც ვერ გავიძეტე. რადგან ისიც ვიცოდი, რომ ეს ქორწინება, დედამისის, რუსუდანის სურვილი იყო, ვეღარ მოვისვენ და ოსმალეთში წავედი, სადაც ამ საქმეში სანდო კაცი - უნივერსიტეტელი გია ჯანჯღავა მეგულებოდა (საკონსულოში) და ჩემი დარღით და ბარგით პირდაპირ გიას მივადექი. ბარგი ცოტა მქონდა, დარღი - ბეგრი, მაგრამ სათქმელი ბოლომდე არც დამამთავრებინა - ისეთი რუკები და წიგნები გადმომიდო, ათი დღე სიხარულის, გაოგნებისა და აღტაცებისაგან ხმა არ ამომიღია. ეჭვი კი მქონდა, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ გია ჯანჯღავა ჩემსავით მანიაკი აღმოჩნდებოდა - ის ათი დღე სოფელ-სოფელ მატარა გურჯი-ხათუნის ნაკვალევზე და არქივებსა და მუზეუმებში ისეთ ხელნაწერებს მიაგნო, რომ ვდუმდი და ვტიროდი.

ესეც არ იკმარა და სადმე, რომელიმე ქეეყანაში თუ რომელიმე წყარო იყო გამოცემული გურჯი-ხათუნთან დაკავშირებით, გამოიწერა და თბილისში გამომიგზავნა. თბილისში მეც ვიწვალე, მაგრამ ამ წიგნის ავტორობა, ზემოთქმულის გამო, გია ჯანჯღავას უფრო ეპუოვნის.

ყოველ შემთხვევაში, მისი რჩევების, დახმარებისა და თანადგომის გარეშე, მართლაც ვერას-დროს მივაგნებდი იმ უცხოელ ავტორებს, ვინც მეცამეტე საუკუნის კონის სასულთნოს ვნებები აღწერა. სწორედ გიორგი ჯანჯღავას დახმარებით შევეცადე, შევხვედროდი ჩვენს წიგნში აღწერილი ამბების თვითმხილვებსა და მონაწილეებს. სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ ერთი მათგანი აღმოჩნდა ცოცხალი და ხშირ შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრებთან, ჩამომავლებთან და ნათესავებთან გასაუბრებას თუ ვახერხებდი. ზეპირ მოგონებებზე მეტად, ბუნებრივია, წერილობითი წყაროები მჭირდებოდა, მაგრამ იმ შვიდი საუკუნის გამო (უკვე რომ ვახსენეთ და გურჯი-ხათუნის ეპიქამდე გვაშორებს), მათი დღიდი ნაწილი გახუნდა, განადგურდა ან უბრალოდ გაქრა. ამიტომაც ცოტა ხნით შევფერხდი კიდეც, მაგრამ მერე ორ-პან პაშუკის რჩევით, ერთი პატარა უდაბნო მოვძებნე აქვე, თბილისთან და ქარის მოსმენა ვისწავლე. უდაბნოს ქარები მარტო სიტყვებს კი არა, თურმე ფრაზებს, წინადადებებს და ამ-ბებსაც კი იმახსოვრებენ და აგროვებენ. რასაც ადამიანები კარგავენ, ქარები ინახავენ და ყვებიან. მთავარია მოსმენა იცოდე; ჯერ სიჩუმის მოსმენა უნდა ისწავლო, მერე კი - ქარის. ქარმა იცის რა იყო, რა არის და რა იქნება, რადგან როცა არაფერი იყო, იყო მხოლოდ ქარი - წინ ყარაიას ველი, უკან ომარ ხაიამი და ირგვლივ უდაბნოს სიჩუმე. ვიჯექი ხოლმე და ვუს-მენდი დაკარგულ და დავიწყებულ სიტყვებს. როცა ქარები ყვებოდნენ გურჯი-ხათუნის ამბავს, მაშინ უკვე ვფიქრობდი, რომ ყოველ ჩვენთაგანსა ჰყავს თავისი გურჯი-ხათუნი, უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ქალები - ყველაზე სევდიანი ემიგრანტები დედამიწის ზურგზე, უსაშ-ველოდ რომ ენატრებათ ეს უცნაური მიწა და მაინც სჯერათ, რომ კაცები აქ ისევ იმ კაცებს ჰყვანან, წასვლამდე რომ ახსოვთ. მათ არ იციან, რომ ჩვენ შევიცვალეთ, ყველაფერი სხვას და დროს დავაბრალეთ და დავივიწყეთ, რომ სინამდვილეში დრო ერთია და სხვა დრო არც არსებობს. არც ისტორია არსებობს და ის შვიდი საუკუნეც, გურჯი-ხათუნის ეპიქას რომ გვაშორებს, უბრალოდ გაქრა. და როცა დრო და მანძილი ქრება, შეგიძლია იქ იცხოვრო, სა-დაც მოისურვებ, სადაც არასოდეს ყოფილხარ, მაგრამ შეგიძლია შვიდი საუკუნე იმ დროში გაიარო, რა დროსაც ერთი წიგნის წაკითხვას მოაწომებ დ მთავარია, არ შეგეშინდეს...

ვისაც არ ეშინია, მან ზუსტად იცის, რატომ ადარებს მილორად პავიჩი წიგნის წერას არქიტექტურას. წიგნის დაწერა მართლაც ჰყავს სახლის აშენებას და როცა უდაბნოში ჩაწერილი ზდაპრები თბილისელ მთარგმნელებს ჩამოვურიგე, დრო რომ არ დამეტარგა, საძირკველამოთხრილ მშენებლობას მივაგენი. მშენებლობას როგორ ვერ მივაგნებდი ახლანდელ თბილისში, ან დროს როგორ დავკარგავდი და იქვე, იმ ახლადდაწყებული კორპუსის მეზობელ, კარგა ხნის დამთავრებულ გოსლაბის შენობაში, მეშვიდე სართულზე, დავით საყვარელიძის მიერ რეპეტიციებისთვის ნაქირავებ თოახში, დიდ ფანჯარასთან მაგიდა მივდგი. რადგან შინაურ წერას შენდობა არა აქვს (და არც არავინ გაცლის), იქ, სარეპეტიციო თოახის დიდ ფანჯარასთან ვიჯექი და ვწერდი. ვწერდი ისე, როგორც იქვე, ჩემს თვალწინ აშენებდნენ სახლს - ჯერ საძირკველს, მერე - პირველ სართულს, მერე - მეორეს, მესამეს...

ნათარგმნი, გადმოქართულებული თუ გათანამედროვებული ტექსტებიც ამ წიგნისა, იქ, გოსლაბის შენობაში მოპენდათ ჩემს ძვირფას მევობრებს და მეც იქვე, ზოგს სართულებს შორის ვამატებდი, ზოგსაც აივნებისა და სახურავისთვის ვინახავდი. ზოგიერთი მათგანი კარფანჯრებსა და კედლების ამოყვანაში გამოვიყენე, ზოგიერთი ტექსტი კი სახლის მოპირკეთებას მოვახმარე. როცა აღმოვაჩინე, რომ სიტყვა აგურსაც ჰყავს (თუ სახლს აშენებ და წიგნს წერ), იმაზეც ვიფიქრე, თუ როგორი აგური უფრო გამოდგებოდა - ძველი ანასეული ან მარიამისეული თუ ახალი, ისეთი თანამედროვე, რომელსაც რუსთავის ცემენტიც კი ადვილად გაა-მაგრებს. თუმცა დიდხანს არ მიფიქრია, რაც კი ძველი აგური მქონდა, ლექსიკონების დახმარებით ახალზე გადავცვალე და მხოლოდ ერთი წერილი დავტოვე ისე, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია. თუმცა იმ გაახლებულ ტექსტებში, სტილისა და კულტურის, ხასიათისა და გემონების შენარჩუნებას, მაქსიმალურად შევეცადე და რა გამოვიდა, ღმერთმა იცის. ღმერთმა იციც

იცის, რა აწუხებს ხარუკი მურაკამის და მთავარი ალბათ ის არის, რომ ჩვენც გავიგოთ, ჩვენც მივხვდეთ, რატომ არ არსებობს იდეალური ტექსტი, ისევე როგორც იდეალური თავგანწირვა და ტექსტის შექმნა კი მართლაც წამებაა. სხვა თუ არაფერი ეს ხომ ნამდვილად იცის ყველამ, ვინც რამე ტექსტს ქმნის ან ტექსტის შექმნას ცდილობს. მათ შორის მეც, მაგრამ ღირს, საშინელ წამებადაც კი ღირს თუნდაც ერთი, დაკარგული ადამიანის ძებნა, როგორ ბანალურად ან პათეტიურადაც არ უნდა ჟღერდეს. მეტიც, თუ მწერალიც ვერასოდეს გახდები და მხოლოდ მედაკამის ტვირთს დაყაბულდები, მაშინაც კი, ცრემლების შეგროვებაზე უკეთესს, ვერაფერს იზამ. ამ პატარა წიგნის დაწერაც ყველაზე მეტად თათი ებრალიძის ერთმა უწყინარმა ფრაზამ გადამაწყვეტინა, მაგრამ მაშინვე მივხვდი რომ ის ფრაზა, მხოლოდ ერთი მოსმენით იყო უწყინარი და სინამდებილეში კი იმდენ ცრემლს დაიტვდა, რამდენსაც მკითხველი კითხვისას დაღვრის. და მართალიც იქნება, რადგან მნელად დასაჯერებელია, რომ ქართველ მზეთუნახავს, ცამეტი წლის თამარ რუსუდანის ასულს, შემდგომში ქვეყნიერების დედოფალს გურჯი-ხათუნს, სელჯუკეთის პრინცზე გარიგებით გათხვილს, მშობლიურ საქართველოში ერთი დიდი დარდი მაინც არ დარჩენდა. ვინ უნდა ყოფილიყო ის ქართველი ბიჭი, მხოლოდ ვარაუდით ვიცოდი და მისი მოძებნა მართლაც საკმაოდ მნელი იყო, მაგრამ სიყვარულს ერთი ლამაზი თვისებაც აქვს - იგი არასოდეს ქრება და იკარგება, შვიდი საუკუნეც რომ გავიდეს, ის მაინც არსებობს, თუ იმ შვიდი საუკუნის შემდეგაც არსებობენ ადამიანები, ვისაც სიყვარული შეუძლია...

ასტროლოგი ბიბი მუნაჯიმე

(ცნობილი მოვ ზაურისა და სპარსულებრვანი ისტორიკოსის იბნ-ბიბის დედა)

ცხელი ივლისის სწორედ იმ ღამეს, როცა ჩემი ვაჟიშვილის დაბადება ინება ღმერთმა, პირველად დავინახე კონის ცაზე ის თეთრი ვარსკვლავი, ჩვენი დედოფლის სახელი რომ ჰქვია. რადგან სულთანმაც ისურვა და მეც გულით მეწადა, გურჯი ხათუნის სადიდებლად მნათობის ქება, ჩემს აღმოჩენილ ვარსკვლავს მე ვუწოდე მისი სახელი. პირველმა ხომ დედოფალმა მითხრა, რომ უსათუოდ მე მეყოლებოდა, როგორც ვოცნებობდი, და არა ასული და რომ მის სამშობლო გურჯისტანში თურმე მუცლით წინასწარმეტყველებენ ვაჟიანობას. ნეტავ გურჯისტანის ცაზეც თუ მოჩანს ჩვენი დედოფლის ვარსკვლავი, ნეტავ იქიდანაც თუ ასე ლამაზია გურჯი-ხათუნი...

მისიონერი ჯუზეპე კარბონე

ეს ქართველი ბიჭი, რომელიც აქაური დიდგვაროვანი კაცის შვილია და რომელზეც უპევ გწერდით, ალბათ შემოდგომაზე კონისებნ გამოემგზავრება და ვრცელ ბარათსაც, ვატიგანში წარსადგენად, ამ ბიჭს გამოვატან. ახლა კი მოკლედ გეტყვით, კიდევ რა მოხდა ამ უცნაურ ქვეყანაში, სადაც მეოთხე წელია მისიას აღვასრულებ და მაინც ვერაფერი გავუგე ამ ხალხსა და აქაურ ხასიათს. ეს ბიჭიც, კარგად იცი, რომ ვერაფრით დავითნებეთ, შედგომოდა ჭეშმარიტ ღმერთს პაპის ეკლესიის ქვეშ და დაეგდო ბერძნული, მაგრამ წელიწადნახევარი სულ ამაოდ დავშვერით. ეს ბიჭი, მურზა, აღმოსავლეთიბერიელია და ისეთი გავლენიანი გვარის

შვილია, რომ დიადაც ძლიერ გვსურდა მისი მოქცევისა გამო ნამდვილს ქრისტიანობაზე, დიდი მფარველი ჰყოლოდა ჩვენს მისიონს ქართველების მიწაზე. მაგრამ ეს ბიჭი, მურზა, რომელსაც სრული სახელი მურზაყანი ჰქვია და გვარით კი ორბელიანებს ეკუთვნის, კალაბრიელივით ჯიუტი გამოდგა და ჩვენ მაინც ხომ ვიცით, როგორი მნელი გასატეხია კალაბრიული სიჯოუტე და ბოლოს ხელიც ჩავიქნიეთ. ჩვენთან კი მაინც სტუმრობდა ხოლმე, მაგრამ რელიგიის თემებზე აღარ ვსაუბრობდით, ანკი რა აზრი ჰქონდა ყმაწვილ კაცთან კამათს და მხოლოდღა მადლობას გუხდიდით ძლვენისა და უურადღებისათვის. ერთი კვირის წინ კი, სრულიად მოულოდნელად განგვიცხადა, რომ მეტად მოწადინებულია შეერთებისა დასავლეთისა და აღმოსავალეთის ეკლესიებისა და თუ ეს არ მოხდება, იგი იძულებული იქნება დაუტევოს ბერძნული მრწამსი, რომელიც ქართველების ქვეყანაში არის გაბატონებული და მზადაა აღიაროს პაპი, როგორც ქრისტეანთა მიწიერი უფალი. რა თქმა უნდა, გაგვაგირვა ქართველი ბიჭის სიტყვებმა, მაგრამ მისმა სურვილმა ჭეშმარიტი სარწმუნოების ძიებისა, დიდად გაგვახარა. ამ ამბითგან მესამე დღეს კი პირდაპირ გვითხრა, რომ გულით სწადია იმსახუროს კონიაში, ჩვენს მისიონში, რომელსაც სელჩუკთა სულთნის მფარველობა არ აკლია და სადაც თქვენ, მმაო ლუკა, თქვენის ღვაწლით აძლიერებთ ქრისტეს სავანეს. არ ვიცი, ეს ბიჭი მურზა რატომ არის მოწადინებული მაინცდამაინც რუმის სასულთნოში იმსახუროს და არც ის ვიცი, თქვენ რა გადაწყვეტილებას მიიღებთ ამასთან დაკავშირებით, მაგრამ შემოდგომაზე რომ იგი კონიას მოემგზავრება, დანამდვილებით ვიცით და აი რატომ: ქართველთა მეფის რუსუდანის ასული თამარი, რომელიც მხოლოდ ცამეტი წლისაა და ფრიად იმსახურებს ქებათა ქებას, სელჩუკთა უფლისწულზე იქორწინებს ამ შემოდგომით. ამ წერილსაც სწორედ ამ მიზნით თქვენსკენ მომავალ გორელ დიდვაჭარს, ანაკუშ მამიკუნიანს გამოვატანთ და ვილოცებთ, რომ მან, თავის პატარა ქარავანთან ერთად, მშვიდობით ჩამოაღწიოს სასულთნოს დედაქალაქამდე.

გზებზე დიდი შფოთი არ უნდა იყოს, მაგრამ ახლა ისეთი დროა, რომ ზედმეტი სიფრთხილე არავის ავნებს. დარწმუნებით ჯერ ვერაფერი მითხრა გორელმა ვაჭარმა, მაგრამ ვთხოვე, რომ თუ ბაბურთს გზად გამოივლიან, იქაურს მონასტერში თქვენთვის დატოვებული დავითის ფსალმუნთა წიგნიც კონიაში წამოვიდონ. ამ ანაკუშ მამიკუნიანს დავალებული აქვს ქართული სამეფო კარისაგან პირველი ძლვენის მირთმევა სულთანისა და ოჯახისათვის და ეგრეცვე საბოლოო პირობა-შეთანხმება ქორწინებისა. ეს ქორწინება-დამოვყრება არის უმთავრესი ამბავი, რასაც ყველანი გიამბოქნ საქართველოში და წარჩინებული თუ მდაბიო ამ გარიგებაზედ დაუსრულებლად პყვებიან კიდეც. აქ ძლიერ უყვართ ჭორი და ცილისწამება ერთმანეთსა ზედა, ვითარცა თავშესაქცევი, გასართობი რამ და ხშირად ამდაგვარადაც ხალისობენ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბოროტი ხალხია, მაგრამ საკუთარ თავს ხშირად მტრობენ და ვერ კი ხვდებიან, რომ ყველა მათი უბედურების სათავე შერია და ამპარტავნობა. შარშანაც, სააღდგომოდ, თქვენთვის რომ ტელეფის ცხვარი უნდა გამოგვეგზავნა, სწორედ მავან ქართველთა ამპარტავნობას შეეწირა ეს ჩვენი კეთილი განზრახვა - პირადად დარწმუნებულიყავით, რომ ჭეშმარიტად არსებობს იმერეთში ადგილი, რომელსაც ტელეფის ეტყვიან და იქაურს ცხვარს მართლაც არა აქვს სუნი იგი სატანური და თქვენთან მოპაექრე მამებსაც ადვილად დაუმტკიცებდით, რომ უსენო ცხვარი არათუ მხოლოდ სკოტებისა და ველშების ქვეყანაში არსებოს, არამედ ამ მშვენიერს საქართველოშიც. სხვათა შორის, ქართველებს ნათესავებადაც მოუდიან სკოტები და ველშები, ისევე როგორც ზოგიერთი ტომი ისპანიისა და თუ ვატიკანში დაინტერესდებიან და თქვენი სურვილიც იქნება, დაწვრილებით შემიძლია შემდგომ რელაციონში უტყუარი დასაბუთება ხსენებულის ნათესაობისა. ახლა კი, რადგანაც მამიკუნიანის გამყოლიც მაჩქარებს და მეც თავს შეუძლოდ ვგრძნობ, წერას აქ გავასრულებ და როგორც დაგპირდით, შემოდგომისთვის წვრილად აღვწერ ქართველთა ქვეყანასა და ხასიათს, წესებსა და ცხოვრებას ვატიკანში წარსადგენად და იმ ვრცელს მოხსენებას ამ ბიჭს მურზას, თქვენთან გამოვატან. აგრეთვე მოგითხობთ ამბავს თათართა შემოსევისა ქართველთა ქვეყანაში, რის გამოც ეს ქვეყანა ორად

გაპყვეს ურჯულოებმა, ვისი სახელიც კარგად არავინ იცის და ამერ-იმერნი იბერიელნი მათ მოისარ ტომად მოიხსენებს, რადგან ეს მომხდური ხალხი მარჯვედ ხმარობს მშვილდ-ისარს და აღმოსავლეთ საქართველო კი სრულად მოაოხრეს. დასავლეთ იბერიაში კი მეფე რუსულდნი ჯიუტად არ ისურვებს სხვათა ბატონობას თავის სამეფოსა ზედა და სხვა ქვეყანას ექვს ურჯულოთა წინააღმდეგ ზავისათვის. ვილოცებთ თქვენი და ჩვენი მშვიდობისათვის.

ისტორიკოსი კახა ბუაჩიძე

ქართული სამეფო კარის პირველი სელჩუკი (ან სელჯუკი) სიძე იყო დავუდ მოღის ედ-დინი - ვაჟი არზრუმის მფლობელის - თოლრილ შაპისა. ქართველებმა რუსულანის საქმროდ, მრავალრიცხვან კანდიდატებს შორის, სწორედ მასზე შეჩერეს არჩევანი და შირვანშაპთან მანამდე შეპირებული ნიშნობაც კი ჩაშალეს. როგორც ჩანს დავუდ მოღის ედ-დინი სიძედ ძლიერ მოეწონა სამეფო კარს და თავად მოღის ედ-დინსაც გაგიუბით შეუყვარდა მშვენიერი რუსულანი. ფაქტია, რომ ქართველი ცოლის გამო, სელჩუკმა უფლისწულმა უარყო მაპმადიანობა და 1223 წელს ისინი ქრისტიანულად შეუღლდნენ. ჯერ შეეძინათ ასული თამარი, შემდეგ კი - მე დავითი. მაგრამ მათი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა და ორი წლის შემდეგ, რუსულანის სურვილითა და ინიციატივით, სელჩუკი სიძე ტფილისის ციხეში აღმოჩნდა. 1226 წელს 9 მარტს, როცა მონღოლთაგან დევნილმა ხვარაზმელმა ჯალალედინმა საქართველოს დედაქალაქი აიღო, დაპატიმრებული მოღის ედ-დინი გაათავისუფლა და ქუთაისში გაგზავნა რუსულანთან მოსალაპარაკებლად. როგორც “ქართლის ცხოვრების” ქართველი ავტორიც აღიარებს, რუსულანი ქმარს სიძვასა და გარევნილებაში დახვდა. როგორ მოიქცა მოღის ედ-დინი გაურკვეველია, რადგან ზოგიერთი წყარო (მათ შორის ქართულიც) ადასტურებს, რომ სელჩუკმა სიძემ მაინც არ უარყო ქრისტიანობა, ზოგი წყაროს თანახმად კი პირიქით - განრისხებული მოღის ედ-დინი ისევ მაპმადიანი გახდა. თუმცა, ჯალალედინისთვის უპვე სულ ერთი იყო რელიგიური კუთვნილება - თუ დასაწყისში ტფილისის მხოლოდ ქრისტიანული მოსახლეობა ამოულიტა, ცოტა ხანში ტფილელ მაპმადიანებსაც დააყრევინა თავები და ქართველთა მაპმადიანი ყმადნაფიცებიც მიხვდნენ, რომ ეს კაცი სულაც არ იყო კავკასიაში მაპმადიანთა დასაცავად მოსული. ცოტა ხანში ქურთებმა შური იძიეს და ბასიანის მთებში მოკლეს ჯალალედინი, მაგრამ მშვიდობა საქართველოში დიდხანს მაინც არ გაგრძელებულა - რამდენიმე წელიწადში ერთხელ უკვე გამოჩენილი მონღოლები ისევ დაბრუნდნენ საქართველოში და ამჯერად უკვე დიდი ხნით. სამწუხაროდ, მეფე რუსულანი დედის, თამარისაგან განსხვავდით, ვერ აღმოჩნდა შორისმჭვრეტელი პოლიტიკოსი და ნაცვლად სელჩუკებთან მეკავშირეობისა დამპყრობელ მონღოლთა წინააღმდეგ, მონღოლები წააქეზა რუმის სასულთნოს დასარბევად. რუმის სელჩუკები, ბუნებრივია, განარისხა რუსულანის საქციელმა და სულთნის ჯარებმა საქართველოს ტერიტორიებს სამხრეთ-დასავლეთიდან შემოუტიეს. რუსულანი დედის, თამარ მეფისაგან განსხვავდით, ვერც კარგი მთავარსარდალი გამოღვა და შემოსული მეზობლების შეჩერება ვერ შეძლო. ამიტომაც ითხოვა ზავი სულთან გიას (ან ყიას) ედ-დინ ქაიქუბად (ან ქაიყუბად) პირველთან და ნათესაობა, დამოყრება და მშვიდობა შესთავაზა კონიის მბრძანებელს. სელჩუკთა სამეფო კარმა რუსულანის წინააღდება სიხარულით მიიღო, რადგან საქართველოს, როგორც უძლიერესი სახელმწიფოს მითი ჯერ კიდევ არსებობდა მთელს აღმოსავლეთში და ქართველი ქალის სილამაზე კი ცეკვით რომ არ ცვდება, დასავლეთშიც იცოდნენ. მაგრამ რუსულან მეფე დედის, თამარისაგან განსხვავდით, არც ერთგულებითა და პატიოსნებით გამოირჩოდა, როგორც წყაროებშიც ნათლად ჩანს და ნაცვლად კეთილგანწყო-

ბის ძიებისა მეზობელ ისლამურ გარემოცვაში, ისევ შორეული მექავშირის პოვნა გადაწყვიტა და უმარტივესი ჭეშმარიტება ვერ გაითვალისწინა - სხვას მაშინ სჭირდები, როცა ძლიერი ხარ და სუსტებს კი, მხოლოდ წიგნებში ეხმარებიან...

ანაკუშ მამიკუნიანი

(ალბათ რუსუდან მეფის მსტოვარი)

წიგნი თქვენგან მიწერილი უწმიდესი პაპისადმი გზად რაოდენიმეჯერ ხიფათსა და განსაცდელს სწორედ რომ სასწაულებრივ გადაურჩა. ერთხელ სწორედ რომ ღვთის წყალობა იყო, ცოცხლები რომ დავრჩით და დიდი შიში კი გამოისცადეთ. პადრი ჯუზებეს თხოვნის აღსრულება გვეწადა ბაიბურთსში გავლით და იქითგან კი სივასის გზაზედ როგორც კი გამოველით, ავაზაკნი დაგვიხთნენ ბედუინებსავით შემოსილი. გაკვირვებულმან ვიფიქრეთ, რომ აქ უდაბნოს ბედუინი საიდან სადაო და ჩვენი ეჭვიც გამართლდა. ჩვენი სამოსის გამო სულაც გლახაკნი ვეგონეთ და არც იფიქრეს ალბათ, რომ ძვირფასი რამ ძლვენი მიგვქონდა კონიაში და სადაურობის გამოკითხვა კი დაგვიწყეს. მოვახსენეთ, რომ თქუენი ყმები ვიყავით და ბეილერჯეს ვეშურებოდით ნათესავების ხილვას. შემოგბედავთ რომ თქუენი სახელის ხსენებამ ერთი ავაზაკთაგანი ძლიერ განარისხა და პირდაპირ ცოფი ჰყარა - გურჯების მეფე მოჰამედიანთ სდევნის და ავიწროებს, მოწყალე დედის სახელი სრულიად დაივიწყაო. მე ვუპასუხე, რომ გურჯების ქეყანაში მოჰამადიანები ისეთს მშვიდობასა და პატივსში სცხოვრობენ, როგორც თამარისა და დავითის ქამს და არა არს ძალა იგი ეშმაკეული, რომელიც მეფესა ჩუენსა რუსუდანს აცოუნებს დანთხევად მოჰამედიანთა სისხლისა.

- მაშ რად იღტვიან იქიდგან ალაპის ძენი! - არათუ იკითხა, კიდევ მეტის განრისხებით გვიყვირა ავაზაკთაგანმა და ჩუენ ვიფიქრეთ, რომ ეს ბედუინსავით შემოსილი აფირები ასო-ასოდ აპერტვიდნენ ჩვენს ხორცს და ჩუენ არა ვაგლას სიცოცხლეს ჩუენსას, არამედ თქვენის დიდებულების ბრძანების არაღისრულებას ვდარდობდით მწარედ. მაშინ ვიხოვე ავაზაკთ, მოეცათ უფლება ლოცვისა მოკვდინების წინ და რა მუხლი მოვიყარენით ლოცვად და მოვემზადენით სიკუიდილის მიღებისთვის, მან განრისხებულმა ავაზაკთაგან სთქუა, რომ მე არა ვპგავდი პირისახითა რომელიმე იბერიელს, არცა თუ ლაზსა. - მე ვარ ტომით სომხისა ანუ არმენისა შობილი ქართლსა შინა, ქალაქად გორსა, - ვუპასუხე ავაზაკსა და იგი აღარ იყო განრისხებული, არამედ იხარა ფრიად; იხარა, ვითარცა შეეძლო გახარება გზაზედ ჩამომდგარ ყაჩალსა იმისა ვამო, რომე ამდენ იბერიელს შორის ვიყავი მუნ ერთი მგზავრი სომხის ტომისა და ეს იყო ჭეშმარიტად ღვთის ნება და ნება თქვენის დიდებულებისა, რომელმანცა გვიხსნა მეკობრეთაგან.

ხოლო დარჩენილი გზა კონიამდე განვვლეთ მშვიდობით და უხიფათოდ ვუწიეთ სელჯუქთა სატახტოს, რომელიცა იყო მგლოვიარეთ სულთნის უდროოთ მიცვალებისა გამო. ამიტომაც ძლვენი იგი ძვირფასი, თქვენგან ბოძებული, მივართვით თქვენს მომავალს სიძეს, რომელიც სულ მაღლე ტახტზედ ავა და ეკურთხება, ხოლო შემოდგომით კი ყიას ედ-დინ ქიზურევ მეორე ქორწილს გარდიხდის.

კონიაში დია სმენიათ სიტურფე თქვენისა ასულისა და ეზომის სიხარულითა მოელიან ახალს დიოფალსა ყოვლნი პირნი ამა ქვეენისა. მართლად გითხოვობთ, სელჩუქთა ყმაწვილი მეფეცა ტურფა არს ფრიად პირისახითა, აგრევე ტანითა ალვითა და ორნითვე კი იქმნებიან ვითარცა მზე და ლომი.

ყოვლგან სადამდისცა ითქმობა სახელი და დიდებაი თქუენი, პატივითა და მადლიერობითა ხეთებოდეს მონათა და ყმათა თქუენისა დიდებულებისა და საქმესა ამას შემოწმების ესრეცა წიგნი, რომელსაცა ვსწერდე ვირე წვადი შეიწოდეს ხარავზული.

აგრეცა მსურდეს შემოგბედოთ აჯა იგი და მაღრიჯლობა, რომე არა უჯერუბდესთ დიდებულთა, რომელიცა ხშირად გეტყოდიან ჩემისა მოკვეთასა ვითარმედ სომხისა. ნუთუმცა არა სომხობაი ჩემი, თქუენი ბრძანება არა აღესრულების და წიგნი პაპისა მიმართ და ძღუენი იგი ძვირფასი, გათხებოდის საჯიჯვნათ მექობრეთა. მელექსე შოთა ბრძანებს, რომე არ საქმნელი არ იქმნებისო, მაგრა მექობრეთგან გამოხსნა არაოდეს იქმნებოდეს, ნუთუმცა არა სომეხთა მსახურება რომელთა ყოვლი გმორჩილობდეს გულითა კეთილითა.

საგაზრდლილოსა შინა მშვიდობით მოსვლისა შემდგომ აღვიწეროთ იგი ქუეჭანაი თურქთა და მანამდის კი შევსთხოვდეთ უფალსა სიცოცხლესა თქუენსა.

აბუ ალ-ბიკა საბით იბნ აჰმად ნაჯემ ად-დინ ათ თიფლისი

თიფლისი იმიტომ არის ნახსენები ჩემს სახელში, რომ ბოლოს აქ, თბილისში დავსახლდი, მაგრამ ჩენი გვარი წარმოშობით ავლანურია. მეც იქ, ჩრდილოეთ ავღანეთში დავიბადე მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, როცა ჩემი მშობლიური ხორესნი სპარსეთს ეკუთვნოდა და ლექსების წერა კი არაბულად დავიწყე და არა სპარსულად. ალბათ იმიტომ, რომ ყველანი მაშინ სპარსულად წერდნენ, ავღანელებიც კი და არაბულად წერა რაღაც რომანტიულსა და პროტესტანტულს ჰგავდა. თანაც არაბული მუჰამედის მშობლიური ენა იყო და დღემდე არაბი პოეტი მქინა. წერა კი ადრე დავიწყე - შვიდი წლისას მახსოვს, რომ უკვე ასოები გამომყავდა მამაჩემისაგან წაქეზებულს და ძალიან მიხაროდა. მამაჩემი სუფი იყო - მიმდევარი მაშინ მთელს აღმოსავლეთში სახელგანთქმული ღვთისმეტყველისა, რომელსაც ერქვა მუჰამად იბნ ჰუსაინ ალ-ხათაბი ალ-ბალხი. ამ უკნასკნელის ოჯახში კი დაიბადა სწორედ დიდი მევლანა - მსოფლიოს უდიდესი პოეტი, რომელზეც თქვენ მეკითხებით და რომლის სრული სახელიც არის მევლანა ჯელალ ად-დინ მოჰამად მევლევი ბალხი რუმი. ბალხი ერქვა იმ პატარა ქალაქს ავღანურ ხორესნში, სადაც გენიოსთან ერთად, მეზობელ სახლში 1207 წელს დავიბადე და გავიზარდე. მართალია, უკვე შვიდ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ბავშვობა მაინც კარგად მახსოვს და რაც მთავარია, მისი ბავშვობა მახსოვს ძალიან კარგად. ჩემგან განსხვავებით მან სპარსულად დაიწყო წერა და რუმის არჩევანი არავის გაუკრიტიკებია. მას რუმის სახელით იცნობს მთელი მსოფლიო და მეც ასე მოვიხსენიებ, რადგან თვითონაც ყველაზე ხშირად საკუთარი სახელის ბოლოს რუმის აწერდა. მაშინ ყველა მუსულმანი მცირე აზიას და ანატოლიას რუმის უწოდებდა, ხოლო სელჯუკთა სახელმწიფოს კი - რუმის სასულთნოს. დიდი მევლანა ბოლოს სწორედ სელჯუკთა დედაქალაქ კონიაში დასახლდა, მაგრამ ჯერ იმას მოგიყვებით, რაც მანამდე იყო. ჩვენ რომ ბალხი დავტოვეთ, უმიზეზოდ არ მომხდარა - რუმის მამაშ ქადაგებაში ხვარაზმელები გააკრიტიკა, იმათ კი დევნა დაუწყეს და რომ არ წამოვსულიყვავით, მოკლავდნენ კიდეც. განა მაშინ არ დაახრიობინა ფახრად ად-დინ რაზმა ამუდარიაში ყველა, ვინც არ მოსწონდა? განა ხვარაზმელი არ იყო ჩვენი გენიოსის სეხნია ჯელალედინი, რომ მიღეთის ხალხი მტევარში გადაჰყარა? ეგრე იყო. ცოტა არეულად ვყვები, მაგრამ შეიდასი წლის წინანდელი ამბებია და ვღელავ. ჩვენც რომ არ ამოვეხოცეთ ხვარაზმელებს, ბალხიდან წამოვედით - მექას მოვილოცებთო, მაგრამ უკან არასოდეს დავბრუნებულვართ. სხვათა

შორის, გურგენ-ხანის დროს, იქ, ჩრდილოეთ ავღანეთში, ქართველები დასახლდნენ. შარშან, ამერიკელები რომ ბომბავდნენ ავღანეთს, აქ, თბილისში ყველას ვეუბნებოდი, - ეგნი ის ქართველები არიან, ავღანელები რომ გახდნენ-მეთქი, მაგრამ მათ ვინდა უშველიდა. მოკლედ ბალხიდან ხვარაზმელებს გამოვასწარით და პირველად ნიშაპურში ჩავედით, ხაიამის ქალაქში. რომც დავრჩენილყავით, მონღოლებს მაინც ვერ გადავურჩებოდით და ნიშაპურში ორმოცნი ჩავედით - ძირითადად რუმის მამის მიმდევრები და მათი ოჯახის წევრები. იმ დროს ნიშაპურში ცხოვრობდა დიდი სუჟი პოეტი და მასწავლებლი ფარი ედ-დინ ათარი, ვისთანაც რამდენიმე დღით გავჩერდით და მას ძალიან აკვირვებდა პატარა რუმის ცოდნა და გონიერება. ისე მოეწონა მოაზროვნე ბავშვი, რომ მახსოვს თავისი საიდუმლოთა წიგნი აჩუქა მას და ამის შემდეგ ჩვენ მალე დავტოვეთ ნიშაპური. უკვე ბაღდადში ვიყავით, როცა გავიგეთ, რომ ნიშაპური მონღოლებმა დაიკავეს და პოეტი ათარი, რომელმაც პირველად უწინასწარმეტყველა დიდი გენიოსის მომავალი პატარა რუმის, წამებით მოკლეს. როცა ათარი ტყვედ ჩაიგდეს, იგი ას ოცი წლისა იყო. ერთ მონღოლს თურმე მოხუცი პოეტი შეეცოლა მოსაკლავად და ათას მონეტად გამოსყიდვა დაუპირებია, მაგრამ თვითონ ათარს გასცინებია - ერთ მონეტადაც არა ვღირვარო. ის მონღოლი კი, ამის გამო, ისე განრისხდა თურმე, რომ იქვე თავი მოჰკვეთა პოეტს. მაშინ თქვა რუმიმ ათარის შესახებ: “მან სიყვარულის შვილი ქალაქი განვლო, ჩვენ კი მხოლოდ სიყვარულის ერთი ქუჩა გავიარეთ...“

მაშინ ჩვენ უკვე ბაღდადში ვიყავით...

აბდულა ალბანი

(რუსულანის დიდოული კადანაფიცი)

ესე დაწერილი მე, უღირსმან აბდულამან ალბანმან დაგიწერე შენ მეფეთ მეფესა რუსულან მას უამსა, ოდეს გამგზავნე სამსახურად ჩილოსა, სადა დიდი მოვიჭირვე და ჭირნი ვნახენ, ვირე თუში შეიტყობდიან ჩემსა ზრახვასა და ყმადნაფიცობასა შენსა. ოდეს იცნიან ასრე, ვნახი იგი უკათესნი ცხენი თუშთა, მაგრა ვერა ვაქო ამოდ შენდა უკათუ გსურდეს ცხენი იგი მზითვად ასულისა შენისა ტურფა თამარისა. საცა შევიდი, მეტყოდიან თუში ქებასა ყაბარდოსა ცხენისა, მაგრა არაბულისა უფრორე. ამადაცა ვეჩქარენი თავრეშსა და მივნდივ ბედსა და არად ჩაგაგდენი სიმბიმილი გზათა, თუცალა გნახი მკლველი იგი მორვალი ბევრიცა მიზეზთა გარეშე. ხოლო თავრეშსა შიგან მყოფი ამის მეტსა არას გნუკევ, ისმინე ჩემი თხრობილი დია ზღაპართა შესახებ არაბულთა ცხენთა, რომელიცა არა იეფი იყვნეს, მაგრა გააოცებდეს სიძესა შენსა და სელჩუკთა კონიასა. ესე ცხენი არაბული ბედუინთა გამოზრდილნი არიან და შევით-ვატყვე მსწრაფლ იცნობიან აღმართულის კუდითა, თავითა ამაყითა, სახითა თხელითა, ცხვირითა ლამაზითა. ხოლო ჯაბანსა ცხენსა შორის არაბულთა, ვერა შეხვდებიან ძე ხორციელთა. არამედ არიან მკვირცხლნი, გამდლენი, ამტანნი და ომსა შინა უკეთესი და საკვირველი ფრიად საცემრელად წრვილნი კისერნი მათნი უფრორე თეთრისა ფერისა. ამადაც გეაჯები მუხლმოყრითა, რომე ასულისა შენისა ტურფასა თამარისათვის ვერა ისურვო მზითვი მეტადრე ძვირფასნი ამისა. ეგრეთვეცა მქონდეს აჯა ისმინო ანბაგი სალუკთა, რომელნი არიან ერთადერთნი რიგნი ძალლთა არა უწმინდურისა მოპამადის მილეთსა და რომელსა ეტყვიან სპარსულსა. რადგანცა მოციქულმან მოპამად დასწყველნა ძალლნი, ვითა უწმინდური არსება იგი, თათარნი ეკრძალვიან მათთა ყოლასა, მაგრა სალუკსა, რომელი იყვნეს ჭეშმარიტად წარმტაცნი, აქებდეს და ადიდებდეს ყოველი მოპამედიანნი. სახლსა შინა როს პური სჭამონ, ჯერეთ კაცი დასხოენ, კვლავ ძალლნი სალუკსი, მერმე კი ცოლნი და სხვანი. ესრეთ პატივსა

შიგან იყვნეს ძაღლნი სპარსთა, რომელ იწოდებოდეს სალუკ. რადგანცა მომავალი სიძე შენი ქაიხუსრევ მოჰამედიანი იყვნეს სულთანი სელჩუკთა, დიდად გაიხარებდეს ძღვენსა სალუკთა, გარნა ცხენთა არაბულთასა. ორნივ ერთად კი, სალუკნი სპარსულნი და ცხენნი არაბულნი, დია იქნებოდეს მისთვის ძღუნი უძვირფასესნი.

ამადაც გევჯები თანხმობასა მეფეთ მეფესა რუსუდანსა უღირსი მონა შენი, თავრუესა მდგომი ამჟამადაც მომლოდინე შენისა ბრძანებასა.

ფატიმა ბინთი ნასრედინი (ხოჯა, ივივე მოღა ნასრედინის შვილიშვილი)

პაპაჩემის, ხოჯა ნასრედინის შესახებ წიგნის დაწერა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ არა მხოლოდ მთელს ანატოლიაში, არამედ მთელს ისლამურ სამყაროში და ურჯულოთა ქვეყნებშიც კი, უამრავი ჭორი და ტყუილი გავრცელდა მისი ცხოვრების შესახებ. იგი სიცოცხლეშივე იყო იმდენად პოპულარული, ძვირფასი და საყვარელი ყველასათვის რომ ყველა ფრაზასა თუ ამბავს, რაც ადამიანებს მოსწონდათ, პაპაჩემის მიაწერდნენ ხოლმე. დედისაგან მსმენია და ხშირად თვითონაც გაკვირვებული ყოფილა, რადგან ზოგჯერ იმასაც “აბრალებდნენ”, რაც არასოდეს უთქვამს და არასოდეს ჩაუდენია. მიუხედავად იმისა, რომ პაპას ბევრი ლამაზი ისტორია და გამონათქვამი “დაბრალდა”, მაინც მირჩევნია, რომ ხალხმა იცოდეს მხოლოდ სიმართლე, იცოდეს ის, რაც სინამდვილეში იყო; იცოდეს ის, თუ სინამდვილეში როგორი იყო პაპაჩემი ხოჯა ნასრედინი - ამით მის სახელსა და დიდებას არაუერი დააკლდება. ხალხსაც იგი ისეთი უყვარდა და უყვარს, როგორიც სინამდვილეში იყო - უბრალო და კეთილი, ბრძენი და მოწყალე, ნიჭიერი და მოსიყვარულე. და რაც მთავარია, თავისუფალი, ისეთი თავისუფალი, როგორც არავინ მის გარშემო, სადაც მისი ხუმრობა და სილალე იყო ადამიანთა სულისა და გონების საზრდო. ასეთად გაიცნო პაპაჩემი ჯერ მცირე აზიამ, მერე ოტომანთა მთელმა ქვეყნამ და მერე მსოფლიომ. რუმის სასულთნოში პირველად პაპაჩემის შესახებ 1236 წელს ალაპარაკდნენ, როცა იგი კეიისარიაში ჩავიდა ქორწილზე დასასწრებად სრულიად დაუპატიჟებლად. თვრამეტი წლის სოფლელ, მაშინ ყველასათვის უცნობ ბიჭს, ბუნებრივია, სულთნის ქორწილზე არავინ დაპატიჟებდა, მაგრამ თურმე მთელს ანატოლიაში იმდენს ლაპარაკობდნენ სულთან ქაიხუსრევის მომავალ, მზეთუნახავ ცოლზე, რომ ახალგაზრდა პაპის გულმა ვეღარ გაუმლო და კეიისარიაში ჯორით წავიდა, რათა საკუთარი თვალით ენახა ცამეტი წლის პრინცესა გურჯისტანიდან, რომლის მსგავსი თურმე არც მანამდე შობილა და არც მერე. სელჯუკებს სატახტო ქალაქი კონიაში ჰქონდათ, მაგრამ ქორწილი რატომლაც კეიისარიაში გამართეს და პაპაჩემის რომ თავისი ჯორით ჩაუღეწევია იქ, დიდი წვეულება უკვე დაწყებული ყოფილა. მაგრამ პაპა ნასრედინი არ დაბრუელა და იმდენი მოუხერხებია, რომ ხელმწიფელებოფალთან ყველაზე ახლოს მოკალათებულა. მასპინძლებს ალბათ პატარძლის ამალიდან ეგონათ ეს უცხო კაცი და იბერიელ პატარძალს კი სულთნის საპატიო სტუმარი. პირველი ფლავი რომ მოუმთავრებდა პაპას და სული მოუთქვამს, პირველი ხუმრობაც მოუსწოდა. სულთანს ისე გულიანად გასცინებია, რომ მერე პაპაჩემი აღარც გაჩერებულა და მეორე დღეს კი კეიისარიაში და მთელს სასულთნოში, სადაც ქართველი მზეთუნახავის სიტურფეს ახსენებდნენ, იქვე იმასაც ამატებდნენ, თურმე ქორწილში ვიღაც ხორთუელი ყმაწვილი კაცი ყოფილა და ისე მოალხინა ნადიმი, რომ თვითონ სულთანი ეხვეწებოდა იმ ნასრედინს, გაჩერდი, თორემ სტუმრები სიცილისგან დამეხრჩობდიან და ქორწილი ჩამეშლებაო. სულთანმა მაშინ გამოჰკითხა პაპას, ვინ იყო და საიდან. მერე თავისი პირადი სალაროდან

მისცა სწავლის ფული ჯილდოდ და აქშეპირში გაისტუმრა. პაპაჩემბა მაშინ აქშეპირში ისწავლა აღაპის კანონები და ყადი გახდა. მერე ფილოსოფიაც ისწავლა და მოსამართლის გარდა ქათიბადაც მუშაობდა სირვიზისარში. სირვიზისართან იყო ის სოფელი ხორთუ, სადაც სინამდვილეში დაიბადა, მაგრამ ისტორიკოსები მაინც ყველგან წერენ, რომ აქშეპირი მისი მშობლიური ქალაქია. სინამდვილეში კი იგი ხორთუშია დაბადებული და არა სივრაში. სივრა ხომ ანგორასთან არის ახლოს და ეს ვერსიაც აღბათ ამიტომ განწდა. თუმცა, ნასრედინის დაბადების ადგილი იმდენად საკამათო არ არის, როგორც გარდაცვალებისა და დაკრძალვისა. ჩვენი წიგნის შემდეგ თავსაც გარდაცვალების ვერსიებით დავიწყებთ.

ჟამთააღმწერელი (“ქართლის ცხოვრება”)

ამათ ჟამთა შინა მოეყვანა მეფესა რუსუდანს ტოლრილის შვილი მძევლად ერთგულობისათვის, რომელ იყო ქმნულ კეთილი და სრული ასაკითა, შუენიერი გუამითა, მხნე და ძლიერი ძალითა და რუსუდან ინგა ქმარად მიყვანება მისი, რომელი აღასრულაცა. და იქორწილა ტოლრილის შვილი, რომლისგან იშვა ასული სიტურფე-აღმატებული და უწოდა სახელი სანატრელისა დედისა მათისა თამარ. და კუალად მიუდგა და შვა ძე და უწოდა სახელი დავით, და კუალად ზრდიდა ძმისწულსა მისსა, ძესა ლაშა-გიორგისსა დავითს. ხოლო ვითარ აღიზარდა ასული მათი თამარ, ესმა საბერძნეთისა სულტანსა, ძესა ნუქარდინისსა, ყიასედინს, ქმნულ-კეთილობა მეფის ასულისა, ევედრა მრავალთა ნიჭთა და ძლუენთა მიერ, მისცეს ცოლად ასული მისი თამარ და აღუთქუა ფიცით არა დატევება სჯულისა ქრისტიანეთასა, რომელ ისმინა მეფემან რუსუდან და მისცა ასული მისი სულტანსა ყიასედინს, რომელი-ესე უჯერო იყო ქრისტიანეთა მიერ. ხოლო დიდითა დიდებითა მისცა აწყუერი ზიოვად. და განემართნა ამალითა დიდითა სიტურფე-აღმატებული თამარ სულთნისა ყიასედინ ქაიხუსრევის კარზე და იქორწინა თამარ ყიასედინი იგი სულთანი კონიისა. და თანა წარიყვანა მაყრად თამარ მმა თავისი დავით, რომელი უკუიქა უკანვე ქართლსა შემდგომად ქორწილისა. ხოლო ზოგიერთი ქართველი არღარა დაბრუნდეს რუმითგან, არამედ იხარებდეს თრიაქითა მრავლოთა გულსა დათუთქულსა სიმუხთლისაგან საწუთორისა. ხოლო მო-რა-იქცეს თათარნი ხუარაზმელთა დევნისაგან, მიერ წარვიდეს და მოაოხრეს ქუეყანა ხლათისა ვალაშკერგისა. და ვერ წინააღუდგა სულტანი ხლათისა, არამედ გამაგრდა ქალაქსა შინა. ხოლო თათარნი წარვიდეს ადარბადაგანს, და ზავნი იქნეს თავრეულთა შორის და თათართა და აღიღეს თავრეული და მიმდგომი მისი ქუეყანა. და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განბას და მუდანს და მუნ იწყეს რბევად და ოხრებად საქართველოსა...

ქალბატონი სამირა სინჯიკაშვილი (ქაიროს უნივერსიტეტის პროფესორი)

ბატონ გიორგისაც მივწერე და იმედია, თქვენც არ მიწყენთ, რომ საერთოდ არ ვიცი ქართული ენა და ჩვენი ქართული გვარი და წარმომავლობაც ერთადერთია, რაც საქართველოსთან გვაკვშირებს. თუმცა, ქართულ გვარს არათუ ჩვენი ოჯახის წევრები, ჩვენი წინაპრებიც არ ატარებენ

უკვე რამდენი საუკუნეა და ძალიან გამიკვირდა თუ როგორ მომაგნო ბატონმა ჯანჯლავამ. ვიცოდი, რომ გაგიხარდებოდათ და ჩემს წერილსაც ამიტომ მოვაწერე ჩვენი უძველესი, ქართული გვარი. თქვენს კველა შეკითხვას ვერ ვუპასუხებ, რა თქმა უნდა, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რაც თქვენ გაინტერესებთ და რაც ვიცი, სიამოვნებით დაგეხმარებით. რაც ვიცი, ეს არის ჩვენი საოჯახო ისტორია, რომელსაც ჩემი წინაპრები თაობიდან თაობას გადასცემდნენ და შვილები შვილიშვილებს უყვებიან უკვე მერამდენ საუკუნეა. მეც ამ გზით ვიცი ჩემი შორეული წინაპრის - ეგვაძტის მამლუქი ბეგის, იბრაჰიმ ბეგ აღ-ქაბირისა და დიდი ქალბატონის - გურჯი-ხათუნის ურთიერთობის აბავი, რომელიც ურუმთა დედოფალი იყო. ალექსანდრის ნაციონალურ მუზეუმში ამჟამადაც ინახება გურჯი-ხათუნის მიერ საპასუხოდ გაგზავნილი წერილი ჩემი სახელოვანი წინაპრისადმი, სადაც დიდი ქალბატონი თავაზიან უარს უუბნება დახმარებაზე იბრაჰიმ ბეგ აღ-ქაბირს, ანუ ჩემს წინაპარს - ეგვიპტის მმართველ იბრაჰიმ შინჯიკაშვილს. იბრაჰიმ ბეგის წერილი არ შემონახულა, ან შეიძლება იყოს სადმე, თურქეთის რომელიმე მუზეუმში, რადგან ოსმალების საყვარელი საქმეა წერილების და ყოველგვარი დავორების შენახვა. რაც შეეხება გურჯი-ხათუნის საპასუხო წერილს, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი არაერთხელ და გადმოცემით კი ისიც ვიცი, თუ რა დახმარებას სთავაზობდა ჩემი წინაპარი სელჯუქების ქართველ დედოფალს. ჯერ იმას მოგახსენებთ, რომ იბრაჰიმ უგვიპტის ბეგი იმავდროულად იყო უფლებამოსილი, დაენიშნა ამირ აღ-ჰაჯი, ანუ წინამდლოლი პილიგრიმთა ქარავნისა მექაში, რაც უდიდეს პატივად ითვლებოდა მთელს ისლამურ სამყაროში. როგორც ჩანს, იბრაჰიმი იყო მართლაც ძლიერი შმართველი და მან იცოდა კონიის სამეფო კარზე დატრიალებული ტრაგედიების შესახებ. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მისწერა მან წერილი გურჯი-ხათუნს და, ახლა რომ ვაბბოთ ხოლმე, დეპრესაში მყოფ დედოფალს შესთავაზა დახმარება მექაში გასამგზავრებლად. იბრაჰიმის მიერ დანიშნული ამირ აღ-ჰაჯი იქნებოდა პირადად პასუხისმგებელი გურჯი-ხათუნის უსაფრთხო მგზავრობისა კონიიდან პიჯაზის წმინდა მიწაზე. მაგრამ დედოფალმა თავაზიანი უარი თქვა დახმარებაზე და მოუხედავად იმისა, რომ წერილში არ არის მითითებული მიზეზი უარისა, ჩემთვის ცნობილია, რომ გურჯი-ხათუნმა სიცოცხლის ბოლოს ისევ მიიღო ქრისტეს რჯული და ქართული ეკლესიაც კი ააშენა კაპადოკიაში. ისიც ცნობილია, რომ სინამდვილეში იგი მუსულმანი არასოდეს გამხდარა, მაგრამ იყო წევრი სუფიური ორდენისა, რომელიც კონიაში დაარსდა მსოფლიოს უდიდესი პოეტის მევლანა ჯალალ დე-დინ რუმის მიერ, სადაც ერთიანდებოდნენ, როგორც ქრისტიანები, ასევე მუსლიმანები, წარმართები და იუდე-ველებიც კი.

თუ ჩემი პასუხი და განმარტება არასაკმარისი იქნება თქვენთვის, მზად ვარ კვლავ გიპასუხოთ და გემსახუროთ, როგორც ეს შემიძლია და გთხოვთ, აღარ იფიქროთ, რომ თქვენი შეკითხვებით მაწუხებთ.

აბუ აღ-ბიკა საბით იბნ აჰმად ნაჯი ად-დინ ათ თიფლისი

ბაღდადში ნიშაპურიდან მოგედით ორმოცნი, როგორც მაშინ, სადაც შეგვითარა შეჟაბედ-დინ სუპრევერდის მედრესებმ. თვითონ სუფი შეიხი იყო ჩვენი მასპინძელი. მგონი საადი შირაზელიც მაშინ იქ იყო, როგორც შეიხის მსმენელი. ზუსტად არ მახსოვს, რადგან აკი გთხარით, რომ შეიდასი წლის წინანდელ ამბებს გიყვებით და ყველაფერი კარგად არც მახსოვს. მახსოვს, რომ ბაღდადიდან მექასაკენ მიმავალ გზაზე ბეღუინები შეგვხვდნენ. უფრო სწორად ბედუინებივით ჩატმულ ყაჩაღებს უფრო პგავდნენ და სადაც ჩვენი ქარავანი დადგა დამის სათევად, ისინიც იქ ჩამოსხდნენ. ცეცხლთან ვახშამზე საუბარიც მახსოვს და ბეღუინებმა თქვეს, ყაჩაღები არ გეგონოთ, პაჯი უნდა აღვასრულოთ. ჩვენი შიში ნუ გექნებათ, არაფერს გავნებთ, ან კი რა უნდა წაგართვათ, ეგრევე გეტყობათ, რომ წიგნების მეტი არაფერი გაგაჩია-

თო. წიგნები კი არა, ერთხელ სივასთან სომხის ქარავანს გადავეყარეთ ოქრო-მარგალიტით დატვირთულს და ისინიც უვნებლად გავუშვით - გურჯები გამოდგნენო. მერე ჩვენს ქარავანს ჰქითხეს, ვინა ხართ, საიდან მოღიხართ და საით მიღიხართო. რუმის მამამ უთხრა - ღმერთი-საგან მოვდივართ და ისევ ღმერთთან ვბრუნდებით, ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვერც თქვენ და ვერც სხვა, ამ გზიდან ვერ გადაგვაზვევინებსო. ბედუინებს ცეცხლის აღზე გაკვირვებული თვალები კი ჰქინდათ, მაგრამ აღარაფერი უკითხავთ და დილით მექასაკენ გზა გავაგრძელეთ. უფროსებს მედინაში წმინდა საფლავების მოლოცვაც სურდათ, რადგან რუმისა და მამამისის გვარი უძველესი იყო და აბუ ბაქრის ჩამომავლებს ეკუთვნოდათ კიდეც დიდი წინაპრის სამარ-ხის ნახვა. აბუ ბაქრის საფლავი იქვე არის მუპამედის საფლავთან მასჯიდან-აბიში, წინასწარ-მეტყველის მეჩეთში. ის არის პირველი მეჩეთი მედინაში, იქვე, მუპამედის სახლთან. აბუ ბაქ-რის გვერდით დაკრძალულნი არიან სხვა ხალიფებიც - ომარი და ოსმანი. სხვათა შორის, ომარის გვერდით არის დამარხული ერაყის უდიდესი და უძლიერესი მმართველი სადამ ჰუსეი-ნამდე, დაუდ-ფაშა, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო, გვარად მანველაშვილი, ქვემო ქარ-თლიდან. თქვენ არა ხართ მუსულმანები და ამიტომაც არ იცით, რამხელა პატივია დაუდ-ფა-შასთვის მუპამედის საფლავიდან რამდენიმე ნაბიჯში დაკრძალვა. მაგრამ ჩვენ მაშინ ჯერ მექა მოვილოცეთ და ჰაჯი აღვასრულეთ. მექა ალბათ იცით, რომ მუპამედის სამშობლოა, სადაც მდებარეობს მთავარი მეჩეთი მასჯიდ ალ-ჰარამი და ქაბას ჭაბარი. თუ თქვენ ეს დაგაინტერე-სებთ, გეტყვით თუ რატომ მიდიან მუსულმანები მექაში სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ. იმი-ტომ, რომ ყურანი განსაზღვრავს ისლამის ხუთ მთავარ პრინციპს: ერთი ღმერთის აღიარებას, ლოცვას, სხვების დახმარებას, მარხვას და ჰაჯის. ჰაჯი კი არის მექას მოლოცვა და მთავარი სიწმინდის ქაბას ლოცვით შეხება. იქ არის შავი ქვა, რომელიც ციდან ჩამოვარდა ედემის ბალში და რომელზეც გეოლოგები ამბობენ, რომ მეტეორიტია და ატყუებენ ქრისტიანებს. თქვენ ხომ გეოლოგი არა ხართ, გეტყობათ, რომ არა ხართ და ადვილად მიხვდებით, რატომ აცვია ყველას ერთნაირად თეთრი სამოსი მექაში. მაშინ ჩვენც თეთრად შევიმოსეთ და ყველა აუცილებელი რიტუალიც შევასრულეთ. მერე მედინაში წავედით, იქიდან კი იერუსალიმში. იქ პირველად ვნახე ქართველები, ქართული დროშებით იერუსალიმის კარიბჭესთან. როგორი დროშები ჰქინდათ? ძალიან ლამაზი. თქვენ გინდათ, რომ ზეიდი საუკუნის წინანდელ ამბავს კვევები და ყველა დეტალი კარგად არც მახსოვს. თან მაშინ პატარა ვიყავი, მაიც ბავშვი. ლამაზი რომ იყო ქართული დროშა, მახსოვს. ამაყად რომ ეჭირათ ქართველებს თავიანთი დროშები, ესეც მახსოვს. იქნებ გავიხსენო? ვერ ვიხსენებ და რა ვქნა. თქვენ ხომ ქართველი ხართ, თქვენ უკეთ არ უნდა იცოდეთ თქვენი დროშის ამბავი? ჰქითხეთ თქვენს მეცნიერ-ისტორიკოსებს და ისინი გეტყვიან. იმათაც არ იციან? გამაგიუებთ რაღა - იმათ თუ არ იციან, მე საიდან უნდა ვიცოდე, არაბი პოეტი ვარ ავღანეთში დაბადებული, თბილისში მერე გადმოვსახლდი, გვიან. თუ დამაცდით, მაგასაც მოგიყვებით. სად გავჩერდი? იერუსალიმში.

ბიბი მუნაჯიმე

მე ვკითხე მას, მორცხვად, თავდახრით მჯდომარეს ოთახში, როცა ფრთხილად დავაგა-კუნე და შესვლის ნებართვა მივიღე, რად იყო ასე მოწყენით - ის ხომ ქვეყნიერების დედოფა-ლი ხდებოდა გამთენისას, როცა სულთანი თავად ინგებდა მობრძანებას მასთან და ხვალიდან კი იგი იქნებოდა იმ სასახლის მბრძანებელი, რომლის დედოფლობაზეც ყოველი ქალი ოცნე-

ბობდა და ოცნებობს. მან მხოლოდ დიდრონი, ზღვასავით სეკდიანი თვალებით გამიღიმა და ჩუმალ, ძლივს გასაგონად თქვა: - დედა მომენატრა...

მე გამეცინა და გამახსენდა, რომ ის მხოლოდ ცამეტი წლისა იყო, ჯერ ისევ ბავშვი და მაშინ დავპირდი, რომ აუცილებლად აღმოგაჩნდი უწობ ვარსკვლავს და აუცილებლად და-ვარქმევდი მის სახელს. ახლა მასაც გაეღიმა და ის წიგნი გადაშალა, რომელიც ოთახში შეს-ვლისთანავე შევნიშნე მის კალთაში და მე ლოცვანი მეგონა:

- ეს წიგნიც ვარსკვლავებზეა, - მითხრა მან და წამოდგა - სიყვარულზე და ვარსკვლა-ვებზე, ამ მგოსნის ბედი კი არავინ იცის...

- სამწუხაროა, რომ ქართულად არ ვკითხულობ, - ვთქვი და გამახსენდა, რომ მევლანას-თან რამდენიმე წლის წინ ვიღაც ქართველი პოეტი სტუმრობდა, დევნილი პოეტი...

- მე გითარგმნით ხოლმე ამ წიგნიდან ჩემს საყვარელ ლექსებს, - თქვა მან და ახლა აღარ ჰგავდა ბავშვს, ჰგავდა ქალს, რომელსაც სადღაც ვიღაცა ელის.

- ბედნიერი ვიქენები, - ვუთხარი და ვაკოცე - მინდა რომ შენც ბედნიერი იყო, ისეთი ბედნიერი, როგორი ლამაზიც ხარ...

ის მართლაც საოცრად ლამაზი იყო...

რეზე აპმედ ბათური (ერთი შეხედვით ალბათ ბეჭუინი)

ამ ქართველების ქვეყანაში ბევრი ტყეა და ცოტა ქალაქები. ამიტომაც ცხენები კი უყ-ვართ, მაგრამ არა ჩვენსავით - ჩვენ უდაბნოს შეიღები ვართ და ცხენები ჩვენი სახლებია, ჩვენი ოჯახებია, ჩვენი ომია და ჩვენი მშვიდობა. ამ ქართველებს კი მშვიდობა იმისთვის სჭირდებათ, რომ მიწა მოხნან და პური და ვაზი დასთესონ. მერე ხეების ჩრდილში დასხლნენ, ღვინო დალიონ და იმღერონ. ჩრდილს რატომ ეტანებიან, არ ვიცი, მათი მზე ხომ სულაც არ ჰგავს ჩვენსას - ჩვენი მზე ხომ გავარვარებული მნათობია, უდაბნოს რომ აშრობს, მათთან კი მხოლოდ თბილა. არც კი ვიცი, ღირს თუ არა ამ იბერიელების დაპყრობა, თვითონ კი ჰერი-ათ, რომ მდიდარი ქვეყანა აქვთ და იმასაც ამბობენ, რომ მათს მთებში მდინარეებს ოქრო მოჰკ-ყვება, მაგრამ მათ ხელში ოქრო მე არ დამინახავს და თოხი და წვადის შამფური კი ძალიან ხშირად. ეს ქართველები არცა ვაჭრობენ და ამა საქმისათვის ჰყავთ დასახლებული აქ ჰერია-თა ტომი, რომელნიც ნაბუქოლონოსორს გამოექცნენ იუდეადან. იმერეთში, რომელიც საქარ-თველოს დასავლეთ მხარეშია, გავიცანი მუნასიბი, ვინმე ღოღობერიძე, რომელსაც თმები არა-ბული ცხენის ფაფარივით აქვს და ამიტომაც ერთი აქაური დიდებული გაჩეჩილას ეძახის ამ მუნასიბს, რომელსაც სინამდვილეში გიორგი ჰქვია. ქართველების ქვეყანაში საერთოდ ბევრი გიორგია, მაგრამ ამ გიორგიმ თქვა, ერთი მთა ვიცი სამეგრელოს ზევით, მთლიანად ოქროსი, წავიდეთ, მივაგნოთ, ცოტ-ცოტა მოვტეხოთ და წამოვიღოთ. აქაური ბავშვები გიუდებიან ამ მუნასიბზე და ვენახშიც კი იმის სიმღერებსა ღიღინებენ, მაგრამ მაინც წავყვები და საკუთარის თვალით ვნახავ, თუ მართლა არის სვანეთ-ში ოქროს მთა და ამან თუ მართლა იცის იქ მისასვლელი გზა და მერე დანამ-დვილებით გეტყვით, ღირს თუ არა ამ ქვეყნის დალაშქრა.

უკ დე ვიტრი
(აკრას ეპისკოპოსი)

ადრე გწერდით, რომ ლაშა-გიორგის მეფობისას იბერიელები შემოდიოდნენ წმინდა ქალაქ იერუსალიმში გამლილი დროშებით და არავის უხდიდნენ ხარკს. სარკინოზები ვერ ბედავენ მათს შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ, შეუძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარგო-ნოზებზე, მაგრამ ახლა სარკინოზები ძლიერ განრისხებული არიან რუსუდანის გამო, რომელიც გამეფდა თავისი ძმის, ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდგომ. მეფე ლაშა-გიორგი მიიღვალა მოულოდნელად და ისე, რომ თანამეცხედრე არა ჰყოლია, მაგრამ ჰყავდა ძე, რომელიც იშვა ერთის ქალისაგან და ლაშა-გიორგის ანდერძით, მისი ძე უნდა გამეფდეს კიდეც საქართველოში. თუმცა ძე ჰყავს, აგრეთვე დავითი, რუსუდანსაც ერზინჯანელი ტოლძრილის შვილისაგან, რომელიც ქმრად შეირთო, მაგრამ ასული მათი თამარი, რომელიც ახლა რუმის სასულთნოს დედოფალია, ჭკუთა და გონებით ორივე დავითსა სჯობს და უკეთესი იქნებოდა საქართველოსთვის, რომ ეს დიდებული თამარი გამეფებულიყო, ვიდრე რომელიმე დავითი - მისი ძმა ან დედის ძმის შეილი. მაგრამ თამარი, რომელსაც ანატოლიაში გურჯი-ხათუნს უწოდებენ და ძლიერ უყვართ საკვირველი სიტურფისა და გამჭრიახობისთვის, არის თანამეცხედრე სელჯუქთა სულთნისა გიას ედ-დინ ქაიხუსრევ მეორისა. ამგარად ჯერ არავინ უწყის, რა მოხდება საქართველოში, რადგან მონღლოლები ისე სჯიჯგნიან ქართველების ქვეყანას, რომ შეიძლება იბერიელთა სამეფო დაეცეს და განადგურდეს, მთუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა ხნის წინ იბერიელის ხსენებაც კი შიშის ზარსა სცემდა სარკინოზებს. ახლა კი ქართველების არავის ეშინა და მაშინ კი მათი სახელი და დიდება შვარცვალდის ალემანთა ტომებამდეც კი აღწევდა. ადრე გწერდით, რომ შვარცვალდის ხალხმა პირველმა ისწავლა კარტოფილის მოყვანა ვიკინგებისაგან, რომლებმაც ეს მცენარე დიდი ზღვის გადაღმა ქვეყნიდან შემოიტანეს და ახლა კი ყველგან არის გავრცელებული და მრავალიც ეტანებიან.

რაც შეეხება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა შეერთებას, ნიადაგი მოსინჯულია, მაგრამ როგორც შვარცვალდის ხალხი და აგრეთვე ქვემო ალემანები ლოცულობენ ბადენის წმიდა გიორგის, ასევე ქართველები და აბხაზები ლოცულობენ ილორის წმიდა გიორგის და მათთვის შეიძლება ადვილიც არ იყოს პაპის უზენასიონის ცნობა; თუმცა, სამხრეთ საქართველოში, მისის დამსახურებით, უკვე გაჩნდნენ ჭეშმარიტად მორწმუნე ქართული ოჯახები. აღბათ საჭირო იქნება მისიონის გაძლიერება ყველგან საქართველოს მიწებზე და თუ თქვენ მის უწმინდესობასთან გექნებათ საუბრი ამ საკითხზე, გთხოვთ, ფურადღება გააძახილოთ იმაზე, რომ იბერიაში მისიონერთა რიცხვი ძლიერ მწირია და მეც, ჩემის მხრივ, აუცილებლად ვაუწყებ პირადად მას საქმის ვითარებას, როცა აუდიენცია მექნება ვატიკანში მომავალ წელს.

ხოლო ანატოლიასა და მცირე აზიაში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა ბიზანტიონის აღების შემდეგ, რადგან ჩვენი იმედი, რომ ბიზანტიონის ლაშქრობის შედეგად ბერძნულის სჯულის ხალხი ლათინურს სჯულს ეზიარებოდა, ტყუილი გამოდგა. პირიქით ბიზანტიონის ბერძნებს სძულო ლათინები და პაპის ხელისუფლებას ებრძვიან, როგორც მტერსა და დამპყრობელს და გარბიან ანატოლიის შიდა ქვეყნებისაკენ, სადაც მუსულმანთა მმართველობაა. მუსულმანი სულთნები კი ეშმაკობენ - ბერძენ ქრისტიანებს არ აძალებენ ისლამის აღიარებას და მფარველობენ კიდეც მათ და აქეზებენ პაპის წინააღმდეგ. სელჯუკები და სხვა თურქებიც, არაბებიცა და სპარსელებიც არ უშლიან ქრისტიანებს, რომ ეკლესიებში ილოცონ, მაგრამ ვინც მაპმადის სჯულს აღიარებს, მათ გადასახადებს არათუ უმცირებენ, საერთოდ არ ახდევინებენ და ეს მზაკვრული გეგმა კარგადაც მუშაობს. ანატოლიასა და მთელს აზიაში ამიტომაც მრავლად შეხვდებით მოპამადის მიმდევრებს, თუმცა ტომით ბერძენს ან სომეხს, ქართველს ან ლაზს და მართალია, ისინი ჯვარს გულით ატარებენ, მაგრამ პარასკევის მეჩეთს არ აცდენენ,

რომ მეზობლებმაც დაინახონ და ხარკი არ დაადონ. ამას გარდა ისლამის მოლები და ყადები გამუდმებით ქადაგებენ ალაპის წინაშე ყველას თანასწორობას, რაც უბრალო ხალხში იწვევს კეთილ დამოკიდებულებას მაპმადის სჯულისადმი და თუ არ იქნება ჩვენი ლვაწლისადმი მეტი ყურადღება მისი უწმინდესობის სალაროდან, მალე იმ პოზიციებსაც დავთმობთ, რაც ამჟამად გაგვაჩნია ანატოლიასა და მთელს აზიაში.

ლუკა მანტოვანი (კონიელი მისიონერი)

მმაო ჯუზეპე,

თქვენი წერილი და საჩუქარი სიხარულით მივიღეთ ყმაწვილი კაცისაგან, რომელიც პრინცესა თამარის ამალასთან ერთად ჩამოვიდა კონიაში მას შემდეგ, რაც კეისარიეში გასრულდა სულთნისა და ქართველი დედოფლის ქორწილი, რომელიც თურმე გრანდიოზული იყო და რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა. ამ ყმაწვილი კაცის შესახებ თქვენ ჯერ კიდევ გაზაფხულზე გვწერდით და ჩვენც იმთავითვე დავიჭირეთ თადარიგი, რათა გვეზრუნა მისი ადგილისათვის მისიონში. რადგან ვიცოდით, რომ მან თავად მოიწადინა შემდგარიყო ჭეშმარიტების გზაზე, სუმელას მონასტრის წინამძღვარსაც უარი გუთხარით მათი ბერის მიღებაზე. მართალია, სხვა მიზეზიც გვქონდა ბერძნთათვის თავაზიანი უარი რომ გვეთქა, მაგრამ თქვენი თხოვნა მაინც უმთავრესი იყო და ამ ქართველ ბიჭს, მურზაყან თრბელიანს, მართლაც წრფელის გულით დაგხვდით და იგი მივიღეთ, როგორც მმა ჩვენი ქრისტესმიერი. თუმცა, ასევე წრფელად უნდა გითხრათ, რომ მეტადრე გაკვირვებულნი ვართ მისი უცნაურის ხასიათი - ნაცვლად იმისა, რომ ეს ბიჭი მურზა მოწადინებული იყოს ლათინურსა და ლვობიშეტყველებაში, ცდილობს, რომ სულთნის კარზე გამართულ წვეულებებს არ მოაკლებს და რამდენჯერაც სულთანი გვეპატიუება სასახლეში, იმდენჯერ გვთხოვს, რომ თან წავიყვანოთ. ჩვენ ამ მურზა-მურზაყანს უარსაც ვერ ვეუბნებით, რადგან, როგორც ახალი წევრი მისიონისა, შეიძლება არა მხოლოდ ჩვენზე განაწყენდეს, არამედ ქრისტეს ჭეშმარიტ სჯულზეც გული აეცრუოს, რომელსაც შესდგომია და ჩვენ კი რა უფლება გვაქვს, თუნდაც ერთი ცხვარი მოვაკლოთ ფარას. არა ვფიქრობთ რასმე ავს განზრასვით მოქმედობასა ამ ქართველის თრბელიანისაგან, მაგრამ მოვალენი ვართ გაუწყოთ უცნაური ქცევა მისი და ამადაც მოგწერეთ ეს წიგნი. თუმცა არა მნიშვნელობისა გამო, არამედ მასალად სიტყვისა. აგრეთვე გეტყვით, რომ განსაკუთრებულის სითბოთი ეს ახალი ქართველი წევრი ჩვენი მისიონა, დაუმეგობრდა ისპანიელ ბიჭს კოელოს, რომელსაც დასავლეთ იბერიელს ეძახის და მოკლედ რომ გსთქვათ, ეს აღმოსავლეთიბერიელი ბიჭი მურზა და ის დასავლეთიბერიელი ბიჭი კოელო მმებივით შეიქნენ. მურზაყანი ამბობს, რომ ზოგიერთი ტომი ისპანიისა, ქართველთა ანუ იბერიელთა ნათესავნი არიან და ამიტომაც ეძახის იმ ბიჭს კოელოს - დასავლეთიბერიელს. მე კი მახსოვს, რომ თქვენ მწერდით ქართველთა ანუ იბერიელთა ნათესაობის შესახებ ველშებისა და სქოთების ქვეყნებთან და ხალხებთან. ან მე რაღაც მერევა ან ამ ბიჭს და თუ გამარკვევთ, როცა დროს გამონახავთ, დიდად დამავალებთ და პატივსაც დამდებთ. შობის შემდგომ ველოდებით აქრას ეპისკოპოსის სტუმრობას. მისი სახელი ჩემზე უკეთ თქვენ გემახსოვრებათ - უაკ დე ვიტრი.

აბუ ალ-ბიკა საბით იბნ აპტად ნაჯშ ად-დინ ათ თიფლისი

იერუსალიმიდან დამასკოში ჩვენთან ერთად იმგზავრა აკრას ეპისკოპოსმა უკ დე ვიტ-რმა, მისი სახელი კარგად მახსოვს, რადგან მერე კონიაში ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერ-თმანეთს და რელიგიის თემებზე ვსაუბრობდით. ეპისკოპოსი ალეპოში დაგვშორდა. ჩვენ კი მცირე ხნით ჯერ ალეპოში დავრჩით და მხოლოდ მერე გავაგრძელეთ გზა. ალეპოში თქვა რუმის მამამ - ბახაუდინ ველედმა: „ღმერთს სურს, რომ ჩვენ ანატოლიისკენ წავიდეთ და ეს ქვეყანა ჩვენს ქარავანს სიყვარულით იზიდავს“. ჩვენც რუმის სასულთნოსკენ წავედით. ჯერ მალათიში ვიყავით, მერე სივასში, მერე აქშესირში, მერე ლარენდაში და ბოლოს კონიაში ჩა-ვედით. კონიაში დასახლება იმან გადაწყვიტა, რომ მაშინდელმა სულთანმა, ალ ად-დინ ქაიქუ-ბადმა, თქვენი სიძის მამამ, პირადად მიგვიწვია და რუმის მამას ბახაუდინ ველედს ყველაზე დიდი მედრესე შესთავაზა ლექციებისთვის. იკონის რომ მივუახლოვდით, თვითონ სულთანი ქაიქუბადი გამოგვეგება გაღლავანთან თავისი ბრწყინვალე ამალით. ჩვენ ისე ღარიბულად გვეც-ვა, რომ გაოცებულებმა თვალიც კი აგვარიდეს, თუმცა პატივით კი მიგვიღეს და მახსოვს ქა-ლაქში შესვლისთანავე პატარა რუმის სურვილი იყო პლატონის საფლავის მოქებნა, მაგრამ ჯერ დაგვათვალიერებინეს ალუნ-აბა და ახლადაშენებული ციტადელი. ციხესიმაგრის კედ-ლებთან უთხრა რუმის მამამ დიდ სულთანს: “ააშენე კეთილი საქმების ციხესიმაგრე და იმა-ზე მყარი არაფერი იქნება“. თქვენი კალენდრით 1231 წლის 12 იანვარს ბაჰაუდდინ ველედი გარდაიცვალა. მაშინ მევლანა რუმი ოცდაოთხი წლის იყო (ჩვენ ხომ ტოლები ვიყავით თით-ქმის) და მედრესეში მამამისის ადგილი დაიკავა. რუმი ოცდაოთხი წლის ასაქში უკვე ისეთი განათლებული იყო, რომ მაშინვე გახდა უდიდესი ავტორიტეტი კონიელ მოძღვართა და ფი-ლოსოფოსთა შორის. მას უკვე ჰყავდა მოწაფეები არათუ მთელი ანატოლიიდან, იემენიდან და ეგვიპტიდანაც კი. მაგრამ მაშინდელი სახოგადოებისათვის მიუღებელი იყო ასეთი ახალგაზრდა ადამიანისაგან მექეთში პარასკევის ქადაგება, სწავლება ღვთისმეტყველებისა და რელიგიური სამართლისა, აგრეთვე ყურანის განმარტება, თუმცა ყველანი ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ იგი იყო ბრძენი და მის ახალგაზრდული პერიოდის ზეტებსაც იმთავითვე ეტყობოდათ ღვთი-ური ნიჭი. გადაწყვეტილება თვითონ მიიღო და მევლანა ჯალალ ედ-დინ რუმი ხალებში გაემ-გზავრა, რათა მაშინ იქ შეკრებილ მოაზროვნეთა კამათში მიეღო მონაწილეობა და საკუთარი თავი შეემოწმებინა. სწორედ მაშინ, ბაგშვიბიდან მოყოლებული, პირველად დავშორდი ჩემს გენიოს მეგობარს, მაგრამ უკან კონიაში დაბრუნებისთანავე რუმის თანმხლებ ერთ-ერთ მიუ-რიდს დაწვრილებით მოვაყოლე ყველაფერი. პირველი შეხვედრა რუმის ჰქონდა ხალების სა-ხელგანთქმულ ხალავის მედრესეში დიდ არაბ მეცნიერთან ქამალად-დინ იბნ ალ-ადიმთან, რომელსაც ესაუბრა ცხრა ცისა და ოთხი სტიქის ცეცხლის, ჰაერის, მიწისა და წყლის შე-სახებ, რაც ქმინის ხილვად სამყაროს. მათ აგრეთვე ისაუბრეს დროის არსის შესახებ, რომე-ლიც შედგება ცალკეული, ერთმანეთის მიყოლებითი წამიერი გაელვებებისგან; როგორც წყალი მდინარეში, რომელიც შედგება იმ წვეთებისაგან, ერთმანეთის რომ ცვლიან. მაქდისეის მედრესე-ში კი მევლანამ თურმე ისაუბრა მორწმუნებითან ერთარსის, როგორც აბსოლუტის შესახებ, რომელიც გამორიცხავს მრავალარსიანობას, მაგრამ იმავდროულად სწორედ შეიცავს მრავალ-სახეობის იდეას შეგავსად ხისა, რომელიც ერთია და მთლიანი, მაგრამ მოიცავს ფესვაც, ქერქსაც და ტოტსაც.

მერე განიხილეს გნოსეოლოგიისა და ონთოლოგიის, ლოგიკისა და ღვთისმეტყველების ურთულესი საკითხები და შეიხებმა, რომლებიც დარწმუნდნენ ახალგაზრდა რუმის გონიერასა და აზროვნებაში, ტრადიციების დარღვევით, მაგრამ აღფრთოვანებულებმა, რამდენიმე თვეში

მისცეს მას წერილობითი იჯაზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმაზე მეტს, რაც მევლანამ იცოდა, აღმოსავლეთის ბრძენი ულემები მას ვეღარ ასწავლიდნენ.

1231 წლის შემოდგომაზე მევლანა ჯელალ ედ-დინ რუმი კონიაში დაბრუნდა. შეწუხებული სახე რატომ გაქვთ? ძალიან გრძლად ვყვები? უბრალოდ დალლილი ხართ, მაგრამ ისე გაინტერესებთ? მაშინ კონის ამბავს მოკლედ მოგიყვებით. განა თქვენი შოთა რუსთაველიც ეგრე არ არის? თვითონ ამბობს, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო და მერე თვითონვე რამსიგრძე ამბავს ჰყვება, მაგრამ აღმოსავლეთში ასეა, აღმოსავლეთის ამბავი გრძლად ითქმის...

ბიბი მუნაჯიმე

რასაც ჩემი შვილი წერს თავის წიგნში ქაიხუსრევის შესახებ, სრული სიმართლეა - სულ-თანს ისე ძლიერ შეუყვარდა თმარი, რომ სახელმწიფო საქმებზე ზრუნვას თავი ანება და მთელს დროს სასახლეში ატარებდა ცოლთან ერთად. ამხელა იმპერიის მოვლა კი პირველ ვაზირს მიანდო და თვითონ დედოფლის სახელზე ფულის მოჭრა გადაწყვიტა. ძალიან უნდოდა, რომ მონეტაზე ძვირფასი გურჯი-ხათუნის სახე აღებეჭდა, თუმცა სამეფო კარზე დიდად განრისხდნენ იმის გამო, რომ ფულზე ადამიანი უნდა გამოესახათ და თანაც ქალი, მაგრამ სულთანი არასოდეს ყოფილა ისეთი მართლმორწმუნე, როგორც მამამისი ქაიქუბადი და ქაიხუსრევმა მაინც ისეთი დირპები მოჭრა, რომელსაც ისლამი კრძალავდა. ხურ ი შიდის ემბლემას მთელი მსოფლიო იცნობს, მაგრამ ბევრმა აღმართ არ იცის, რომ სხივოსანი მზე გურჯი-ხათუნია, ხოლო ლომი კი სულთან ქაიხუსრევის სიმბოლოა. მართალია, მეც მკითხეს ზოდაქის საზუსტე, მაგრამ სინამდვილეში ლომი და მზე თვითონ გურჯი-ხათუნის იდეა იყო, რომელიც იმ წიგნში პქონდა ამოკითხული, გურჯისტანიდან რომ წამოიღო. ზუსტად მახსოვეს, რომ იმ წიგნში მიჯნურ ვაჟს ლომს ადარებდა წიგნის ავტორი, ხოლო მშენებელ სატრფოს კი - მზეს. ქართული არ ვიცოდი, მაგრამ ნამდვილად კი მახსოვეს, რომ ყმაწვილი დედოფლალი, როცა საყვარელ სტროფებს მითარგმნიდა იმ წიგნიდან, ყველაზე ხშირად ლომსა და მზეს ახსენებდა. კონის ლათინთა მისიონში ქართველი ბიჭი მსახურობდა მაშინ და მერე მან მითხრა, რომ გურჯი-ხათუნის ქართველების ქვეყანაში ახლა ყველანი ბაძავენ და გათხოვილ ქალებს მზითვად სწორედ იმ წიგნს ატანენ. სახელი იმ წიგნისა აღარ მახსოვეს, მაგრამ ის კი დამამახსოვრდა, რომ თვითონ მგოსნის ბედი არავინ იცოდა გურჯების ქვეყანაში. იმ მგოსანს ის წიგნი ჩევნი ყმაწვილი დედოფლის ბებიისათვის მიუძღვნია, რომელსაც აგრეთვე თამარი ერქვა და იბერიელების ქვეყანაში სახელოვნად მეფობდა. იბერიელებს კი თავისი მეფე ქალი ისე ძლიერ ჰყვარებით თურმე, რომ მგოსნისთვის კადნიერებაში ჩამოურთმევიათ მეფე ქალისადმი ვინმე მელექსის ტრფობა და ამ მელექსეზე დიდად განაწყენებულან. ისე განაწყენებულან, რომ მისი კვალიც გამქრალა და რა ბედი ეწია, არავინ იცის. გურჯი-ხათუნი კი ამბობდა, რომ არ მოუკლავოთ, მაგრამ ისე გამქრალა ის მელექსე, რომ აღარავის უნახავს. პირველად რომ ის წიგნი მანახა დედოფლალმა და იმ ქართველი მგოსნის სევდიანი ამბავი მიამბო, მაშინვე ვუთხარი, რაც ვიცოდი: რომ რამდენიმე წლის წინ მევლანასთან ერთი მხცოვანი მელექსე სტუმრობდა გურჯების ქვეენიდან და იქნებ ეგ იყო მეთქი. ის გურჯი მელექსე ვარსკვლავებსაც კითხულობდა უშეცდომოდ და იმიტომ დამამახსოვრდა. ჩევნის დედოფალსაც მედრესეში მისვლა და მევლანასთან საუბარიც ამიტომ ვურჩიე, თორემ ის მედრესეში მანამდე ნამყიფიც არ იყო, რადგან ქრისტეს სჯულს მისღებდა მტკიცედ და მოპამაღის სახლს არცა სცნობდა. თავისი წმინდანების ხატებიც მრავლად პქონდა წამოლებული სამშობლო ქვეყნიდნ სალოცავად და ისეთი მოწყენილი იყო ხოლმე ხშირად, რომ სასახლეში თუ ვიყავი, უცილობლად მოვინაზულებდი და სანუგეშოს რასმე ვეტყოდი. მოწყენის მიზეზსაც ხშირად ვკითხავდი ხოლმე, რადგან სულთანს დიდ პატივში ჰყვადა თავისი ქართველი ცოლი და გაგიჟებითაც უყვარდა იგი. მეც ჩამობრძანებისთანავე ძლიერ შემიყვარდა ჩევნი ქარ-

თველი დედოფალი და როცა თავად იგრძნო ჩემი მზრუნველი მოპყრობა, ისე დამიახლოვდა, რომ გულის ნადებსაც მეტყოდა ხოლმე. მაშინ რომ თავისი ბებია თამარი ახსენა, ისიც თქვა, რომ დიდი თამარის დროს ქართველების ქვეყანა ისეთი ძლიერი იყო, რომ სელჯუკების სულთანსაც ამარცხებდნენ და აკი დიდი რუქნადინიც უკუაციესო. ადრე ქართველების ყველას ეშინოდა, ახლა კი რუქნადინის შვილიშვილს მიმათხოვესო. მე ძლიერ გამაკვირვეს ჩვენი დედოფლის სიტყვებმა, რომელიც თვით სულთანის ცოლი იყო და ყმაწვილ ქალს განა სხვა რაზე უნდა ეოცნება და ამიტომაც არ დავიჯერე, რომ მისი მოწყენის მიზეზი სამშობლო ქვეყნის ძველი დიდება იყო და არა სხვა რამ - უფრო პირადული, ის რაც უფრო ადვილი დასაჯერებელი იქნებოდა ჩემთვის და განა მე არ ვიყავი ცამეტი წლისა, როცა ქალის ყმაწვილი გული ათროთოლებას იწყებს და თუ იქ, სამშობლო ქვეყანაში ვინმეს გამო დარღვებდა, რად უნდა გამგირვებოდა. თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო მაინც უცნაურად ჩანდა მისი მოწყენა - აბა სად გურჯების ქვეყანაში წვალება და სად სელჯუკების დიდი სამეფოს სულთანის ცოლობა და სასახლის დედოფლობა, როცა ყმაწვილ სულთანს ისე უყვარსარ, რომ სახელმწიფო საქმეებზე აღარ ზრუნავს და დღენიადაგ იმაზედ ფიქრობს, თუ როგორ გააბედნიეროს ყმაწვილი ცოლი, როგორ გაახაროს თავისი დედოფალი და კიდევ რა ძვირფასი საჩუქრი უძღვნას თავის საყვარელს. ქალებს ხშირად კაცები კი არა, ქალებიც ვერაფერს უგებენ...

ფატიმა ბინთი ნასრედინი

მთელს აღმოსავლეთში მნელად თუ მოძებნით ქვეყანას, სადაც დაბეჯითებით არ გეტყვიან, რომ პაპაჩემი ხოჯა ნასრედინი სწორედ მათ მიწაზე არ განისვენებს. მეტიც, ნებისმიერ ისლამურ ქვეყანაში გაჩვენებენ საფლავს, სადაც მათის ღრმა რწმენით ხოჯა ნასრედინია დაკრძალული. ერთმა მუებინმა, რომელიც კავკასიის ჩრდილოეთ მთებში ყოფილიყო, ისიც კი მითხრა, რომ დაღისტანში ბავშვმაც კი იცის, რომ პაპაჩემი იქ დამარხეს თურმე და ერთს აულში იმ ლოდსაც გაჩვენებენ, რომლის ქვეშაც პაპაჩემი წევს. შორეულ ბუხარაშიც უნახავთ კონიელ გაჭრებს საფლავის ქა, რომელზეც ხოჯა ნასრედინის სახელი ამოუჭრიათ და ზედ პაპაჩემის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებიც გულმოდგინედ მიუწერიათ. რაღა სხვებისა გითხრათ, როცა საკუთარი თვალებით მინახავს ყარაისარში სამი მხრიდან შემოღობილი საფლავი, რომელსაც შესასვლელში აწერია, რომ აქ განისვენებს ნასრედინი და კიდევ ასეთი სიტყვები: “ეცადე არ შემოხვიდე, თორემ უკან ვეღარ გახვალ. ჩემი სიმრთელის, ქანისა და გუნების ამბავი ჰკითხე იმ ყმაწვილს, რომელიც აქედან გამოვა...”

რადგან მთელს აღმოსავლეთში ყველგან სკერათ, თითქოს სწორედ მათ ქვეყანაში დაასრულა სიცოცხლე ხოჯა ნასრედინმა, ალბათ ამიტომაც გაჩნდა ყველაზე სასაცილო ვერსია, რომ, თურმე, პაპაჩემი, სინამდვილეში, არც არსებობდა, როგორც რეალური პიროვნება და ხოჯა ნასრედინი მოგონილი ადამიანია. ამ წიგნის დაწერის მიზეზი ესეც იყო და მათ, ვინც ამ სასაცილო ვერსიას ასეთი მონდომებით ავრცელებს, მე, ხოჯა ნასრედინის შვილიშვილმა, მინდა ხმამაღლა ვკითხო: თუ პაპაჩემი სინამდვილეში არ არსებობდა, მაშ საიდან გაჩნდა ჯერდეაჩემი, მისი შვილი და მერე მე - ხოჯა ნასრედინის შვილიშვილი?

აბუ ალ-ბიკა საბით იბნ აჰმად ნაჯდ აღ-დინ ათ თიფლისი

მამამისის გარდაცვალების შემდეგ ჯელალ ედ-დინ რუმი კონიაში მამის ადგილს იკავებს, როგორც ღვთისმეტყველების მოძღვარი და ისეთი პოპულარული ხდება, რომ მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება გარანტირებულიც ექნებოდა მთელი სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ რუმი არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი და არასოდეს აკმაყოფილებდა ის, რაც ჰქონდა. როცა კონიაში გამოჩნდა მოხეტიალე სუფი დერვიში შამსე თაბრიზი, რუმი ისე დაინტერესდა სუფიური ასკეტიზმით, რომ ლექციებსა და ქადაგებაზე, ერთი ხანობა უარი თქვა და შამსესთან ერთად ჩაიკეტა. მაგრამ თავრიზელი დერვიში მალე უგზო-უკვლოდ გაქრა და რუმიც ამოდ ეტბიდა მას მოელს აღმოსავლეთში. კონიაში დაბრუნებულმა სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა დერვიშთა ორდენი “მევლევი”, რომელიც კონიაში დღესაც არსებოს და მისი წევრები საუკუნეთა მანძილზე მისტიკური ლოცვებითა და ცეპვით გამოხატავენ პატივისცემას ორდენის დამარსებლის - რუმის, ანუ მევლანას მიმართ. მევლანა ხომ ჩვენს ბატონს ნიშნავს. ბარემ სუფიზმზეც გეტყვით, რა არის და როგორ - სუფიზმი ისლამში კი წარმოიშვა, მაგრამ კველა რელიგიასთანა აქვს შეხება და ინდურ ფილოსოფიასაც აღიარებს და ბერძნულსაც. მოკლედ, რაც კი რამ კარგი უფიქრია ადამიანს, კველაფერი მოაგროვა მევლანამ და სხვებსაც ასწავლა და ჩამოურიგა. თქვენ ისლამის გეშინიათ, იმიტომ, რომ არ იცით, თორემ უფრო ადვილად გაიგებდით სუფიების ხიბლს. მაინც რას? იმას, რომ სუფიზმი თავისუფალი აზროვნებაა და თქვენ კი თავისუფლებისა ძალიან გეშინიათ. მაინც ვცადო ახსნა? კი ბატონი. მარტივად გეტყვით, რომ ადვილად გაიგოთ. რუსებმა გადაგაჩიერების აღმოსავლეთზე ფიქრს, თორემ ადრე უფრო კარგად გეხმოდათ ქვიშების ხმა. ისევ ქვიშებში წავედი და თქვენსავით რომ არ ვიხეტიალო უგზო-უკვლოდ, სუფიების ამბავს გეტყვით, რომ მათი რწმენით ღმერთი ერთიანი ჭეშმარიტებაა, ღმერთი ერთადერთი რეალობაა და კველაფერი დანარჩენი კი გრძნობების სიცრუე... მაგრამ რადგანაც ღმერთის გარდა არაა რეალობა, ამიტომ მისგან გამოყოფა მხოლოდ წარმოიდგინება მასთან შეერთებისათვის. ღმერთში გალხობისათვის კი საჭიროა ერთადერთი ნიჭი - გამოსვლა საკუთარ, არარეალურ “მე”-დან და შეგნება იმისა, რომ ნამდვილი “მე” - არის ღმერთი, შენში არსებული. ძალა, რომლითაც ხდება ეს შერწყმა - არის დიდი სიყვარული; სიყვარული, რომელმაც ვნებისგან განსხვავებით არაფერი არ იცის. თავისი არაფერი არ სურს. ცხოვრების გარეგან მხარეს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: ღატაკი ხარ თუ მეფე, განდეგილად ცხოვრობ თუ აბრეშუმეულობაში ხარ ჩაფლული, სუფიებისთვის სულერთია. თვითონ “სუფი” არაბულად უხეში შალის სამოსს ნიშნავს და სუფი-დერვიშები მაშინ შალით შემოსილი დადიოდნენ და სჯეროდათ, რომ ღმერთი ერთნაირად შეიძლება იპოვოს ადამიანმა მიზითშიც და ეკლესიაშიც, ოღონდ თავდავიწყებით უნდა უყვარდეს ღმერთი და ღმერთან მიახლოების გზა კი საკუთარი თავის გაქრობაა... თქვენ ისეთი სახით მიყურებთ, მგონი რუმისა და გურჯი-ხათუნის ურთიერთობა უფრო გაინტერესებთ, ვიდრე დერვიშების ფილოსოფია. გამოვიცნი? ჩემი ბრალია - კველაფერის მოყოლა ერთად მინდა ხოლმე და დალაგებულად კი ვერაფერს ვყვები. აი, ახლა კი დალაგებით მოვყები რუმისა და დედოფლის ამბავს. გურჯი-ხათუნის და მევლანას გაცნობა როგორ მოხდა, ზუსტად მასოვს იმიტომ, რომ იმ დღეს მედრესებში ვიყვავ, როცა დღეოფალი მობრძანდა პოეტის სანახავად, მაგრამ მნამდე რაც იყო, ბარემ იმასაც ვიტყვი. მანამდე გურჯი-ხათუნი მეჩეთში ნამყოფიც არ იყო საერთოდ. იმიტომ, რომ ქრისტეს სჯულზე იდგა და სულთანიც, კანონიერი ქმარი, არ აძალებდა გამაპმადინებას, რადგან თვითონ ქაიხუსრევიც არ იკლავდა თავს მეჩეთში ლოცვით და ცოლს რატომ წაქეზებდა. უფრო მეტიც, მაშინ კონიაში ლათინებს მისიონი ჰქონდათ და სულთანი გიასედინი იქ სიარულსაც არ უშლიდა გურჯი-ხათუნს. და კიდევ მეტიც, როცა ქართველი მღვდლებიც ჩამოჰყვნენ თან, სულთანმა ისინიც დააბინავა და არც ქრისტიანულად ლოცვა უკრძალა. მაშინ კონიაში კველა ჯურის ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ სელჯუქები არავის უშლიდნენ თავისი ღმერთის რწმენას. ოღონდ ეგ იყო მაპმადიანებს ხარეს არ ადებდნენ და აღაპის შვილებიც უფრო მრავლდებოდნენ. ისლამშე გურჯი-ხათუნი არც მოქცეულა, როგორც ისტორიკოსები წერენ და ჩემზე კარგად აბა

საიდან უნდა იცოდნენ, რა მოხდა, როცა მე მაშინ კონიაში ვიყავი და ეგნი კი ასი წლის მერე წერდნენ იმაზე, რაც მე ჩემი თვალით მინახავს. სინამდვილეში რაც მოხდა, თამარის დედის რუსუდანის ბრალი იყო და არა სულთნის, იმიტომ რომ რუსუდანს საქართველოში თვისი შვილის გამეფება უნდოდა, მაგრამ მმის, ლაშა-გორგის ანდერძით ტახტი ეკუთვნოდა ლაშას შვილს. ამიტომაც რუსუდანმა თვისი ძმისშვილი კონიაში გააგზავნა და სულთნის სთხოვა მისი მოკვლა. რატომ გაგცინათ? არა გჯერათ, რომ ქალები ზოგჯერ კაცებზე სასტიკები არიან? ჰკოთხეთ თქვენს ისტორიკოსებს და ისინი გეტეფიან თქვენი მეფე რუსუდანის ამბებს, ჩემი თუ არ გჯერათ. გავაგრძელო? ისევ გეცინებათ, მაგრამ მაინც გეტეფით, რომ კონიის სულთანი უფრო კეთილი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ქართველი სიდედრი და ქაიხუსრევმა რუსუდანის თხოვნა არ შეასრულა და ქართველი უფლისწული არ მოაკვლევინა. მაშინ განრისხებულმა რუსუდან მეფემ ახალი წერილი მისწერა სელჩუკების სულთანს და თავის ძმისშვილს ცილი დასწამა რომ ჩემს შვილთან, ანუ შენს ცოლთან ავხორცოს ეგ დავითი და მაგის მოკვლასაც ამიტომ გთხოვდიო. ამაზე კი სულთანმა გონი დაკარგა, რადგან დაიჯერა ტყუილი და ვერ წარმოიდგინა, რომ ბიძაშვილ-მამიდაშვილს ასეთ რამეს დაბრალებდა ქართველი მეფე. ისე დაკარგა გონი ქაიხუსრევმა, რომ თავის ულამაზეს ცოლს, რომელიც ძალიან უყვარდა, შეურაცხოფა მიაყენა, ხოლო საქართველოდან წაღებული ხატები და უმტკრია და ქრისტიანობას დაბრალა მრუშობა და ყველა უბედურება - არცერთი მუსულმანი ქალი ამას არ იკადრებდათ. საწყალმა გურჯი-ხათუნმა ქმარი ვერ დაარწმუნა თვის უდინაშაულობაში და ან კი როგორ უნდა დაერწმუნებინა. სულთნის ბრძანებით, ლაშას ძე დავითი ზღვაში გადააგდეს. მაგრამ ქართველი უფლისწული სიკვდილს მაინც გადაურჩა, იმიტომ, რომ კონიასთან ზღვაში შორს არ იყო, მაგრამ თვითონ სულთანი ხომ არ გაუყენოდა კარისკაცებს და მათაც მოახსენეს, რომ ბრძანება შესრულებულია, მაგრამ იქნებ ბრძანება არც ისე მკაცრი იყო და სასტიკი, რასან ზღვაში დასახრჩობად ჩაგდებული კაცი სიკვდილს მაინც გადაურჩა. ამბობდნენ, რომ ვიღაც ვაჭარმა გადაარჩინა და მოუარა, ისე რომ არც კი იცოდა, ქართველ უფლისწულს თუ ეხმარებოდა. თუმცა ეს სიკეთე ძგირად კი დაუჯდა იმ ვაჭარს, რადგან რა დაიმალებოდა რუმის სასულთნოში და როცა ეს ამბავიც გამჟღავნდა, ვაჭარიც შეიპრეს და ქართველი უფლისწული დავითიც. უფლისწული დილეგში ჩააგდეს და ვაჭარი კი გაუშვეს, მაგრამ კარგა ბლომად დირპემბი მაინც გადაახდევინეს. დავით უფლისწული დიდხანს ჰყავდათ დამწყედეული, სანამ მამიდა რუსუდანი არ გარდაიცვალა. მაშინ ქართველმა დიდებულებმა გაიხსენეს სელჯუქებში გადახვეწილი ლაშას ძე და ქვეყანა მეფის გარეშე რომ არ დარჩენილყო, დიდძალი ხალხიც გააგზავნეს კონიაში ქართველი უფლისწულის მოსახებნად. რუსუდანის ძე დავითი, ვის გამოც ძმიშვილი მოსაკლავად გაიმეტა რუსუდანმა, მაშინ მონღოლების ურდოში იყო წასული, რათა ყაენს პირადად დაუმტკიცებინა ქართველების ტახტზე და ისე იგვინებდა, რომ ქართველებმა იფიქრეს, ალბათ აღარც დააბრუნებენ და ეს დავითი მაინც დაგიბრუებოთ. კონიაში რომ დიდძალი ქართველები ჩამოვიდნენ და ქართველი უფლისწული დილეგიდან ამოიყვანეს, ვერავინ იცნო, ისე გაეტანჯა ტყვეობას და სულთანმაც სულ ბოლიშები უხადა, რომ მომატყუეს და სულ ფუჭად გაგარებალეთო, მაგრამ რაღა დროის იყო - უფლისწული რომ საქართველოში ძღვენით გაისტუმრეს, რამდენიმე თვეში სულთანიც მოკვდა. კი არ მოკვდა, მოკლეს, მაგრამ ვინ და რატომ, ზუსტად ვერავინ გაიგო. თუმცა მე სხვა ამბის მოყოლას ვაპირებდი - გურჯი-ხათუნი რომ პირველად ესტუმრა მევლანას და მეც რომ ვესწრებოდი იმ შეხვედრას...

ფატიმა ბინთი ნასრედინი

პაპაჩემს, ხოჯა ნასრედინს, ასე მხოლოდ თურქმანული მოდგმის ხალხი მოვიხსენიებთ. სხვა ხალხები სხვაგვარად უწოდებენ მას, გარდა არაბებისა. სპარსელები მოლა ნასრედინს ეძახიან, ტაჯიკები - ეფენდის, გურჯები - მასრედინს და ა.შ.

პაპაჩემის ბიოგრაფიასაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ჰყვებიან, სინამდვილეში მას ორი ცოლი ჰყავდა მხოლოდ და ექვსი შვილი. ორივე ცოლი უყვარდა, მაგრამ ორივეს სურდა, რომ საყვარელი ცოლი რქმეოდათ და ამის გამო ხშირად ჩხებობდნენ. მაშინ პაპამ ირივეს ერთნაირი, ღურჯი ფერის ძვირფასი ქვა აჩუქა, მაგრამ გაფრთხილა, რომ ერთმანეთისთვის არ ეთქვათ და როცა ეკითხებოდნენ, რომელი ცოლი უფრო გიყვარსო და ორივე ცოლი სულგანაბული ელოდა პასუხს, პაპაჩემი მშვიდად პასუხობდა, რომ ის ცოლი უფრო უყვარდა, ვისაც ღურჯი ფერის ძვირფასი ქვა აჩუქა. სიდედრი კი მართლა დაეხრჩო მდინარეში და დიდად ინაღვლა კიდც, მაგრამ ბოროტმა ადამიანებმა ხმები გააგრცელეს, თითქოს თვითონ დაახრჩო და ალაპი კი მოწამეა, რომ ხოჯა ნასრედინს ყველანაირი ძალადობა სბულდა ახალგაზრდობიდანვე და ასეთ უღვთო საქმეს ნამდვილად არ იზამდა. ბოროტი ადამიანები კი იმიტომ უვრცელებდნენ ბოროტ ხმებს, რომ მათ შურდათ პაპაჩემის გონების, ნიჭის და სიტყვის, რომელიც იყო ხშირად მწარე, მაგრამ სამართლიანი. სამართლიანობასა და თავისუფლების სიყვარულს მევლანასაგან სწავლობდა მთელი ცხოვრება და მას არავინ სბულდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, წარმართი თუ იუდეველი, ქრისტენი თუ ცეცხლთაყვანისტცემელი. ერთხელ კონიაში პაპაჩემს ერთი ქრისტეანი დედაკაცი შეხვდა ქუჩაში ძალიან დაღონებული და ნასრედინმა რომ დაღონების მიზეზი ჰკითხა, იმ დედაკაცმა მიუგო: “დავღონდები, აბა რა იქნება, ერთადერთი შვილი მყავს და იმანაც მაჲმადის სჯული აღიარა და დავიღუპეო”. მაშინ ხოჯა ნასრედინმა უთხრა - ნუ ღელავ დედი, ექვსი შვილი მყავს და ექვსივე მაჲმადის რჯულისაა და აბა მე რაღა უნდა ვქნაო...”

ტყეულია, რომ თითქის მას ხშირად იჟერდნენ ქურთაბისათვის. ხშირად კი იჟერდნენ, მაგრამ არა ქურდობისათვის. ქურთაბისათვის მხოლოდ ქრისტელ დაზორულ კონაში, როცა ჰალვა მოიპარა და დანარჩენ შემთხვევაში კი მს უწმენერიბის გამო სჯიდნენ - სასამრთლოში როგორ შეიძლება, რომ თვითონ ყადა იგნებოდეს. არად, კი აღლონდებოდა, სიმართლეს ამხობდა და ამა სიმართლე ახლა თუ არავის უყვარს, რადა მაშინ უყვარებოდა.

ისეც ტყეულია, რომ თითქის ჰაშმის ეტანგბოდა. პარიქის სტელდა თვითონაც და სხვასუც არ ურჩევდა, რაღაც ტყინის აჩლენებეს; მხოლოდ ქრისტელ გასინჯვა და პაპაჩემის მტრებმა ის ახალგვც მოელს ქვეყნას მოიცეს. ფელვანუც ჰყებიან, მაგრამ სინამდვილეში კონაში მოხდა - ერთი კაცი რომ შეუჩნდა ნასრედინს, ისეთი ჰაშმისა, სიმურჯებისაგან გაგზაფებს და ქრისტელ მანც გასინჯვო. ისე შეუწესა, რომ პაპამ ბოლოს გმოართვა და ამანაში წაადო. თვიქრა, ჩემდა, ჩემთვის მოწერა, რომ არავინ დამხახოს და თან გაფეხვ, ასეთი რა არის, მხლობის ხალხი რომ ჰყებას კარგასი. შესულა მრტო ამონში, გურადა და მოუწერა, მაგრამ აღარ დაუბანია, ისე გაბრაზებულა იმ კაცზე, რატომ არაფერს მიშვებაო, რომ ეგრევე, შიშველი გამოვარდნილა აბანოდან, ის კაცი ბაზარში მოუქებია და კარგადაც გამოულანდავს - ტყეულად რატომ მომაწევინეო. იმ კაცს კარგად შეუთვალიერებია შიშველი პაპაჩემი, ერთი კი გაპკვირვებია, მეტი რაღა უნდა გიქნასო და იმდენი უცინა, რომ მისი ხარხარი თურმე მთელს კონიას ესმოდა...

შარბათის სმა კი მართლა უყვარდა და არც მალავდა. პაპაჩემის მტრები ამბობდნენ, ხოჯა ნასრედინი ჯუზის კითხვის დროსაც ნასვამიაო, მაგრამ ეგ ტყეულია. მეჩეთში და მედრე-სეში პაპაჩემი მთვრალი არავის უნახავს. ასე რომ არ ყოფილიყო, განა დიდი მევლანა ერთადერთს ხოჯა ნასრედინს მიანდობდა მეურნალობას? პაპა ხომ ექმიტ იყო და ჩვენს დიდ პოეტსაც ხომ სწორედ მან უწამლა, როცა მევლანა ავად შეიქნა და ვეღარავინ შველოდა. მართლა რომ დღენიადაგ მთვრალი ყოფილიყო, როგორც მასზე ამბობენ ავი ენები, განა ასე ადვილად შესძლებდა პაექრობას დერვიშებთან? განა ასე ადვილად დაითვლიდა ცაზე ვარსკვლავებს, როცა მტრები შეუჩნდნენ - გინდა თუ არა, აბა თუ გამოიცნობ ცაზე რამდენი ვარსკვლავიაო?..

განა შემთხვევით მოიგონა ხალხმა, რომ ხოჯა ნასრედინი თემურ-ლენგს შეხვდა? თემურ-ლენგმა რომ ჩვენი ქვეყნები მოაოხრა, პაპაჩემი ხომ სინამდვილეში კარგა ხნის მკვდარი იყო მაშინ, მაგრამ ხალხმა ხმლით რომ ვერაფერი გააწყო დამპყრობელთან, თემურ-ლენგს ამიტომაც დაუპირისპირა ხოჯა ნასრედინის მახვილი სიტყვა და მოსწრებული ენა - რამდენიმე წელიწადში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო, და ის მტარვალი თემურ-ლენგიც მართლა მალე მოკვდა...

ბატონი აკაკი გაწერელია

როცა რუსუდანმა დაივიწყა “ღვთის შიში” და სიძესა და ასულს მოსაკლაგად გაუგზავნა მისწული (“მისა მისისგან გიორგისგან ანდერძობით შევედრებული”) და ტახტის მემკვიდრე დავითი (შემდეგში - დავით ულუ), რათა მიერთოგან უზრუნველად ეპყრას მეფობა მას და ძესა მის დავითს“. თამარმა და ყიასედინმა მფარველობა გაუწიეს მას: “ვითარ მიიწია დავით წინაშე სულტნისა და (მაძის) დისწულისა მის, რუსუდანის ასულისა თამარის, რომელსა სულტანი სახელად უწოდდა გურჯი-ხათუნად, იხილეს იგი და შეიყუარეს, თვისთა თანა დაიპყრეს პატივითა და გურჯი-ხათუნ დედოფალიცა კეთილსა უყოფდა ყრმსა, ბიძის ძესა დავითს, და არა ისმინეს ბრძანება მყვალელებრივი მეფისა რუსუდანის. და ფრიად პატივს ცემდეს დავითს“, - ჰყვება უამთააღმწერელი, მაგრამ რუსუდანი ყოველმხრივ ცდილობდა დაედუპა თავისი შვილის პოტენციური მეტოქე-მან არაერთხელ მოუგზავნა მოციქული სიძესა და ასულს და სთხოვა შეესრულებინათ მიცემული დავალება, მაგრამ დედოფლის ცდას შედეგი არ გამოუღია. მაშინ “ამისგან განცვიფრებულმან და გულისწყრომითა აღსებულმან, დაივიწყა სჯულიცა და ლმობა ნათესავთა, და თვით შვილისა სიყვარული დედობრივი... დაწერა წიგნი სიძესა თვისსა სულტანსა ყიასდინს თანა და ესრეთ მიუმცნო, ვითარმედ: “ამისთვის მენება მოკვლა მმისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა მმისწული ჩემი დავითი თანა-ეყოფის, და ამისათვის არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისიო“.

მემატიანე შეძრწუნებულია რუსუდანის ამ მუხანათური ცილისწამებით საკუთარი ასულის მიმართ. მართლაც, საქართველოს ისტორიის კრიტიკულ პერიოდში - ხვარაზმელთა შემოსევისა და მონგოლთა ტირანიის ხანაში - რუსუდანის ფიგურა, განსაკუთრებით თამარ სელჯუკთა დედოფლის მიმართ დამოკიდებულებისას, უფრო შარლ დიდის “ბიზანტიური პორტრეტების“ პერსონაჟს მიაგავს, ვიდრე დიდი თამარის ეთიკური ტრადიციების მემკვიდრე ქართველ მეფეს, ხოლო მისი ასული - ნაწილობრივ მაინც - ქართული პიმნოგრაფიის გმირ მარტვილს. ამას ნათლად მოწმობს თამარის ხვედრი იკონის სამეფო კარზე: “ხოლო მიიწია რა წიგნი ესე რუსუდანისა სულტანის წინაშე, მყის აღმფოთდა სულტანი და შევიდა სახლსა სა-დედოფლოსა და უპატიოდ განითრია ცოლი თვისი მოფხურითა თმათათა და ფერხითა ძლიერად უხეთქნა პირსა მისა შუენიერსა და ტანი ფრიადისა ცემისაგან სისხლისფრად იყო, და ხატნი იგი, რომელი სამარადისოდ აქუნდის სავედრებლად, წინაშე მათსა შეაგნნა და დამუსრნა, და ყოველნი მის წინაშე მყოფნი მსახურნი ექსორია ყვნა და რომელნიმე მმისწყვიდნა, და ცოლსა მისსა შეშინებითა უთქმიდა უწყალოდ სიკუდილსა, უკეთუ არა დაუტეოს სჯული ქრისტესი და მუსულმან იქმნას და მრავალნიცა ტანჯვანი შეამთხვიერნა, რომლისა შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მიერ მომედგრებულმან უარ-უყო სჯული ჭეშმარიტი, რამეთუ ხუცესნი და ხატნი წინაშე მისსა აქუნდეს, არა ფარულად, არამედ განცხადებულად“.

დავით ლაშას-ძეს კი “მრავალი ტანჯვანი შეამთხვიერნეს“: ჯერ იყო და ზღვაში გადაისროლეს, მაგრამ ზღვის პირას გარიყელი იგი ერთ ვაჭარს შეუვრდომა. ეს ამბავი ყიასედინ ქაიხუსირევს გაუგია, დავითი ხელმოერედ შეუცყრია და ლრმა, უწყალო და გველებით სავსე “ჯურლმულში“ ჩაუგდია. რუსუდანის სიკვდილის შემდეგ, როცა მისი მემკვიდრე დავით ნარინი მონგოლთა ყანთან იყო წარგზავნილი, ხოლო საქართველო უმეფოდ იყო დარჩენილი, ქართველი დიდებულნი შესდგომიან ლაშა-გიორგის ძის ძებნას. როგორც ჩანს, ამ ხანებში სულთანიც დარწმუნებულა დავითის უცოდველობაში. რადგან ყიასედინი “ლმობიერ იქმნა“, მან ჯურლმულიდან გამოიყვანინა დავითი, “კნინდა სულიერ მყოფი, ფრიად პატივისცა და შენდობასა ევედრებოდა“ და საქართველოში დააბრუნა.

სელჯუკთა სულთანის ხასიათის შერბილებასა და დაშოშმინებაში დიდი როლი უნდა ეთამაშნა თამარს, მის სათხო მეუღლეს. გურჯი-ხათუნს, როგორც ჩანს, მალე აღუდგენია თავისი ზნეობრივი პრესტიული გაეჭვანებული მეუღლის თვალში.

დედოფლის ცხოვრება იქონიაში კიდევ არა ერთი დრამატული ეპიზოდით უნდა ყოფილი- ყო აღსავსე. ეს ის დროა, როცა მისი მეუღლე ქაიხუსრევი მონგოლებთან ბრძოლებშია გაბტუ- ლი და მათგან დამარცხებული, იძულებულია იმავე მონგოლებს ეახლოს და შეწყნარება ითხ- ოვოს. ყიასედინის გარდაცალების (თუ კარისკაცთაგან მოკვლის?) შემდეგ დედოფალი თამარი მეუღლე ხდება მისივე ქმრის ვეზირის, მუინედდინ ფერვანესი. ქართველი მემატიანის ცნობით “აღსრულებულ იყო სულტანი დიდი საღმუქიანი ყიასედინ და მონასა მისა ფარმანს მიეტაცა სულტნობა და ცოლიცა მისი, ასული რუსუდანისი, გურჯი-ხათუნ მიეყვანა ცოლად“. უმთააღ- მშერლის ეს ცნობა “ქართლის ცხოვრებიდან“, თამარის ძალით “მიტაცებაზე“ ჭეშმარიტებას უნდა შეიცავდეს, რამდენადაც დიქტატორ ფერვანეს უზურპატორული ხასიათი ცნობილია სხვა წყაროებიდანაც (მას “ბოროტ ვეზირს“ ეძახდნენ). ამიტომ ნაკლებ დამაჯერებელია ის ცნობა, თითქოს ყველაფერი უმტკივნეულოდ მოხდა და თამარი მას გაჰყვა სელჯუკთა სამეფო კარზე მიღებული წესის თანაბეჭდ - სულთანის ქვრივს ჩვეულებრივ მახლობელ კარისკაცს (ვეზირს) ატანდნენ ხოლმე. აღსანიშნავია ისიც, რომ გაღმოცემით ფერვანეს ბრალდებოდა თვით თამარისა და ყიასედინის ერთ-ერთი ვაჟის კილიჩ არსლან IV-ის მოკვლა.

ფერვანე მთავარი მოღვაწეა სელჯუკების სახელმწიფოში, მონგოლთა ეპოქაში. სხვადას- ხვა მასალების მიხედვით ორგევეა თამარის - ამ უბედური დედოფლის - მორალური ამბისი კონიის სულთანთა გამგებლობის მძიმე და კრიტიკულ პერიოდში. უწინარეს ყოვლისა, ის ცდილობდა თავისი სჯული შეენარჩუნებინა. ჯერ კიდევ როცა “სულთან ყიასედინ ქაიხოსრო II დაქორწინდა ქართველ პრინცესაზე (თამარზე), კონიაში ჩამოვიდნენ ქრისტიანი მღვდლები“. თამარს საერთოდ არასოდეს გაუწყვეტია ახლო კავშირი კონიის ქრისტიანულ წრეებთან. ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ თვითონ ყიასედინიც არ ყოფილა მორწმუნე მუსლიმანი, ხოლო მის ერთ-ერთ შვილს ათეისტადაც კი რაცხდნენ.

ულამაზეს და “სრულ-ქმნილ“ თამარ დედოფლის სულიერ და გონებრივ სიდიადეს, ნათ- ლად მოწმობს მისი მეგობრობა მთელი აღმოსავლეთის უდიდეს პოეტთან ჯელალ ედ-დინ რუმთან. მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ თვითონ რუმის შესახებ.

დასავლეთიბერიელი ბიჭი კოელო და ესპანური ინკვიზიციის კატალუნიე- ლი ბრალმდებელი

მოსამართლე - თქვენ გუშინ უკვე გითხრეს, რაშიც გედებათ ბრალი, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ, თუ თქვენი სურვილი იქნება, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ იმ დანაშაულებათა შესა- ხებ, რაშიც გამხილეს წმინდა ეკლესიის კეთილმსახურმა მამებმა.

ბიჭი კოელო - ჩემთვის სულერთია, რა ბრალდებით გამასამართლებთ, ჩემთვის მთავარია ვი- ცოდე, რომ სრულიად უდანაშაულო ვარ დმტრიის, პაპისა და ეკლესიის წინაშე; მე ვიცი, რომ დანაშაული არ ჩამიღენია და ამიტომაც დღეს იმის მოსმენა, რაც გუშინ უკვე გითხა- რით, ჩემთვის ზედმეტია.

მოსამართლე - მაგრამ ამ პატივცემული საზოგადოებისათვის სულაც არ არის ზედმეტი იმის შეხსენება, რომ თქვენ, ესპანეთის ქვეშევრდომი და ნათლობით ქრისტიანი, მაშინ, როცა ეს- აპანეთში და არა მარტო ესპანეთში, პაპის ეკლესიას გააფთრებით ებრძვიან ურჯულო სარ- კინოზები, როგორც თავად აღიარებთ, თქვენის ნებით გახდით წევრი მოპამადის ორდენისა, რომელიც კონიაში დაარსდა ჭეშმარიტი ეკლესიის დევნით.

ბიჭი კოელო - გუშინ უკვე გიპასუხეთ თქვენ და ამ პატივცემულ საზოგადოებასაც განვუმარ- ტე, რომ კონიის ორდენი ეს არის სუფი-დერვიშების ერთობა, რომელიც დაარსებულია პოე-

ტი რუმის მიერ და მისი მიზანია არა ვინმეს ან რაიმეს მტრობა, არამედ სიყვარული ღმერ-
თისა და ადამიანისა.

მოსამართლე - მაგრამ თქვენ გუშინ აღიარეთ, რომ მონაწილეობას იღებდით რიტუალებში,
რომელსაც მისტიური უწოდეთ, ჩვენ კი საქმაოდ ჯადოქრულად გვეჩენა ის, რაც თქვენ
აღწერეთ და ალბათ თქვენთვისაც არ უნდა იყოს უცნობი ყოველგვარი ჯადოქრულის წარ-
მოშობა. გუშინ თქვენ იმასაც შეეცადეთ, რომ კონიის ორდენი წარმოგეხინათ, როგორც არა
ისლამური, არამედ უბრალოდ პოტენციალი საბმო, სადაც არა მარტო მაპმადის რჯულის, არა-
მედ სხვა აღმსარებლობის ადამიანებიც ერთიანდებიან...

ბიჭი კოელო - მათ შორის ქრისტიანებიც...

მოსამართლე - ყველა ქრისტიანს, ვინც წმიდა ეკლესია დაგმო, პასუხი მოეკითხება სატანური
ცოდვებისთვის და თქვენ არა ხართ ერთადერთი, ვინც ჭეშმარიტი რწმენისათვის ანთებულ
კოცონზე სინანულით დაიფერფლება.

ბიჭი კოელო - სამყაროში ყველაფერი ერთხელ ხდება და არასოდეს მეორდება, მაგრამ თუ
რაღაც ორჯერ მოხდა, მესამედაც მოხდება...

მოსამართლე - ამით რითი თქმა გსურთ?

ბიჭი კოელო - როდესაც გვიყვარს, მხოლოდ მაშინ ვცდილობთ იმაზე უკეთესები ვიყოთ, ვიდ-
რე ვართ...

მოსამართლე - რას გულისხმობთ?

ბიჭი კოელო - უდაბნოში წყურვილისაგან მხოლოდ მაშინ კვდებიან, როცა პორიზონტზე ოა-
ზისი გამოჩნდება...

მოსამართლე - გთხოვთ განმარტოთ რისი თქმა გსურთ და რას გულისხმობთ.

ბიჭი კოელო - გვულისხმობ იმას, რისი თქმაც მსურს - მე უდანაშაულო ვარ და ეს თქვენც
კარგად იცით.

მოსამართლე - ჩვენ ის ვიცით, რომ წმიდა ეკლესიისაგან განდგომა ჭეშმარიტების ღალატია,
ხოლო მოდალატე უნდა დაისაჯოს, რადგან ღალატიც შეიძლება მისაბაძი გახდეს მათოვის,
ვისაც მაცხოვრისა და პაპის ერთგულება გულით სწადია და ჭეშმარიტი ეკლესიისაგან გან-
დგომა არასოდეს უფიქრია...

ბიჭი კოელო - მეც არასოდეს მიფიქრია ეკლესიის დაგმობა, აზრადაც არასოდეს მომსვლია
პაპისა და ქვეყნის ღალატი... მე მხოლოდ სწავლა მინდოდა, იმის სწავლა, რაც არ ვიცო-
დი, რაც მხოლოდ აღმოსავლეთში იციან...

მოსამართლე - სწავლა სიკეთეა, მაგრამ ვინც სატანურ სწავლებას ვერ განარჩევს ჭეშმარი-
ტებისაგან, ისიც სატანის მსახური ხდება - ეშმაკი ხშირად სწორედ კეთილ გულებს ეძებს.

ბიჭი კოელო - მე ვეძებდი ცოდნას, მინდოდა გამეგო, როგორ მიიღება ოქრო და არაბულ ქა-
რავანს უდაბნოში გავყევი. ბევრი ქვეყანაც მოვიარე სანამ აღმოვაჩენდი, რომ სინამდვილეში
ოქრო სულაც არ არის ის, რასაც ჩვენ ოქროს ვუწოდებთ...

მოსამართლე - ჩვენც სწორედ ამას მოვითხოვთ თქვენგან, თქვენ უნდა აღიაროთ, რომ შეც-
დით, აქ, დამსწრეთა წინაშე უნდა აღიაროთ, რომ მზად ხართ მოინანიოთ და თქვენ მოგე-
ტევებათ ყველა ცოდვა, როგორც უნებლივედ ჩადენილი...

ბიჭი კოელო - მე მთავარი საგანძურის პოვნა მინდოდა.

მოსამართლე - მხოლოდ დანაშაულის აღიარება და გულწრფელი სინანული გიხსნით სამარ-
თლიანი განაჩენისაგან.

ბიჭი კოელო - თუ საგანძური შენშია, მხოლოდ რჩეულნი ხედავენ მას...

მოსამართლე - წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ კოცონზე დაგწვავენ წმინდა ეკლესიის სახე-
ლით და თქვენი ფერფლიც კი არ ეღირსება ესპანეთის სამოციქულო მიწას...

მევლანა

(გურჯი ხათუნის)

მწყალობელი და დიდსულოვანი, საეჭვო საქმეთაგან განრიდებული, ჭეშმარიტი მონა (ღმრთისა), ქალბატონთა ღირსება, მათ შორის ყველაზე უმწიკვლო და ნამუსიანი, კეთილბუნებოვანი და სათნომყოფელი, მომავლის მჭვრეტელი, სიკეთის მთესველი, დიდად პატივდებული ფადიშაპის ბუნებისა და ბატონთ-ბატონის შთამომავალი ხათუნის მაღალი და ნეტარი ბედნიერება, კეთილიანობა და უმწიკვლოება მარადიულ ჰყოს ალაპმა, გაზარდოს მისი ბედკეთილობა, დღითიდღე განამტკიცოს და აღამაღლოს. გაასხივოსნოს მისი მეგობართა თვალი, დაამხოს და მიწასთან ასწოროს მტერი მისნი. სარწმუნოებისა და ამა ქვეყნის საჭიროებანი ხელეწიფოს და ორივ ქვეყნის ბედნიერებას ეწიოს, მუჰამედისა და მის შთამომავალთ გული-სათვის.

ამ ერთგული მონის სალამისა და ხოტბის შემდგომ, უწყოდეთ, რომ თქვენი ბედნიერებით გასხივოსნებული სახის ხილვა იმდენად მწადს, რომ ჩემი სურვილი ზღვარულებელია. მაღალმა ღმერთმა უწყის, არ არის არც ერთი წამი, რომ არ ვფიქრობდე იმ ერთადერთი ხათუნის მდგომარეობაზე. თქვენ მიერ გაღებული არც ერთი ფადიშაპისებური მოწყალება, არც ერთი თქვენი საუბარი, ქველმოქმედება და დიდსულოვნება მივიწყებული არარის. ღმერთს ვვედრებთ და ვლოცულობთ. მაგრამ თქვენთან მოსვლის ან წერილის მოწერის საშუალება არ მაქს. თუმცა ეს ერთადერთმა ხათუნის ნათელმა გულმა წმიდათა წმიდა სულმაც კარგად უწყის; და ამდენად უხვისტყვობად არ ღირს. ღვთისადმი განკუთვნილი სიყვარული ჩვენი სიკვდილით და სიცოცხლით არ შემცირდება. მოწიწებით გეპითხებით, თუ რა გარდაგხდათ თავს. თქვენი მდგომარეობა მაინტერესებს. მაღლობა მაღალ ღმერთს, ბოლო ხანებში თქვენი კარგადყოფინის, ჯანმრთელობისა და ბედ-კეთილობის ამბავი შევიტყვე, ძალიან მძიმე და ძნელად ასატან ამბებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ყოველივე ეს თქვენი ღირსების ამაღლების, კეთილი საქმის, ბედნიერებისა და შვების მოპოვების საბაბი და საფუძველია. ერთადერთი ხათუნი მთელი არსებით ალაპს მინდობია, მით იმედოვნებს; მაღალი ღმერთის მოწყალების და შემწეობის შემყურეა. დაბოლოს, ღმერთის, უნეტარესი და მარადიული მოწყალება მის დარღებს წამლად მოვლინება, მის უსიამოვნო ხელმოცარულობას თვითონვე გამოასწორებს (მის ოკრობოკრო ხრამს თვითონვე შეაკეთებს). ასე რომ, ალაპის გზა - ეს არის მისი უნარისა და მცდელობის გზა. ის, დაუსაბამო და უწინარესი, ერთადერთი ღმერთი. წინასწარმეტყველებს და წმინდანებს, რომელთაც სახე მიუპყრიათ ღმრთისკენ და მისი წყალობის მოიმედენი არიან, მძიმე უბედურებებს მოუზღავს ხოლმე, რათა ისინი გამოსცადოს და გამოაფხიზლოს. იქამდისაც კი, რომ უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილებს მტრები ეტყვიან: თქვენ ღმერთის მოწყალებაზე ქადაგებთ, ამბობთ, რომ ღმრთის ღვინო შესვითო, ახლა კი ასეთი (უმწეოა) თქვენი მდგომარეობა. თანალმობის ხელი არ გამოგიწოდათო. - ნიშანს უგებენ მათ. ისინიც პასუხობენ: ჩვენ სხეულითა და ხორცის ვნებით ვართ უძლურნი, უსასონი და უიმედოდ მოვთქვამთ, მაგრამ გულში მტკიცე აღთქმა გვაქს; ჩვენი რწმენა ურყევია, დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთის გზა სამართლიანია. დაბოლოს ეს შხამი - შაქრად იქცევა ჩვენთვის. დასადგურებული სიბნელე, სადაც ვიმყოფებით, გასხივოსნდება. ჩვენ დამხობილ ბედნიერებას აღამაღლებს. დაბოლოს ასე ხდება ხოლმე: “მომავალი ცხოვრება ჯილდოდ ექმნესთ მათ, რომელთაც ეშინიათ“. ღმერთის თანლომობა, მოწყალება გადმოღვრილია. ყოველი განცდისა და წამების ნაცვლად ასიათასობით სიტყბოს შეიცნობს. ყოველ განშორებას ასი-ათასობით შერწყმა და შეერთება მოჰყვება, ათიათასობით ბედნიერებას ეწევით. “მას უკან დავიხსნათ ჩვენი მოვლინებულნი და იგინიც, რომელთაც იწამონ. სამართალია, მორწმუნები დავის ხანათ“.

სხვა რა გაუწყო, რა მოგითხრო (აქაური ამბები)? დიდი თუ პატარა, ყველა დღე და და-
მე იმ ბედნიერების სალოცავად, გაჭირვებულთა და უმწეოთა შემწე კერპისთვის ხელებს
აღაპყრობენ. იმ ერთადერთი ხათუნის ნახვას მოწყურებულნი არიან, ყველას დიდს თუ პატა-
რას ვინც თქვენ თაყვანს გცემთ, სალაში და მოკითხვა.

ელიზბარ ჯაველიძე (აკადემიკოსი)

მევლანას ცნობილი თურბეს (აკლდამის) აშენებაშიც გურჯი-ხათუნს გადამწყვეტი როლი
უთამაშია. ეფლაქი მოგვითხრობს: „როცა მევლანა ამ ქვეყნიდან გადასახლდა, ალემედდინ კაი-
სერს (ლმერთმა შეიწყალოს) სურდა, წმინდა თურბეს აშენება და ისეთი საფლავის გაკეთება,
რომლის მსგავსიც ქვეყნაზე არ უნდა ყოფილიყო: ეს სურვილი მან აუწყა სულთან ველედის
(მევლანას ვაჟს), სულთან ველედიმ ჰკითხა: მატერიალური ხარჯისაოვის რა თანხა გაქვსო?
ალემედდინ კაისერმა უპასუხა: ოცდათი ათასი დირპემიო. სულთან ველედი განცვიფრდა და
ჰკითხა: ამ თანხით როგორ შესლებ აშენებასო, ალემედდინმა უპასუხა: სხვასაც, ჩემო უფალო,
მალული ქვეყნიდან გვიწყალობებენ. თუკი ეს ასეა, - უთხრა ველედიმ - სამართლიანად გადა-
გიწყვეტია და წმინდა შენობის აშენება დაიწყე.“ ალემედდინი იმ ღამეს სულთანის სასახლის
ბანზე ავიდა და ისეთი ლოცვის მომცველი სიყვარული და ვნების აღმდვრელი ბეითები წაი-
კითხა, რომ სიტყვა ვერ იტყვის. ამ გარემოებით გურჯი ხათუნის უწმინდესობა და ფერვანე
უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ და უხვად ცრემლი ღვარეს. დილით მსახური გაგზავნეს და
ალემედდინი იხმეს, საქციელი მოუწონეს და 80 ათასი დირპემი სულთანისა მისცეს. მერე ხა-
ლათით შემოსეს და კაისერის შემოსავლიდანაც 50 ათასი დირპემი უწყალობეს“

ეს გრანდიოზული თურბე დღესაც კონის არქიტექტურის მშენებაა. მისი მნიშვნელობა
უაღრესად დიდი იყო. იგი იქცა ფაქტიურად მევლევობის დაფუძნების კერად. ამ ფაქტიდან
ნათლად ჩანს, თუ რა დიდ კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა ჩვენი თანამემა-
მულე სელჩუკიანთა სასახლის კარზე. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ეჭვს არ უნდა იწვევ-
დეს ის აზრი, რომ გურჯი ხათუნი მევლევიელთა მიმღევარი იყო.

როცა თამარ დედოფლის მეუღლე სულთანი ყიასედინი ქაიხოსრო II გარდაიცვალა (თუ
მოკლეს), ქვეწის გამგებლობა ხელი იგდო სულთანის მრჩეველმა და ვეზირმა მუინედდინ სუ-
ლემან ფერვანებ და სელჩუკიანთა ტრადიციების მიხედვით, სულთანის მეუღლეც - გურჯი
ხათუნი ცოლად მოიყვანა. როგორც ჩანს, დედოფლალი მართლაც საოცარი სილამაზის პატრონი
იყო და უჩვეულო ზემოქმედების ძალა გააჩნდა. მეორე მეუღლესაც, ფერვანას, თავდავიწყებით
შეპყარებია იგი და მის ყოველ ძრძნებასა თუ თხოვნას უსიტყვოდ ასრულებდა. ამაზე მეტყ-
ველებს ეფლაქის წყაროში მოთხოვნილი ერთი ამბავი: „ქვეწიერების დედოფლალი გურჯი ხა-
თუნი მუინედდინ ფერვანეზე გაბრაზდა. სასახლის დიდებულები და დივანის ნაიბები ევედრე-
ბოდნენ, ფერვანას დანაშაული აპატიე და შეურიგდით. გურჯი ხათუნი არას გზით არ თან-
ხმდებოდა. ბოლოს თქვა: მხოლოდ ერთი პირობით დავთანხმდებით. ფერვანამ აღუთქვა, რომ
რასაც ისურვებდა, ყველაფერს შეუსრულებდა და ამაზე აღოქმა დადო. გურჯი ხათუნმა უთხ-
რა: ჩემი პირობა და სურვილი ერთია, შენ უნდა განმმორდეო. ფერვანა საგონიერებლში ჩავარდა.
არ იცოდა, რა მოემოქმედა. ამის გამო მევლანას სთხოვა, რაიმე გამოსავალი მოექმენა. მევლა-
ნამაც ურჩია: მისი ეს სურვილი გააჭიანურე და ყოველთვის უთხარი, - გაგეყრებიო.“

ეს პატარა მონაკვეთიც, რომელიც ისტორიულ ფაქტს უნდა გადმოგვცემდეს, კარგად
ახასიათებს თამარ დედოფლის მტკიცე ხასიათსა და უაღრესად ნატიფ გონებამახვილობას.
მართლაც ეჭვმიუტანელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იმ დროინდელი სელჩუკიანთა სასულ-
თნოს საზოგადოებრივი აზრის წარმართვაში გურჯი ხათუნის გადამწყვეტი ხმა ეგუოვნოდა.

აღმოსავლეთის ჩინებული პოეტი ჯელალედ-დინ რუმიც დიდი პატივითა და მოკრძალებით ექცეოდა თავის მფარველ მურიდს გურჯი-ხათუნს. ეს მზეურდება პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდნაც, რომელმაც ჩვენამდეც მოაღწია და გამოცემულია როგორც სპარსულ, ასევე თურქულ ენებზე. ჯელალ ედ-დინ რუმის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში არის ორი წერილი, რომლის ადრესატიც გურჯი ხათუნი უნდა იყოს. ამ წერილების მიმართვის მანერა და შინაარსის ზოგიერთი მხარე ეჭვმიუტანელს ხდის, რომ მისი ადრესატი გურჯი ხათუნია. როგორც ირკვევა, ერთი წერილის დაწერის მიზეზი დედოფლის ავალმყოფობაა, ხოლო მეორისა - რაღაც უსიამოვნო ისტორიაა, რომელიც გურჯი ხათუნს გადახდომია თავს. წერილებში ნათლად ჩანს ის ღრმა პატივისცემა და მოკრძალება, რომელსაც ამჟღავნებდა აღმოსავლეთის უდიდესი პოეტი ჯელალედ-დინ რუმი გურჯი ხათუნისადმი და აგრეთვე ის სულიერი ნათესაობა, რაც მათ შორის არსებობდა. ეს წერილები საინტერესოა მევლანას მსოფლმხედველობის გარკვევის თვალსაზრისითაც.

რეზე აპმედ ბათური

ამ ქართველების ქვეყანაში, ჩვენგან განსხვავებით, ქალებიცა და კაცებიც თითო სახელს ატარებენ და იშვიათად თუ იტყვიან, რომ ამა თუ იმ გვარს ეკუთვნიან. ის ჩემი მუნასიბიც კი, ოქროს საძენელად რომ გავყევი სვანეთის მთებში, რაღაც უცნობ სახელს ირქმევს და ქართველებსაც ძალიან უკვირთ, რომ გიორგი ჰქვია და სხვა სახელს კი ექბას. საერთოდ სახელის ძებნა ამ ქართველებს ძლიერ უყვართ და ამ თმაგაჩერილმა ღოღლობერისძემ რად მოინდომა ოქროს მოძიება, ვერც მივხვდი, სანამ თვითონ არ მიამბო, რომ იმ ოქროთი გურჯი-ხათუნის გამოსყიდვა სურდა სელჯუქების სულთნისგან. ის გურჯი-ხათუნი, თქვენც კარგად უწყით, რომ გიას ედ-დინის ცოლია რუმში და სელჯუქების სულთანს კი ოქრო და მარგალიტი უთვალავად აქვს და ასეც რომ არ იყოს, ის გურჯი-ხათუნი თურმე ისეთი ჭკვიანი და ლამაზია, რომ სელჯუქები სულ მაგის მზესა ჰფიცულობენ. ეს რომ ვუთხარი ამ იმერელ აშულს, ძლიერ განაწყენდა - ჩვენ ეგ თამარი აქ სამეფოდ გვინდა, როგორც ბრძენი ქალი და ჩვენ რომ გვაქვს, ისეთი ოქრო სელჯუქებს არა აქვთ და გურჯი-ხათუნსაც დაგვითმობენ, იმიტომ რომ ჩვენი ოქროსგან მელანი მზადდება და სელჯუქებს კი ძალიან უნდათ, ანბანი შექმნანო. აი, ასეთი უცნაური ხალხია ეს იბერიელები და რაღა უნდა მეთქვა იმ გიორგისთვის, რომელსაც სჯერა, რომ სელჯუქები დედოფალს ასოებში გაცვლიან. ამიტომაც ჩუმად მიგვებოდი იმ მიუვალ გზებზე, სვანეთის მთებში, საღაც მუდამ იყო ჩვენი მოკვლის თუ არა დასახიჩრების ხიფათი, რაზეც ეს იმერელი აშული ამბობდა, ნუ გეშინია კაცს ჭრილობა კიდეც ამშვენებს და კიდეც სჭირდებაო - კაცი რაც მეტს სისხლს დაღვრის, უფრო ცოტა თმები დასცვივდებაო, აი ქალებს თმები იმიტომ არ სცვივათ კაცებისაგან განსხვავებით, რომ ყოველს თვეში ერთხელ მაინც სისხლსა დგვიანო. აი ასეთს უცნაურს კაცს გადავეყარე იბერიელების ქვეყნაში და ოქროს მთას რომ ვერ მივაგნებდით, ალბათ მიხვდით. რომც მიგვეგნო, ოქროს რომ იქიდან არავინ გამოგვატანდა, ადვილად დაიჯერებთ, თუ იმ სვანებზეც მოგითხოვთ, იმ მთებში რომ ცხოვრობენ...

ბატონი აკაკი გაწერელია

ჯელალ ედ-დინ რუმის წყალობით კონია XIII საუკუნეში მთელი აზიის სულიერი განათლების ცენტრად იქცა. რუმის მშობლიური სპარსული სალიტერატურო ენა იყო საერთოდ

სელჯუქების დროს მცირე აზიაში, თხზულებანი იწერებოდა უმთავრესად ამ ენაზე (უფრო ნაკლებად - არაბულად), ხოლო თურქული ენა კი გავრცელებული იყო ხალხში სალაპარაკოდ. საინტერესოა ჯელალ ედ-დინისა და მისი გარემოცვის დამოკიდებულება ბერძნულ და საერთოდ ქრისტიანულ წრებთან. უდიდესი პოეტი და მოაზროვნე ანტითურქული ორიენტაციისა ყოფილა, იგი თაყვანისმცემელი იყო ბერძნული კულტურისა, მის პანთეისტურ მსოფლმხედველობაში ხშირად ვხვდებით ნეოპლატონიზმის ელემენტებს და ლოგიკურ ვითარებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ჯელალ ედ-დინ რუმი დიდი გავლენით სარგებლობდა ორთოდოქსალური მუსლიმანობის მიმართ გულგრილ ყიასედინზე, თამარ გურჯი-ხათუნის პირველ მეუღლეზე. რაც შეეხება ფერვანეს, გურჯი-ხათუნის მეორე ქმარს, მისთვის ჯელალ ედ-დინ რუმი ნამდვილ კერპს წარმოადგენდა. კონის დიქტატორი ფერვანე მხოლოდ რუმის წინაშე იხრიდა თავს. რუმი, როგორც ეს შეეფერებოდა სუფიური მსოფლმხედველობის პოეტსა და ჰუმანისტს, ხშირად ესარჩლებოდა უბრალო ხალხს. ერთხელ მუინედინ ფერვანეს გული მოსვლია კონის მცხოვრებლებზე, მათ ელოდათ აურაცხელი უბედურება მკაცრი ვეზირისგან და მხოლოდ პოეტის გამოქამაგბის შემდეგ დათანხმებულა იგი მოსახლეობისათვის გადასახადის შემცირებაზე. ჯელალ ედ-დინ რუმის პატარა ბარათი (ფერვანეს იგი მოწიწებით თვალზე აუფარებდა) საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხალხი აწიოკებას გადარჩენილიყო. ცნობილი მკვლევარი გორდლევსკი წერს, რომ ყოვლისშემძლე მინისტრი ალბათ იმიტომ მოიქცა ასე, რომ იგი, ვითარცა მიურიდი, მოვალე იყო სიტყვის შეუბრუნებლად აესრულებია შეინის ანუ რუმის ნება-სურვილით. ამ ვეზირის შვილებიც ყოველთვის დიდი გულისყრით უსმენდნენ ჯელალ ედ-დინის ხმას და მევლევისადმი მათ პატივისცემას საგარეულო მიღრეკილება ჰქონია. მაგრამ რუმისადმი საყოველთაო თაყვანისცემის ფონზე ყველაზე მომხიბლავია მაინც თამარ დედოფლის მეგობრობა კონის გენიალურ მეგილრთან. ყველაფრიდან ჩანს, რომ რუსუდანის ასული მდიდრად და ბრწყინვალედ ცხოვრობდა თავის კონისეულ პალატებში. ერთხელ მას ას ოთხმოცი ათასი დინარი გადაუხდია მიტანილი ძვირფასი ბადახშის საფასურად. და აი ეს დედოფალი, დიდი თამარ მეფის შვილიშვილი, ულამაზესი და ყოველმხრივ სრულქმნილი ქალი რუმის თაყვანისმცემლად და მეგობრად გვევლინება. რუმის ბიოგრაფ აფლიაკზე დაყრდნობით კონის სახელმწიფოს ისტორიკოსი ჰყება: “გურჯი-ხათუნის შვილი სულთანი კილი არსლანი ჯელალ ედ-დინ რუმს “მამად“ მოიხსენიებდა, ხოლო მისი ქართველი დედა, დედოფალი თამარი, უახლოესი მეგობარი იყო დიდი პოეტისა. სწორედ გურჯი-ხათუნის დავალებით დახატა აინუდდულებ რუმის პორტრეტები, რომელიც დედოფალს მუდამ თან დაპქნდა, როგორც პოეტის სამოსის ნაწილი“.

შეუძლებელია ამ ურთიერთობაში არ დავინახოთ დედოფლის ღრმა სულიერი კავშირი კონის ყველაზე დიად ინტელექტუალურ მნათობთან. უეჭველია, ქრისტიანი ქართველი ქალი თავისი სულიერი სიმძიმილის თანაზიარად ხდიდა მას. მოტანილი ცნობიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად მახლობელი ყოფილა სულიერად რუმი კონის მდიდარი დედოფლისათვის, რომელსაც პოეტი-მოძღვრისა და სუფი-დერგიშის ღარიბული და უხეში შალის ხალათი უმვირფასეს რელიქვიად მიუჩნევია. მთელს ამ ურთიერთობაში მშვენიერ მომენტს შეადგენს თვითონ ჯელალ ედ-დინ რუმის საპასუხო მეგობრობა თამარ დედოფალთან. იგივე აფლიაკი გვაცნობებს, რომ ჯელალ ედ-დინ რუმიც არ იყო გულგრილი გურჯი-ხათუნის მიმართ და პოეტმა კონის ქართველ დედოფალს სწორედ ის საიდუმლოებით მოცული ყვავილები აჩუქა ცეილონის სერენდიბედან, რომლითაც გურჯი-ხათუნი შემდგომში ავადმყოფებს კურნავდა...

მგზავრი

ანაკუშ მამიკუნიანი

ესე ქალაქი იკნოუმი, ძეგლითგანვე ქმული შეიგნობაროსაცნო, ფრიდ შეენიჭო არს ჰერმანიტზა. ქუჩ-
ბი და სასახლენი ნაშენი თლილითა ქვითა და გრაციფიტებს მახველსა და აქური მოქალაქენი კი დოდედ
აძაფისებ, რომე მათი ქალაქსა შენა იღვწოდეს ბრძნოთა სწორი ფილოსოფიის ფი ჯალალ ქადან რუმი,
რომელსაც პატივის მაგაზებრ ყავვლი ერთ და ბერი მისისა სხვიოსანი გონგბისა და კოლებმოვნის გულისა
გამო. ფილოსოფიის და მელექსე ფი წარჩინებული ჯელალ ქადან რუმი, რომელსაც მევლანად უხმოსენ
იკნისა და მოვლს სელჩუკმამი, არის მოპარდის სკულპტა, თუცადა სიტყვა მისი იხრახება შორის არა
ოდეგ აღაპის ძეთა, არამედ ქიისტანთა, თუდეველთა, ბერძნთა, მართია, სიმებთა, ლათინთა და სხვათა და
სხვათა, რომელი მრავლად იყენეს ქონისა და რეზმი. ხოლო ასევე თქუნი და დედოფალი სელჩუკთა თა-
მრი მოურიდა მევლანა რუმისა და ავრეოვება დადათ მევლანობს ბიბი მუნავიდეს, რომელი არს პალაცი
დედა ამთის მესტრონიესი ინ-ბიბისა. ესე ბიბი მუნავიდე გულისა მესადუმლე თქუნისა ასეველისა გურვი-
ხაორენისა დოდედ სახელოვნი მცოდნე გახლავსთ ვარსკლავთამრიცხველობისა და მასზე უბნობებ, რომე
ვარსკლავთ მკითხველობა მომეტებულად კარგად უწევს და თვით სულთანიცა და შეცრობაც მისი მუდამექმ
გეოთხებისა რჩევასა და მათობთა ამავთა ომისა წინ და მერმელიც. სიძემან თქუნმან ქაიხუსრუება მრავლად
მოსტრა დირპები ფი, საცა მზემათობი სახე ხატია ასეველისა თქუნისა თამარისი და ლომი კი უნდა ნიშავ-
დეს უძლეველსა სულთანსა და დირპები ესე მსწრავლ განივრცა მოვლს ქვეწირებაზე და თქუნისა დოდე-
ბულებისა სამეცნიერო აღმათ უკი მიმოიყენების.

აგრძელება შეუწის მოგწეროთ და გაუწიოთ, რომ ასეულსა თქვენისა და სელჩუკისა და დედოფლალს გუჯი-სათებისა, გარდამეტებულისა სიყვარულითა ეტრეიან ყოველი სელჩუკი და მდაბიურისა ხალხსაცა განსაკუთრებულის ძალით უყავართ იგი თამარი შემცირდა ბრძანებისა მისისა, რომელ გაიფლეს პური ყოველისგან გრინა-ასა შინა. რაც შეეხება მოსალოდნელსა ომსა ბიჩვა-ნოონსა და თქვენისა სიბისა საჭარა შეა, ვთარუცა თქვა, ან გარდაუცვლი არს ომი ესე. სხვაგრივ სუვერეს შშვდომა აღმოსავლეთისა რეზმისა ქუქუმაში, თუცა დაბრწოდეს წვრილწვრილი ავტაკნი, რომელთაცა მოისურვეს ამსწინებზედ განცარცუა მონისა თქვენისა სილიშითგან მომტანისა, საკუ მოგრძასხური ბორჯვალინი კლოსტერებზე თქვენისა ბრძანებისამზრდ და უკანა გზა-

ზედ კა მეცნიერნ იგნი ავაზანი გზისა მეცნიერნი. ჯერეთ გარდაუფლე მთ საბარუქელი, როგორც გვისწავლნა მძალაშოთაც და მერძედ დასარჩენი, რაც რო მომეცნიეროდნენ თანა. მოვალ შემიღობით ჯინასა და იმ ღამესა თოვლნა ისრე ძრიულ, რომე გულითა განვირდნენ ყოვლინი ჭრმნი და დიდი, რამეთუ დიდოვალობა აქ ფრიად განსაკუთრებული რამ არს. თუკა, ზამთარი მღვევ გატყდა და კვლეული მოვინილე სილიშის ბორჯვლინი, რათა გამევო, სითვო გამოიწერ ქრისტიანი ბორჯვლინი შეუფელს ანუოლასა შინა, როგორც თქუნ მიმრანებდეთ. თუკა ჯერეთ ვერ აქსენთი ესე უცნაური მოვლენა და ვრცელი განხვით კუნი ან ქალი, ვინცა გვამასუსტებდე და ავისხენიდნენ სახლუმლოსა ამსა. აფრეთვეცა გაუწყოთ მინდა, რომ მოვინილეთ ალავაპოსუქი, ოზუგთი და ამსა, საცა შემოვეურებ ვწერეთ გაჭარნი, რომელთა ქრისტიანი წინა უძლებდა მარკო პოლო - რომელიცა ჰატივითა მიღებულ იქნა თქუნისა სამეცნისა მიერ რაოდნიმესა წილისა წინეთ, როცა იგი ესწრაფელა ჩინელებისა ქუფისა ხილვასა და ახლა კა ბრუნდებოდა შინა შევღობითა მისრული მატოლიასა. მსა თანა ახლოებ ვეროპილინი ქალინი გრძლებითა კაბებითა, რომელიცა თურუ შლიდეს ნაკალევსა ქალურისა სისტემისა. იგი ვწერეთ მარკო პოლო აპირობდა კონისა გავლითა სამშობლო ქუფინისაგან მიქცევასა და გამომითხნა ამაუნი იქსურნი და მომტებულდა მკონსავდა ასულისა თქუნისა თამარისა სტურულებულსტებულობას. მერმედ იგი ვწანევით კონისა შინა, საცა მისოვდა ჩუქბასა ქრისტიანისა ჩიხისა, რომელი ნაჩუქარი არს დავითისა კაცურიმისუგან და ვერდარა დავსომე იგი ნაჩუქარი ჩიხა, რამეთუ ქრისტიანისაშის ნაჩუქარისა ჩუქბა არა ვებას. ხილო მამინ ვწერელმან ვაჭარმან მოხსნა, რო მე ვყუფი ტომთ სოსხისა და არა თქრიულისა და ქრისტიანისა წესისა დარღვეული კა ამსა გმირ მომტებულდა, თუკა მტკიცე უარზედ დავღიერ და ჩიხა ესე მანცა დავირჩინე ჩემთვინა.

აფრეთვეცა სახლუმლოდ გამცნობთ მრავალითა ზრახვისა ჩემდა მომართ, რომელთაცა სურდეთ მსახურება ჩემი მაისისა ზრახვათა და მიზნითა სასარგებლოდ, მყრამ ერთგულება მონისა თქუნისა თქუნიდა მიმართ არს უმტკიცეს და თუცალა ვყო ტომთისა სომენთისა, არა გილალატო შენ მეფეომუშვილ რუსული და ერთგულებამან ჩემმან გასხვისნის დიდებანი შენი.

ჯუზეპე კარბონე

მმაო ლუკა,

ახლა როცა ქართველთა მეცე რუსულანი მიიცვალა და გაურკვეველიც არის იბერიელთა სამეფო ტახტის მომავალი ბედი, რომელსაც, არავინ იცის, როგორ გადაწყვეტენ მონდოლ-თათართა ურდოში, ჩვენ, ვატიკანისაგან შორის მყოფ ყველა ჭეშმარიტად ქრისტიანულ მისიონერებს - დომინიკანელებსაც და ფრანჩესკანელებსაც, განსაკუთრებით გვმართებს დახმარება და ურთიერთგაგება. გარდა ამისა, კარდინალებს უკვე მიგწერეთ და თქვენც გვინდა, რომ გამცნოთ იმ დევნისა და შევიწროების შესახებ, რომელსაც საქართველოში უკვე ვგრძნობთ როგორც დომინიკანელები, ასევე ფრანჩესკანელები. არცერთს წინა რელაციონში, სადაც აღვწერეთ ამ ხალხის ზნეჩვეულებანი, არ გვითქვამს, რომ ჩვენი მტრები უკვე აშკარად მოქმედობენ ჩვენს წინააღმდეგ, რადგან იმედი გვქონდა, რომ ეს იყო ერთეული შემთხვევები ჩვენი შევიწროებისა და აღარ განმეორდებოდა. ასეთი იყო სურვილი ყოველი წევრისა საპროპაგანდო კონტრეგაციიდან, რომელიც მცირერიცხოვანია როგორც დომინიკელთა, ასევე ფრანჩესკანელთა შემადგენლობაში, მაგრამ მათი ღვაწლი უკვე საკმაოდ დიდია იმ შორმის გამო, რასაც ვეწევით ჯიუტი ქართველების ქვეყანაში. თუმცა ისინი ხშირად ისეთი კეთილნი და ლმობიერნი არიან, რომ გულით გვიკვირს. გვაკვირვებს აგრეთვე უმშვენიერესი აღნაგობისა და სახის ქართველი ქალების სამხედრო ვარჯიშიც, რომლის მსგავსი სხვა ქვეყანაში იშვიათია და არსად გვინახავს - ამხედრებულნი და შეჭურვილნი არიან არა მარტო დიდგვაროვანნი და სეფე ქალები, არამედ თავადაზნაურთა და გლეხთა წრიდან გამოსული მოხდენილი მანდილოსნებიც. გასაკვირია ისიც რომ აქ სიკვდილით დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება დამნაშავისა, თუ იგი ეკლესიას გაძარცვავს. დამნაშავე ისკება ხშირად ჯვარზე გაძვრით, ოღონდ დამით და არა დღისით და ღამე უნდა

იყოს ქარიშხლიანი და ავდრიანი. რადგან წინა რელაციონში აღგიწერეთ იბერია, ახლა მცირედ გეტეფით კოლხეთის შესახებ. ეს არის ქვეყანა, რომელზედაც ანტიკური ხანის პოეტებს აქვთ შეთხზული, რომ იაზონმა გადმოლახა ზღვა და საბერძნეთში ჩაიტანა ოქროს საწმისი. გარემონაზულობა კოლხეთისა თითქმის ოთხი ათასი სტადია; დაფარულია იმდენად ხშირი ტყით, რომ იშვიათია მაცხოვრებელი. კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთას უწოდებენ კორაქს, აღმოსავლეთითა და სამხრეთიდან მას ნახევარ წრედ ეკვრის კავკასიონი. ამ მთებიდან ფართო მდინარებად მოედინებან მუდმივად მოჩხრიალე წყლები, სხვათა შორის, სასმელად სასიამოგონი. ყველაზე დიდ მდინარეს უწოდებენ სილვის ან სტურიონს, რომელშიც საუკეთესო გემოს თვეზებია, მეორე მდინარეს კი - ფაზის, რომელიც იბერიას ჰკვეთს და ჰყოფს კოლხეთისაგან. მისი მიდამოები უმთავრესად განთქმულია ხოსტებით, რომლისაგანაც მიიღო სახელწოდება “ფაზიანუსი”, ხოლო ბუნება ყველა სიკეთეს იძლევა. აქ არსებულ ბალახებს უშესანიშნავესი თვისებები გააჩნიათ, ხშირად დიდი სურნელების გამო კი აქაურ ყვავილთა არომატი ადამიანის თავის ტკინისაგან აუტანელი ხდება ხოლმე. მარწყვის გემო ხომ ყველა-ფერს აჭარბებს. ეს მიწა უშველებელი გველებითა სავსე, ხოლო მორიელები აქ ნაკლებშნამი-ანები არიან. საწოლი ითახის მოწყობილობას შეადგენს სარეცელი ან ზანდუკი, ხის ყუთი თუ ხელოვნებით ნაკეთები სხვა რამ. ყველა ტბაში დიდი რაოდენობითა ბაყაყი და მცონი ეს იმიტომაა, რომ ეს მხარე დიდი სინესტით ხასიათდება. ძლიერი ტენიანობა მრავალ ავადმყოფობას აჩენს. სწორედ ამიტომ გვხვდება ასე ხშირად კოლხებში წყალმანკის ავადმყოფობა და ციებ-ცხელება, ასევე სხვა ავადმყოფობებიც ხშირია.

ყველაზე საჭირო საკვებს წარმოადგენს მარილი ამ მხარეში და თუ გსურს მათი კეთილგანწყობის მოპოვება, მარილი უნდა აჩუქო, მაგრამ მარილი ჩვენ იშვიათად მოგვეპოვება და იძულებულნი ვართ ლოცვითა და ჩვენი სათნოებით კეთილად განვაწყოთ ისინი პაპისა და ჭეშმარიტი ეკლესის მიმართ. თუმცა ამას ხშირად დრო სჭირდება, ჩვენ კი ზოგჯერ გადადგილება გვიწევს, რადგან აქაური დიდგვაროვანნი არ გვაძლევენ ნებას დიდხანს ვიცხოვროთ ერთ ადგილას. მიუხედავად ამისა და სხვა დაბრკოლებისა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ და ჩვენი განბანა მიიღეს მრავალმა კოლხმა და იბერიელმა, რომელიც განდობილნი, გაზიარებულნი გახდნენ წმინდა მოწესეობისა და ასეთი ნათლობით მოინათლენენ და ჩვენს მოძღვრებასაც მიენდენ. ჩვენ გვიმძიმს, მაგრამ ყოველგვარს ბოროტებას სიკეთით ვპასუხობთ, რადგან ჩვენის ღრმა რწმენით მხოლოდ სათნოებას შეუძლია ყველა ადამიანი მოიყანოს ჯვარცმის ფეხებთან და კათოლიკურ სარწმუნოებამდე, რათა შევუსრულოთ რომის უმაღლეს მღვდელმთავარს მისი სურვილი. ღმერთმა იგი ჩვენს საკეთილდღეოდ კარგად ამყოფის და დაიფაროს წმინდა ეკლესიის მტრების ყოველგვარი ბოროტებისაგან. ამასთანავე გონება გაუნათლდეს მას, მასზე მინდობილი ფარის მოსავლელად, რომ კიდევ მეტი მისიონერები გაგზავნოს ცბიერ აღმოსავლელ მტრებთან. კათოლიკური ეკლესიები წყვდიადისა და მოღალატების აჩრდილთა შორისაა, სადაც მხოლოდ დემონი ზემობს და არა ქრისტე, რომელმაც თავისი სისხლი დაღვარა ყველა-სათვის.

სისხლი აქ, ქართველთა ქვეყანაშიც ბევრი იღვრება და კიდევ ბევრი დაიღვრება, თუ ისინი ყველანი არ შეუდებიან ქრისტეს და არ მივღებ ჰეშმარიტ ეკლესიაში.

უმორჩილესად გთხოვთ რომ თუ მოიცალოთ წიგნის მოსაწერად, გვითხრათ კონიისა და სელჩუკთა ქართველი დედოფლის თამარის შესახებ, რომელსაც მუსულმანები გურჯი-ხათუნს უწოდებენ და აქ ქართველთა ქვეყნაში, დიდი თუ პატარა, ყველანი ითხოვნებას სამშობლოში და მის გამეფებას ნატრულობენ, როგორც მისი ბებიის დიდი თამარისა, რომლის მეფობის უამსაც იბერიელთა დიდება ქვეყნიერებას სწვდებოდა. რამდენიმე დიდგვაროვანმა ისიც კი მითხრა, რომ მისწერეთ წიგნი თქვენს ქრისტეს მოადგილეს რომ დაეხმაროს თურქების ქართველ დედოფალს იბერიაში დასაბრუნებლადო. შეიძლება სხვა ქავენებში დიდად გაუავირდეთ, რომ ხალხი აქ ასე მოწადინებულია ქალის გამეფების, მაგრამ ვისაც უნახავს ქართველ ქალთა ცხენით ჯირითი, მითვის მნელი არ იქნება დაიჯეროს რომ ესენი ამაზონები არიან,

რადგან ცხენზე კაცებივით სხდებიან და დააჭინებენ. ჰყავთ აგრეთვე სხვადასხვა ჯურის ბოლონის ჯიშიანი ძაღლები და აქაური ქალები ისეთ დიდ პატივში არიან, რომ კაცები ღვინოს სვამენ ქალების წინ მუხლმოყრილნი, აქაური ეპისკოპოსებიც ასევე იქცევიან. როცა ქალების წინაშე ქართველი კაცები სვამენ ღვინოს, ისინი ხშირად ჭიქების მაგიერ ფეხსაცმელს იყენებენ და ხშირად ადღეგრძელებენ ქალებს და ღვინოსაც ძალიან ბევრს სვამენ. რომიდან მათმა უმაღლესობა-უგანათლებულესობა კარდინალებმა აგრეთვე გამოთქვეს სურვილი მიეღოთ სრული ცნობები ყველაფერ იმაზე, რაც შეეხება თამაშობას ამ მხარეში და თქვენც გეტყვით, რომ ყველაზე მეტად უყვართ ცხენებით ბურთის თამაში. საქართველოში, როცა კაცს გაიცნობენ, გულკეთილობის საჩვენებლად ძღვინი და მოწყალება მიაქვთ, უფრო მეტი, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არის მიღებული. აგრეთვე უნდა გითხრათ ისიც, რომ ბერძნები ძლიერ გვებრძვიან იბერიელების ქვეყანაში - ჩვენი პატრიები აქ აშენებენ, ბერძნები კი წვავენ იმას, რასაც ჩვენი პატრიები აშენებენ, მაგრამ ჩვენი პატრიები ამაზე სულით არ ეცემიან და ყოველმხრივ ეხმარებიან ქართველებს. მაგალითად მე დავუწერ მათ არითმეტიკის წიგნი, რადგან ქართველებს ეს მეცნიერება აკლიათ. ისინი ითვლაან ხელებით, ხით, ქვით. მე კი კრიალოსანი შევუთანხმე მათ სიმძიმეს და საწყაოებს.

საქართველოს სამეფოში ყველა სახის ნადირია, განსაკუთრებით ირმები. ქართველები ძალიან ვაჟაცი ხალხია ისრის ტყორცნაში. ნანადირებზე ქეთებს აწყობენ მდელოზე. მოკლული ცხოველის თავზე ღვინის რამდენიმე წვეთს დააქცევენ ხოლმე და ამბობენ: “ასრე გამარჯვებული იყავი მე და ჩემი პატრიონი ჩემი ინტენი ფედა”, ყველა პასუხობს - ამინ. ასევე მივწერე წმინდა სამოციქულო ტახტს და თქვენც გაცნობებთ, რომ ქართველებს და ბერძნული წესის ყველა ქრისტიანს, როგორც ჩვენ რომაელ კათალიკოსებს, ორი ჯურის ბერები პყვით. მღვდლისათვის ნებადაროულია ერთი ცოლი, ხოლო ბერებს კი, რომელიც წმინდა ბასილის ყველა წესს დიდი სიმკაცრით ასრულებენ - თავიანთ მონასტერში აკრძალული აქვთ იყოლიონ მდედრობითი სქესის ყოველგვარი ბეწვიანი ცხოველი, როგორიცაა თხა, კატა და მსგავსი ცხოველები. იცვამენ სქელ ტილოს, ყოველთვის შავზოლებიან, ჟღალი ჩალის ფერს... მღვდლები ჩვენ ყოველმხრივ ცუდად გვებყრობიან, მაშინაც კი როცა მათნაირ ღმრთისმსახურებას ვასრულებთ. საწინააღმდეგოს ამბობენ და სურთ, რომ შემაცვლევინონ სარწმუნოება, მე კი პირიქით - მსურს ვიმოღვაწეო სწორედ იქ, სადაც მეტი განსაცდელია და ჩემი მხრით სიამოვნებით დავთანხმდებოდი იმ მოებში წასვლაზე ადამიანთა განსანათლებლად, სადაც სვანები ცხოვობენ, რომლებსაც არ ჰყავთ სარწმუნოების მასწავლებელი და მე იქ შემებლო ბევრი სარგებლობის მოტანა - განმენათლებინა ადამიანები და მომენათლა კათაგმეველი, სვანეთი ხომ უძველესი და უკეთილშობილესი ნაწილია კავკასიისა. თუმცა სადაც არ უნდა ვიყო მე ან სხვა ჩვენი პატრიები, ყველაგან მოჰყავთ ავადმყოფები სამკურნალოდ.

ყველაზე სასიხარულო მაინც ის არის, რომ მაღე ბაღდათში მისიონის ახალი თავშესაფარი გვექნება, ოღონდ არ აგერიოთ, რომ საქართველოშიც არის სოფელი ბაღდადი, როგორც ქალაქი ბაღდადი ბაბილონის ერაყში.

და კიდევ ერთხელ გთხოვთ რომ მომწეროთ იმ თქვენი გურჯი-ხათუნის ამბავი, რომლის ქებაც ყოველს ფეხის ნაბიჯზე გვესმის.

ვიღოცებთ თქვენთვის.

მევლანა (გურჯი-ხათუნი)

სველბედნიერის, დიდსულოვანის, ანგელოზის გარეგნობის, გულმჩქეფარის, სხივოსანის, მონათა სიამაყის, აღკვეცილთა მშვენების, ღმრთის მოწმუნის, მომავლის განმჭვრეტელის, და-

ტაკთა მფარველის ჯანმრთელობა და კეთილყოფა ადიდოს და აკურთხოს უფალმა. იმ კერპს, ვინც ბრძანა, “რომელიც მქურნებს, როცა ავად ვარ”, ვევეღრები და ვემუდარები. ალაპმა იმ ხათუნის უმწიკვლოება მარადიულჰყოს, მისი სიღიადე აღამაღლოს, თავისი ზღვარულებელი თანლმობისა და დიდსულოვნობის საგანგურიდან არგუნოს იმ სათნოს განკურნების შარბათი, და გვამის, სარწმუნოებისა და გულის სიწმინდის წამალი უწყალობოს, რადგანაც მისია სათნო არსება - ღატაკთა უახლოესი და განუყრელი მეგობარია, გაჭირვებულთა საფარველია. ის სულმოუთქმელად (ერთ წუთს რომ არ კარგავს) მის თაყვანისცემაშია, მოგზაურთ ჭეშმარიტ გზას, ყოველ ნაბიჯსა და ყოველ სუნთქვაში მართებულ გზას აჩვენებს. მათ, რაც უნარი შესწევს, დარიგებებს აძლევს, მთელი თავისი არსებით ქველმოქმედებას და მოწყალების გაღებას ეძლევა. ღმერთს მონობს. უულობის სამყაროში ღმერთს შესთხოვს და ევედრება. იგი თაყვანისცემაში ოდნავადაც ვერ იქნება დავიწყებული და დამცირებული. ის იოტისოდენ სიკეთეს მთად აქცევს. ნაკლის მთას კი იოტისოდენად აქცევს. რადგანაც მე ვბრძანე, და ხალხი არარსებობიდან საჩინო ვყავ, მათ სიცოცხლე და ჭკუა მივანიჭე. ვუწყალობე (არსებობის) საშუალებანი. მაგრამ ამ კეთილი საქმეების თუ ცუდი საქმეების თესვისას, ამ აღება-მომკის დროს, როდი ვფიქრობდი, რომ მათგან მესარგებლა და რამე მომეგო. რადგანაც მე მოგებათაგან და სარგებლობათაგან გაწმენდილი ვარ. მათ ისარგებლონ ჩემგან, ბედნიერებას ეწიონ, მარადიული ბედნიერება პქონდეთო. აი, ამ მიზეზით შევქმნი ისინი. დიდება ალაპს, და ეს მაღალი აზრები იმ ერთადერთი ხათუნისათვის განსხივოსნებულია, ყოველგვარი საფარის გარეშე (ნათლად) თვალწინ უდგას. საიქიოს ბედნიერების შესახებ ამბები, რომლებიც სხვებისთვის საეჭვო და სათუოა, მისთვის უდავო ჭეშმარიტებაა, სრული სიცხადეა.

თუ რატომ არ გწერთ წერილს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ყოველივეს და ყველაფრის რაოდენობა და ხარისხი მის ხელთაა, მისი ნებითაა. მისი ნებართვის გარეშე ერთ წუთ-საც ვერ გაატარებენ, ერთ სუნთქვასაც ვერ მოითქვამ. ეს შეუძლებელია. ხალხი განგების ზღვაში, ხომალდებივით თავბრუდახვეული ქარს აჰყოლია და გაბნეულა. შენ, ეი, ხომალდო, ამ მხარეს გადმოცურეო, უყვირე იმ ხომალდს. ხომალდი კი მინიშნებით გაუწყებს და გაპასუხობს: ჩვენ ზღვით მობერილ ნიავს ვართ აყოლილი. მარცხნივ დაუბერავს თუ მარჯვნივ, ზურგიდან დაუბერავს თუ წინიდან, მას მივყვებით. თუკი არ გჯერა მისი უმწეობა იხილე. ასიათასობით საქმე შენი სურვილის წინააღმდეგ ხდება, ვითარდება. შენი უმწეობის სარკმლიდან გაიხედე, იხილე მთელი სამყაროს უძლეურება, მოიაზრე. უმწეობის სარკმლიდან იწამე და იხილე შენი სურვილისამებრ ყველაფრის და ყოველივესთვის ძალა რომ შესწევს, მისი ძალოვანება. რადგანაც ამხედრებული ფადიშაპი ცხენს აღვირს მოქაჩავს და სასურველ მხარეს მიაბრუნებს, რათა გაიგოს, რომ მასზე ამხედრებულია ადამიანი, რომელმაც ლაგამი ამოსდო.

მარადიულად იყავ ჭეშმარიტების აღქმაში, გუამისა და ჭვრეტის სიწმინდესა და სამართლიანობაში.

ელჩინ აჭვერდი ჭუსეინ ზადე

ალაპის სახელით დავისაჯო და ჩემი სახლის კარი დაიხშოს ყველა სიკეთისათვის, აღარ ვიხილო მზის ამოსვლა და აღარ გამინათოს ლამის გზები მუპამედის მთვარემ, აღარ მომეცეს ძე და აღარ ისმინოს ღმერთმა ჩემი ლოცვები, თუ მოვიტყუო. ვფიცავ ალაპის დიდებას, რომ ვიტყვი მხოლოდ სიმართლეს, მხოლოდ ჭეშმარიტ სიტყვას, რასაც გული იცნობს და არაუერს სხვას.

ოდითგანვე ჩვენი წინაპრები ქველი ალბანეთის მიწებზე ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე გა-დასახლებულან ჩრდილოეთს სპარსეთში და იქ დამკვიდრებულან. მეც იქ დავიბადე, სპარსე-ლებს შორის და აქაც, ანატოლიაში, ყველას სპარსი ვგონივარ, თუმცა ჩვენ ძევლი ალბანელე-ბი ვართ და ჩვენი საგვარეულო საქმე აბანო იყო და ახლაც არის. ჩვენი გვარის მექისების შესახებ ყველგან სმენიათ და არა მარტო ირანსა და ანატოლიაში. ჩვენი ხელის ქება ისე შორს წავიდა, რომ იქ სპარსეთში, როგორც ხდება ხოლმე, მეშურნენი გამოგვიჩნდნენ და იმ-დენიც ქნეს, რომ იძულებულებიც გავხდით კონიაში გადმოვსახლებულიყავით. ეს აბანოც მა-შინვე აგაშენეთ ალაპის შეწევნით და მუშტარიც მაშინვე გავიჩინეთ. აქ ბევრი აბანოც მაშინვე დაგვხვდა, მაგრამ ჩვენი ქისის ამბავი ხომ ჩვენზე უკეთ აბა ვინ იცოდა სელჯუკებში და დიდ-მალი ხალხიც კმაყოფილი დაგვირჩა. ისეთი დღებიც გვქონდა, რომ მუშტარს ვეღარ ვატევ-დით ჩვენს აბანოებში და ლამისთვის ვიბარებდით ხალხსა. მთავარი ხომ ფული არ არის, მთა-ვარი სისუფთავეა და სუფთა კაცს ხომ სუფთა აზრები აწუხებს და გულიც სუფთა უხდება. ერთი საღამოც იყო, რომ დიდგვეზირი გვიწვია და ჩემი ხელები და ფეხები ისე აქო, რომ სულთანსაც აუწყა ჩვენი აბანოს ამბავი და მართლა ბედნიერება და ნამდვილი ალაპის წყალო-ბა იყო, როცა სულთანიც გვესტუმრა. წინასწარ კარისკაცები მოვიდნენ და ყველაფერი გულ-დაგულ სინჯეს და ნახეს და გაგვარეთხილეს, რომ ქაიხუსრევი მობრძანდებაო და მეორე დი-ლიდან მუშტარი არ მიგველო. ალბათ როგორ ვძულდით სულთნის აბანოს მექისებს რომ დი-დი ბატონი ჩვენთან მობრძანდებოდა თავის ამაღასთან ერთად და ტკბილულისა და ნუგბარის თადარიგი დაგვიჭირეთ. მისი საყარელი ჰალვაც ბლომად დავახვედრეთ და ხილი და სულ ახალი ქისები მოვიმარაგეთ. როცა მობრძანდა, კარებში გამოვეგბეთ და ფეხებზე ვაკოცეთ რომ ესოდენი პატივი დაგვდო ჩვენთან სტუმრობით. ასეთი მონდომებულიც არასოდეს ვყო-ფილვარ და ქისასაც ისე ვცდილობდი, როგორც არასდროს. სულთანიც დიდად კმაყოფილი დამირჩა და მეც ბედნიერი ვიყავი, რომ ღმერთმა ასეთი დღე მაჩუქა. დირჰებიც უხვად გაი-ღეს ჩემთვის მისმა კარისკაცებმა. როცა ამაღასთან ერთად წყალში ჩასხდნენ, გულით იმსია-რულეს და როგორც მახსოვს, რამდენჯერმე ნასრედინი ახსენეს. სულთანი მშვენიერს გუნება-ზე იყო და ბევრსაც ოხუნჯობდა. მისი ხმაც მთელს აბანოში ისმოდა, თუმცა მათ თავებს ვე-რა ვხედავდი, რადგან წყალს ზევით სიცხისაგან სქელი ნისლი იდგა. როცა ხმაური დაიწყო და შეკილებაც გავიგონე, სწორედ რომ ხილის მისართმევად ვიყავი გამოსული წინა ოთახებ-ში და იქ რა მოხდა, არ დამინახავს. რომც სურვილი მქონოდა, ორთქლის გამო, ვერ დავინა-ხავდი. ხოლო როცა სულთანი გამოასვენეს, აღარ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი, მაგრამ თუ მკვდარი იქნებოდა, ვერ ვიფიქრებდი, რადგან მეგონა, რომ სულთანი უბრალოდ ცუდად შეიქნა, როგორც ეს აბანოებში ხდება ხოლმე. იმ საღამოსვე დამიჭირეს და მას შემდეგ ვზი-ვარ ჩუმრის ციხის საპყრობილებში და ამაოდ ვეძებ სამართალს. ამიტომაც გწერთ თქვენ, მოწყალესა და სამართლიანს, რომ თქვენი ულირსი, მაგრამ უდანაშაულო მონა გამათავისუფ-ლოთ, რომელსაც ალაპისა და თქვენს დიდებაში აღმოხდება დარჩენილი სიცოცხლე...

ლუკა მანტოვანი

ვიცით, რომ ძლიერ დაინტერესებულნი ხართ თურქების ქართველი დედოფლის, თამარის ბედით, რომელსაც აქ, სელჯუკების სამეფოში ყველანი გურვია-ხათუნს უწოდებენ და დიდის პატივითაც მოიხსენიებენ. მისმა ქმარმა, სულთანმა გიას ედ-დინ ქაიხუსრევ მეორემ დიდალი ჯარი შეკრიბა მონღოლთა წინააღმდეგ და ქოშედაღში ბრძოლაც გაუმართა მათ, მაგრამ და-მარცხდა. ქართველები, სხვათა შორის, ორივე მხარეს გააფთრებით იბრძოდნენ. დამარცხების

შემდეგ სულთანი კონიიდან გაიქცა და, როგორც ამბობდნენ, კონსტანტინეპოლიში იმაღლებოდა; მაგრამ, იმასაც ამბობდნენ, რომ ნიკეის ბერძენმა მეფემ იოანე ვატაცმა შეიფარა ქაიხუსრევი. მალე მან ზავი დადო მონღოლებთან და კონიაში დაბრუნდა. მონღოლებს ასეთი წესი აქვთ, რომ თუ დაუზავდები, არას გერჩიან, მაგრამ სულთანმა ქაიხუსრევმა ჩუმად ისევ დაიწყო ახალი ჯარის შეკრება მონღოლთა წინააღმდეგ. ამასობაში, მონღოლთა გამარჯვებით ისარგებლა ტრაპიზონის იმპერიატორმა, აგრეთვე კილიკიის სომებთა მეფემ და ისინი განუდგნენ ქაიხუსრევის რუმის სასულთნოს. თვითონ ქაიხუსრევი კი მოულოდნელად გარდაიცვალა. იმის გამო, რომ იგი ახალგაზრდა კაცი იყო და უცაბედად კი მოკვდა, აქ მრავალი მითქმა-მოთქმა დაიწყო, თუ ვის უნდა მოეკლა სულთანი და რატომ. მრავალნი კარისკაცნი და ერთი კონიელი მექისეც კი დაატყვევეს ამის გამო, თუმცა ახლაც სიმართლე არავინ იცის; ხოლო ერთი არაბი პოეტი, რომელსაც არაბების ტრადიციით ძალიან გრძელი სახელი აქვს, უნდოდათ, სიკვდილით დაესაჯათ კონიაში, მედრესეს წინ. ეს პოეტი გადაარჩინა მისმა მასწავლებელმა - მევლანა რუმიმ, იგივე დერვიშმა ჯელალ ედ-დინმა, რომელსაც ძლიერ დიდი ავტორიტეტი აქვს მთელს კონიასა და აზიაში. იმ არაბ პოეტს მიძღვნილი პეტრია ლექსები გურჯი-ხათუნისადმი და ამიტომაც აბრალებდნენ სულთანის მოკვლას. მევლანას უთქამს, ქვეყნიერების დედოფალს (ასე უწოდებენ აქ გურჯი-ხათუნს) ყველა პოეტმა უმღერა, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მისი შშენება და ყველა პოეტს სიკვდილით ხომ არ დასჯითო. ისიც უთქამს მევლანა რუმის, რომ ვისაც არ უნახავს გურჯი-ხათუნი, ისინიც კი სწერენ ლექსებს მის სადიდებლად და თუკი ამისათვის მოკლავთ პოეტს, მაშინ პოეტი აღარც დარჩება ქვეყანაზე. ის არაბი პოეტი შეიწყნარეს და თავი არ მოკვეთეს, მაგრამ კონიაში ცხოვრება კი აუკრძალეს და ისიც არაბეთის უდაბნოებში გადაიხვეწა - ბელუინების რომელიდაც ქარავანს გაჰყავა და აქ აღარ დაბრუნებულა. აქაური წესის მიხედვით, გურჯი-ხათუნი ცოლად შეირთო ქაიხუსრევის ვეზირმა, მუსინ ედ-დინ ფერვანემ. მაშინ ხალხი იმაზე ალაპარაკდა, ვეზირის ხელი ხომ არ ურევია სულთნის სიკვდილშით. ცოტა ხანში სელჯუქების მმართველი ეს ვეზირი ფერვანე გახდა. თუმცა, ტახტზე სულთნის მემკვიდრე ქილიჩ არსლანი ავიდა, მაგრამ მალე ისიც უცაბედად მოკვდა სრულიად ყმაწვილი და მისი მოკვდინებაც ამ ფერვანეს დაბრალეს. ხმამაღლა არავინ ამბობს და ბევრი კონიაში სწორედ ასე ფიქრობენ და ვეზირ ფერვანეს კი დიდად ეშინიათ. ხმამაღლა აუგს დიდვეზირისას მხოლოდ იბერიელი ბიჭი მურზა ამბობს დაურიდებლად, რომელიც თქვენ გამოგვიგზავნეთ და ჩვენ კი მმასავით შევითარეთ კონიის მისიონში. ტრაპეზისა თუ სხვა დროს, როცა ლაპარაკი ფერვანეზე ჩამოვარდება, უცებ წამოენთება ხოლმე და ჩვენთვის გაუგებარ სამ ქართულ სიტყვას ამბობს: „მაგის ჯიში მოვტყან“, რასაც ისე ხშირად იმეორებს, რომ ზეპირადაც კი გვახსოვს, თუმცა ქართველთა ენა აქ არავის გვესმის. ქართული არ ვიცით, მაგრამ მურზა ორბელიანს ამ სიტყვების წარმოთქმისას ისეთი სახე აქვს, ადვილი მისახვედრია, კარგს არაფერს უნდა ამბობდეს ვეზირ ფერვანეზე. ჩვენ ძალიან ვშიშობთ, რომ ამ ამბავმა სამეფო კარამდე არ მიაღწიოს, რადგან დიდვეზირი კარგი თვალით უყურებს მისიონს და ამ ქართველი ბიჭის გამო, სულაც არ გვინდა, მისი კეთილგანწყობა ჩვენს მიმართ მოიშალოს. აქ, კონიაში ერთი სომხის ვაჭარი მოძრაობს, რომელიც ამ უამად ნოვგოროდის მთავარს ემსახურება, ადრე კი იბერიის მეფის ერთგული ყოფილა და ქართული ენაც მშვენივრად იცის. მას ერთხელ ვკითხეთ კიდეც ფრთხილად, ამ ჩვენი ბიჭის სიტყვები, ნეტავ რას უნდა ნიშავდესო და მხოლოდ ის გვითხრა, რომ „ჯიში“ ითარგმნება, როგორც მოდგმა და ვეზირი ფერვანე კი მოდგმით არის ოღლულარების ტრომიდან. ოღლულარები, ისევე როგორც სელჯუკები, თურქელი მოდგმის ხალხია, თუმცა ესენი სხვა ტომია და ის სომხის ვაჭარი კი მაშინ ძალიან ჩაგვაცივდა, - გინდა თუ არა ეგ სიტყვები სად გაიგონეთო და ვიზე ამბობენო; მაგრამ ჩვენ არ გავტყდით და ასე მივუგეთ, - სადღაც მოვკარით ყური შემთხვევითო და საუბარიც სხვა თემაზე გადავიტანეთ.

რაც შეეხება გურჯი-ხათუნს, სხვა კიდევ რა მოგწეროთ ისეთი, რომ ან მისი სილამაზე აღგიწეროთ, ან მისი სათნოება და გონიერება. განსხვავებით სხვა თურქი, არაბი და სპარსი

ქალებისაგან, იგი თავისი პირისახის მშვენიერებას არცა მალავს და ჩვენც რამდენჯერმე გვინახავს ბაზარსა თუ მოედანზე პირბადის გარეშე, რაც დიდად აკვირვებს აქაურ მაპმადიანებს, მაგრამ დედოფალს და თანაც ასეთ ძლიერსა და მკაცრს, ვინ გაუბედავს რაიმეს თქმას, როცა მისი ქმარი ფერვანეც მხოლოდ მას ემორჩილება და ფერვანეს კი - მთელი თურქეთის ხალხები.

ამ თურქებს ჩვენი იტალია საქართველოს სამეფოზე მეტი არა ჰეონიათ და იტალიას უწოდებენ ფრანგისტანს, საქართველოს კი გორჯისტანს ან გურჯისტანს. აქაური სავაჭროები მეტწილად სომხების ხელშია და ჩვენს გვერდითაც, სადაც რეგულარული წესის პატრიებს სახლი მოგვცეს, ერთის კილიკიელი სომხის სავაჭროა, საიდანაც ზოგჯერ უფასოდ მოგვართმევნ ხოლმე ლავაშებს. ჩვენის მხრით კი გვაინტერესებს, ქართველთა სამეფოში და კერძოდ კი აფხაზეთში თუ მართლა არის ნეტარისა და ღვთაებრივის, წმინდა ანდრია მოციქულის მიერ აგებული ეკლესია, რომლის შუაში წმინდა ზეთს ამზადებენ და იბერიის პატრიარქი კი ყველგან ავრცელებს თავის სამეფოში ამ ზეთს, ხოლო ღვთაებრივი ანდრია მოციქულის გასაოცარი სვეტის თაყვანისცემა ვერ შეანელა დროის ამაოებამ.

ჩვენის მხრივ, პასუხად თქვენი კითხვისა, კვლავაც მოგწერთ კონიის სასულთნოსა და დედოფლის გურჯი-ხათუნის ამბებს და მწუხრის ლოცვისას კი მოგიხსენიებთ ყოველსა მოღვაწესა იბერიის სამეფოში.

აბდულა ალბანი

რამეთუ მიცვალა მუფლ-შუავე ჩუნი რუსული და არღარა მწერა მსახურება სხუათა კარსა ზედ, ხოლო ქართველთა შორის არა ვერწერ ჯერეთ ვინ იქნების პატრიონი ჩუნი, წიგნსა ამსა კონიოგან მოწერილსა გვიზავნი შენ, რაღაცაც იყრნეთ ისერისა სამუშავო კარისა კრთგული დადთა აზაურთაგანი და შენ გაუწყებდე წვრილად ფავლივსა, რაცა გარდამხმობების, როგორცა ადრე მიმმწერნა მუფლმუფისა ჩუნისათვის.

უკურ იყნენ საჭროებანი ქართული, გმირ თქუმბოს რაოდენისამე თუესა გასხლო უდაბნოებსა შინა ბედუინთა ქარავნებსა და ქიმუთა შორის, სადაცა შევისწავლებით წესი და ადათნი მათნი და ქცევნი ყოველი. ლექსის როგორდა გააჭიროს რომელიც ქართულთა ტომნა, მაგრა ესე არაბთა ტომები ფრაია მოყარული არან ლექსთა, რომელთა მუჯადება ეწოდებან არაულითა ენთა და რასაცა უბრძან არანი, ხმრად ლექსთა და ამ ლექსებსა ჩამოჰყდებენ ხოლმე ფელგან და ქაბაზედაც კა. ქაბას კდლზედ ამიტომ არან მრავლინ ლექსი აფრიალებული, როგორცა თქების ქუფაში, სუკა მჯენურნი ხის ტოტებსაც აქობენ მჯენურთა გამოისობთ. რაცა ესება ენსა, არანი ტომნი მოიხმარებენ ორსა ენსა ბედუინთაფის. რომელთაგან ერთი არს ზეპირი მსილათისა ვაჭართა და ყოველდღურისა, ხოლო აქდგან მეორე ენა მაღალი, ენა პოეზისა წარჩინებულთა და მოჯენურთაფის. ვითამედ ყოველსა ქასავნა და ოზისსაც ხმრის შემთხვევაში თავისის ანანით გაეგება სამყარო იგი სიტყვათა, არაბულისა ენსა აქს სიმღერე იგი სიტყვათა მრავალუროვნებისა და მაგალითად, თქმელი აქლემი არის ათასის მნიშვნელისა, ხმალი - ხეთასისა და სხვანიცა მრავალი. აფრთვება ხმრის ფერებითა ფექრი და გმოთქმა აზრთა არაბულთა, როგორცა ესე მიღებული წესი იყოს ქართულსა მელექსებისა და ბასობაში. არაბულსა მელექსებისა შინა ასრუ ითქმის ზოგვერცა ორნი და პერნელს მნიშვნელი ერთისა მხოლოდ. მრავალიც სიტყვინ რომელი იხმარებოდეს ქართულსა მეტყველებისათვის წარმოსდგებან არაბულითგან. სელეკცია ქართული დედოფალიც, გურჯი-ხათუნიც, რომელი მოულს აღმისავლენსა და ქუქნირებაზე იწოდების შესორუსებული, რომელი არაბული სიტყვა არს და წარმოსდგება ქრისტიანული უსასვე, რომელი გარუთ არს გამოდინ და იგი ქალი დაცულ არს, ვითა გვრცხი დედისა ბედესა შინა ან ისეთსაც წმიდისა ფერისა მქონე, როგორიცა აქს სირაქლების კვრცხსა, რომლისაცა სისტერულსა ღდნაფი სიყვითლე დაჭრადეს და ქალი იგი ხილული არს ჰყანებების ქალი თავდაცული, კვრცხივით მრთელი ანუ ქლწული უსასვე, რომელი გარუთ არს გამოდინ და იგი ქალი დაცულ არს, ვითა გვრცხი დედისა ბედესა შინა ან ისეთსაც წმიდისა ფერისა მქონე, როგორიცა აქს სირაქლების კვრცხსა, რომლისაცა სისტერულსა ღდნაფი სიყვითლე დაჭრადეს და ქალი იგი ხილული არს ჰყანებების ქალი თავდაცული, როგორიცა სისტერულსა ღდნაფი სიყვითლე დაჭრადეს და ქალი იგი ხილული არს სალსა და არს შესა. თუკა ჩადროსან ქალთა ხილული ფავლი კაცისთვის დაფარულ იყოს არაბულისა თემთა შორის და ფავლი ჩადროსანი ქალი არაბისა შინა ლამბზი გრძენოს, რამეთუ კრა ჰერაცე სახესა მისსა დაფარულის

და ესე აფის ნიბილი ჩაღრისა. როგორც ჩაღროსანი ქალი არაბეთისა ქუყნასა შინა, ასევე ხმირია ვიშმაპისანი ქალი, რაცა ნიშანვდეს ქალსა, რომელსა კრტცს თუალ-მრგვალიტიანი ტყავისა სარტყელინ მხარზედა, წელზედ შეკრულნი და გამიჯნულნი ოქროს ვარაყითა. ასეთისა ვიშმაპოსანთა ქალთა სტინავთ ხანგრძლივითა ძილითა, რამეთუ არაბული დამტე გრძელი არს და ვარსკვლავიც უფრო სწრაფი არიან, ხოლო მათ, ვისკა არ გძინების ტყბილდ უდაბნოსა შინა, მათვის ვარსკვლავინ ზანტად მოძრაობდეს. თუცა ყოველი არსებანი ზანტად მოძრაობდეს უდაბნოს ქიმებსა შინა, რამეთუ სიცხე იფი საშინელი ზარძაცსა ხდიდეს ყოველსა არსებასა და ამის გამო მოგონილ არს ხუფაზის ღლუცა მაპამედანთვის, რომე იფი ალაპის შეიღი ასა დაძუნებდეს უდაბნოს ცხელისა შესა ქეშე. სიცხოთვან დამშრალითა კალაპოტთაც წყალინი მხოლოდა ზამთრის წვიმებითვის აღავსებდეს, რომელთა ყოველი არაბი ეწაფებოდეს, ვითარუა ცხენი, რომელინი უფრორე ძეგლების იუფრეს ზოგთა კაცთათვის, ვინებ ცოლნი და შეკლნი. ერთმან არაბმან ბეღუიმან, რომელმან სოქუა, რომ უდაბნოს გრძელი დამტე ჰევას გაზმორებისა უშისა გაჭიმულსა ვეფხვესა ანდა ავახსასა, მოხსრა, რომე მხედარნი უდაბნოს კენტავრსა ჰევანან, სუკა კაცნი და ცხენი ერთინი არიან და ესე ხდება მხოლოდა არაბულსა ტომთა შერის, რომელინი სწრაფი არიან, ვითარუა ქარნი გრძელთა. და არგინ უწყოდეს ხასიათი ქიმია ბეღუინთა უკო და საკუთარისა თვალითა მენახოს მრავალვერცუა თამაში იფი უდაბნოსი ფარალი, ვითარ ქიმია ქეშე ჩაფლულსა საგანსა რასმე თვალაზვეულინი პოულობდეს უკოისნი ბეღუიმი. თუცა უფრორე საყარელინ თამაში ბეღუინთა არს მაისრი აქლემთა გამოიწვარისა შეკლითა, მაგრა ყოველი არაბი კი ფრთხილობდეს და პეტრობდეს შესახებ იმა წიგნისა, სუკა ჩაწერების ყოველი ცოდვანი მათნი და მერმედ კი ცაში მოეკითხების. იმავ ბეღუინს მომთხრო ირგმა საკუთარისა შეილსა უცხრდეს ალერგითა. იმავ ბეღუინმა ირგმი შეკადნა თაუშეფარებულსა ქალთა ტახტრევნისა შეგან მჯდომისა. მაშინ ვითხუავდე მას პერტობასა მისსა და იფი ბეღუინი პოეტი მულესე გამოიდგა და რადგანცა გამცნე, რომ ვეშურებოდი რუმბულსა კონისა გასამგზავრებლად, აღმოილ რიცე იფი სასწაულებრივ შეკრიტი და გარდმომცა გურჯი-ხათუნისათვის ძღვნად და ნიშანდ პატივისცემისა სელვაკეთა დედოფლითა. ხოლო როცა ქარავნი ჩუენი შედგა ალეპოსთან შესავსებად საგზლისა ხოველსა აღ-ანდარუნისა, სისარულითა დიდითა დაცენტურე მონატრებულსა ღვინისა, რომლისა სიკეთისა გამო ესე სიღველი აღ-ანდარუნი ცონბილ არს სირელითა ქუყნასა შინა და მოულ აღმოსავლეთისა შერისკა. თუცა თექუნის ქართველთა ქუყნისა ღვინისა სიღვადესა ვერა მისწვეუბოდეს აღ-ანდარუნისა ღვინოთა ქებანი, მაგრა პირველისავე საღამოსა ფრიად ვინალისენთ. ხოლო, რა გათენდა, თავდამხმტებულმან ვერდარა მოვიძე იფი რიცენი, არაბისა მულესისავან მიცემული მისრომეცად გურჯი-ხათუნისათვის. შემდეომად, კონისა მოსვლისა და აქაურისა ამავთა ცნობისა, მშინდა ცხადი იქნა ჩემთვის, თუ რაოდენი ტანკვანი და განსაკველინი ამცონა ღმერთმა დაკარგვითა იმა საკურველთა რიცეთა, თუ მოარეთა, ესეუა მხოლოდა ღმერთმა უწყოდეს.

ფატიმა ბინთი ნასრედინი

წიგნის დაწერა პაპჩების, ხოვგა ნასრედინის შესახებ იმპტომუც შეურდა, რათა მისი ორივე ცოლის შებადლული ღრმისება და რეპუტაცია შეძლებისდაგვრად აღმედებინა და ის ჭირებიც გამექარწყობებინა, პაპჩების სიცოცხლეშეუცველებელი მრავლად რომ გაჩნდა კონაში და ზოგს კი ანდაც სკერა, რომ ხოვგა ნასრედინის გაგიგებით უცხრდა დედოფლი გურჯი-ხათუნი და სწორედ მისი სიცხარულის გამო სიცდომეა ამზენ უცხავე საქაოელს. თოქის გურჯი-ხათუნის უცხრდა თავისი ქარი ფერვანე, არ თანაუგრძობდა პაპჩების და ამის გამო გაგიერებული პაპა ნასრედინი იმდენს თეუწველობდა დედოფლის გულის მისაგებად, რომ ბოლოს სასახლეში აღარ უშემდენებ. ჯერ ერთ, გურჯი-ხათუნის თავისი ქარი ფერვანე კი არ უცხრდა, არამედ სტულდა და ამსევე ამბობს ველა ჩელებიც; ანკი როგორ შეფერებდა თავისი შეიღლის მკვლელს დედოფლი და მერუც, მეულს პატოლიასა და აღმოსავლეთში პაპსთვის ფელა სასახლის კარი ღლა იყო და მესამეც და მთავრი,

ნასრულინთ კი არ გაემზადება გურჯი-ხათუნის, არამედ პირიქით - დედოფალს პჭრნდა სიძართიში პაპჩემის მიმრთ და მევლანას მედრესებში ამის შესახებ ყველამ იცოდა. მართალია, პაპა ამის თვითონ ამობდა ხოლმე და გურჯი-ხათუნის კი არაფერი მსგავსი არავისონი დასცდენია, მაგრამ ხოვა ნასრულინი ყველაზე მეტად დაღლებლისა და მევლანა რუმბის განსაკუთრებულ ურთიერთობას განიცდიდა. მევლანა მისოვის სულიერი შეხი იყო და პაპჩემი თავის შეხესა და მოძღვარს ვრ აწყინებდა თუნდაც ულამაზესი გურჯი-ხათუნის გამო. ულამაზესი კი იყო სელვაუების ქართველი დედოფალი, მაგრამ არა მეონა, ხოვა ნასრულინის საკუთარ ცოლებზე მეტად სხვისი ცოლი მოსწონებოდა. მთუმბეტების, ბებაჩერების ნაძღვოლად ვრ დამობდა - ბებიც ხომ ძალიან ლამაზი იყო. თუმცა, ასეთი რომ ხმარად ხდებოდა ხოლმე და ახლაც ხდება, რომ კაცებს ერთი ქალი ძლიერ მოსწონთ, იმაზე ჭერას კარგავნ და სხვისისკენ გახედვაც კი აღარ სერთ. გურჯი-ხათუნიც ხომ ასე იყო - რამდენი კაცი ეტრულ კონაში თუ ფელვან, საღაც გმოჩნდებოდა, მონუსხავდა ყველას თავისი განუშერებელი ხიბლით და მტრე ეს უტვინი კაცები რაძლენ სისხლსა ღვრილზენ და რაძლენმა კიდვეაც თავი წააგო და თუ დორდა, საკოსხავიც ხომ ეს არის. განა ღირდა, რომ პაპჩემმა ოჯახი მაუწოვა და სასახლესთან ახლოს მიწა იქრავა მხოლოდ იმ მიზნით, რომ დღეში ქოთხელ მაინც დაქნასა და ისიც შორიდან, სასახლის პანზე მდგომი სევდანი დედოფალი. ამ იმ ისახნიერ ბიჭის უღირძა მდგრ წამებად, რაც მნ გადატანა გურჯი-ხათუნის გამო, როგორც ველია ჩელები აღწერს, როცა დაფარა ნამდვილი მიზეზი კონაში ცონისა სასამართლოზე და ესპერტის ეკლესიამ კი ცვცხლზე დაწევა მოუსავა ჯაღოქრიბის გამო ცმწვილ კაცს. თუმცა, ველია ჩელები ამზოს, რომ ის დასავლეთისტრიული ბიჭი სიკედლის სასწაულად გადაურჩა, იმ კვითოცას ჯერ ჩრდილოეთი გაუქცა, მტრე კი ვარაგებთან ერთად დიდი ზღვა გადალასა და უცხო მიწებზე სამუდამოდ დარჩაო; მაგრამ ქართველ დედოფალს აღბათ არც არავერი გუგუა, ისევ, როგორც იმ შეცვარებული ჭაბუკის ტანჯვის შესახებ, რომელიც საქართველოდან გამოჰქოს პრინცესას ამბლას და, სიყვარული რომ დაქმალა, სკული გამოიცვალა და ბერძნულიდან ლათინურს ტაძარში გადავიდა მისიონერად. ხოლო როცა დიდგვეზირი რომის მისიას სტუმრად ეწვია კონიაში, სადაც ის ქართველი შეფარვით მსახურობდა, ვერ მოითმინა ბედშავმა წლების დარდი და კაბის ქვეშ გადამალული ბებუთი დაარტყა მუედინ ფერვანეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოასწრო ბებუთის მოქნევა და კარისკაცებმა იქვე გაპკოჭეს. ვეზირი გადარჩა, იმ ქართველმა ბიჭმა კი მოული სიცოცხლე ტანჯვასა და ტამებაში გაატარა ანთალიის ციხეში, საიდანაც უკან არავინ დაბრუნებულა. გურჯი-ხათუნმა კი აღბათ მაშინაც ვერაფერი გაიგო, როცა ერთი არაბი პოეტი მხოლოდ იმიტომ გააძევეს კონიიდან, რომ ლექსად უძღვნა ქება დედოფალს და, რომ არა მევლანა რუმი, იმ პოეტსაც ისევე მოჰკვეთონენ თავს, როგორც მრავალს, ვისზედაც ფერვანეს ეჭვი გასჩენია და იმ დამესვე კი გაუქრიათ. განა ასეთი ქალის გამო მიატოვებდა ჩემი სახელოვანი პაპა ხოვა ნასრულინი საყვარელ ოჯახს და ხალხის სალაპარაკო გახდებოდა? მაინც გახდა ხალხის სალაპარაკო. მაშინაც ამბობდნენ თურმე და ახლაც მსმენია, რომ გურჯი-ხათუნის გამო ბოლოს გონებაც დაკარგაო, მაგრამ ტყუილია, რადგან იმასაც ამბობენ ზოგჯერ, რომ ქართველი დედოფალი მევლანა რუმის ცოლი გახდა ფერვანეს სიკვდილი შემდეგო, მაგრამ ეს ხომ აშკარა ტყუილია და მართალი რომ ყოფილიყო, ამის აღნიშვნა ევლია ჩელების არავითარ შემთხვევაში არ გამორჩებოდა.

პაპაჩემს, ხოვა ნასრულინს, დანამდვილებით ვიცი, რომ ბებიაჩემი ძლიერ უყვარდა, მაგრამ ყოველთვის მაინც მესიზმრება დედოფალის სასახლესთან - სასახლის წინ დგას და გურჯი-ხათუნის გამოჩენას ელოდება.

ბიბი მუნაჯიმე

მე შევაყვარე ვარსკვლავები ქართველ დედოფალს, როცა ის მოწყენით იჯდა ხოლმე სასახლეში და არავინ იცოდა, რა იყო მიზეზი მისი დიდი სევდისა. მას აღარ ჰყავდა არავინ, ვისაც ეტყოდა სიმართლეს და გაულებდა კარს გადარაზული გულისაკენ. თუმცა, რა იქნებოდა სიმართლე, ერთი რომ იყოს ყველასთვის, ვინც მას ეძებს. სიმართლეც იმდენია, რამდენიც ადამიანი და

მე ყოველთვის მაოცებდა გურჯი-ხათუნის დარღი - განა ისეთი რა უნდა ყოფილიყო მისი მშობლიური გურჯისტანი, რომ ამდენ ცრემლად დალვრილიყო ქვეყნიერების დელფინალი. ქართველების ქვეყანაში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ისეთი მაინც რა იყო, რომ გურჯი-ხათუნის სევდიან თვალებად ღირდა, არადა, რამდენჯერ მინახავს მერე, როცა ვარსკვლავები შევაყვარე, სასახლის ბანზე მჯდარი, უსიტყვოდ, გაუნძრევლად, ჩაფიქრებული, ვინ იცის რაზე. რას მისტიროდა, არც ვიცოდი და ვერცა ვხვდებოდი. ვიცოდი, რომ მათს ქვეყანაში, ჩვენ რასაც სოფელს ვუწოდებთ, ქალაქებს ეძახიან; რაზეც ისინი ოცნებობენ, ჩვენ თავზე საყრელად გვაქვს და ის კი მაინც გურჯისტანის გზას გასცემოდა. გურჯისტანი კი ძალიან შორს იყო და მაინც ყველაზე მეტად იმ მგზავრის ნახვა უხაროდა, ვინც ქართველთა ქვეყნიდან მოდიოდა, კონიაში შემოვლიდა, ან შემთხვევით აღმოჩნდებოდა ჩვენს ქალაქში და ყველაფერს დაწვრილებით გამოპკითხავდა - რა ხდებოდა საქართველოში, როგორ და რატომ. ბოლოს იმასაც შეეკითხებოდა გურჯისტანიდან მომავალ რომელიმე მგზავრს - ქუთაისში ზიდი თუ ააშენეს და ეს კითხვა ყველაზე მეტად მაკვირვებდა. მაკვირვებდა, რადგან ჩვენს სამეფოში იმდენი ლამაზი ზიდი იყო, რომ ვერცა ვხვდებოდი, ისეთს რა ზიდს აშენებდნენ იმ ქუთაისში, ამდენ შეკითხვად რომ ღირდა, ან ის ქუთაისც რა უნდა ყოფილიყო, როცა თავად გურჯი-ხათუნი სამყაროს ცენტრში ცხოვრობდა, როგორც ქვეყნიერების დედოფალი, ხოლო მისი ქმარი ფერვანე კი ამ ქვეყნიერებას მართავდა. მას შეეძლო ჰქონოდა ყველაფერი, რასაც მოსურვებდა, მაგრამ მას რაღაც სხვა სურდა, რაღაც განსხვავებული იმისაგან, რისი მიცემაც ქაიხუსრევს ან ფერვანეს შეეძლოთ. ერთხელ ვუთხარი კიდეც, რომ თუ ასეთი სანატრელი იყო მის-თვის გურჯისტანის მთების ზილვა, თუნდაც ერთხელ, თუნდაც ცოტა ხნით მაინც გაპყოლოდა იქრისებნ რომელიმე სამეფო ქარავანს. დედოფალს გაცინა, კი არ გაცინა, გაეღიმა და თქა მხოლოდ ერთი, ერთადერთი სიტყვა: მეშინა.

მე მეშინოდა მისი სიმარტვის და ხშირად ვაკითხავდი სასახლეში. ჩვენთანაც ვპატიუებდი დამით, როცა ცა მოწმენდილი იყო, ვარსკვლავებით სავსე და თავისი სეფე-ქალებთან ერთად გვესტურმებოდა ხოლმე მზე-დედოფალი. გურჯი-ხათუნი სამშობლოში არ დაბრუნებულა. არასოდეს უნახავს თუნდაც ერთხელ ის მიწა, რომელზეც მთელი ცხოვრება ფიქრობდა და ოცნებობდა.

მხოლოდ მაშინ, როცა მუედ-დინ ფერვანეც აღარ იყო ცოცხალი და მევლანა რუმიც უკანას-კნელ დღეებს ითვლიდა, ის კბა, რომელიც ცამეტი წლის პრინცესას კონიაში ჩამობრძანებისას ემოსა, რომალ მისიონერებს გაატანა საქართველოში. იმ ლათინულებმა, როგორც მერე შევიტყეთ, მხოლოდ ჭოროხამდე მიაღწიეს, რადგან იბრიელთა ქვეყანაში ისეთი შავი ღრუბელი ჩამოდგა, რომ ახალი მისიონერების მიღება კი არა, ის ძველებაც გამოყარეს ქართველებმა და ყველანი ჩვენი შესაფარებლები გახდნენ. აქვე, კონიაში, უკან მობრუნებულ მისიონერებს რომ შეხვდა გურჯი-ხათუნი, მეც თან ვახლდი დედოფალს და მან დაწვრილებით გამოპკითხა ყოველი აზრი, რაც კი მათ გურჯისტანის შესახებ იციდნენ. იმ სოფლის სახელიც იმიტომ დამამახსოვრდა, რომ სწორედ მისიონერებმა თქვეს, კვარიათში, ლაზებთან დავტოვეთ თქვენი სამოსი და ლაზები კი სანდო კაცს გაატანდნენ იმ თქვენს კბას სამეფო კარამდე, რადგან ჩვენ უკვე გონიოში, როგორც დაგვარწმუნეს, უცილობელი სიკედილი გველოდათ. გურჯი-ხათუნი დიდად გაანაწეონა თავისი მშობელი ქვე-ნის ამბავმა, რადგან იქ ისე არეულიყო ყველაფერი, რომ უდანაშაულო ადამიანსაც ადვილად ჰქლავდნენ და რაკი ღამეს კარგი პირი უჩანდა, ჩვენთან მიგიწვიეთ ვახშმად. ისიც ვუთხარი, რომ ცა გახსნილი იყო და იმ ვარსკვლავების დანახვაც შეიძლებოდა, მთვარიან ღამეშიც იშვიათად რომ ჩნდებიან და დედოფალმაც თანხმობა მოგვცა. სწორედ იმ ღამეს კიდევ ერთხელ ვუთხარი, რომ უცნობი ვარსკვლავისთვის მისი სახელის დარქმევა მეწადა, რათა იმ ვარსკვლავსაც ისევე გაენათებინა დამით გზააბნეულთათვის ბილიკები, როგორც თვითონ დედოფალი უნათებდა გულს და გონებას ყველას, ვისაც იგი დედოფლობდა. მას გაეღიმა და მეითხა, - ვარსკვლავებით საუბარი თუ შეიძლებაო. ასეთი რამ პირველად მესმოდა ვარსკვლავების შესახებ და ვერაფერი ვუპასუხე. მერე კი თვითონ უპასუხა თავის შეკითხვას: ალბათ შეიძლება, თუ ახლა გურჯისტანშიც ნათელი დამეა, იქაც ჩვენსაგით დგას ვინმე, ცას აჟურებს და ვარსკვლავების წაკითხვა იცის.

... ასე მიპასუხა დედოფალმა.

მე კი მეგონა, რომ ვარსკვლავებზე ყველაფერი ვიცოდი.

მგზავრი

sinamdvil eSi ra moxda aravin icis, radgan sxvadasxva wyaroebi sxvadasxva cnobebs iZI evian. murzayan orbel ma namdvil ad daartya oRuzuri bebuTi gurj i-xaTunis meore qmars, muedin fervanes. magram didveziri sikvdil s gadaurCa da murza orbel i ki anTal iis cixeSi Caamwyvdies. al baT anTal iis axl andel ma qarTvel ma damsvenebl ebma arc ician, rom iq sadac isini aseTi mondomebiT eficxebian mzes, odesRac saSini ad ewama qarTvel i Seyvarebul i.

samwuxarod, imis dadgena, cixeSi gardaicval a murza orbel i, Tu gaiqca an gaapares, ver SevZel iT. veziri fervane ki mainc mokl es, magram vin da rogor ucnobia. verc imis dadgena movaxerxeT, sel CukeTis qarTvel dedofal s Tu uyvarda iberiel i biWi da imasac xom verasodes gavigebT, rogor uyvardaT maSinCvengan gansxvavebiT...

აბუ ალ ბიკა საბით იბნ აპჰად ნაჯდ ად დინ ათ თიფლისი

როცა მევლანას მედრესეს პირველად ესტუმრა ქვეყნიერების დედოფალი, მეც იქ გახლდით. ჰო, მე იქ ვიყავი, როცა ამალასთან ერთად მობრძანდა გურჯი-ხათუნი და რუმის მოსმენა მოიწადინა. როცა სეფე-ქალები ეზოში დაითხოვა და მარტო ესაუბრა პოეტს, არ დავსწრებივარ დიალოგს - მეც სეფე-ქალებთან ერთად ველოდებოდი ეზოში ბედნიერებას, რომ კიდევ ერთხელ მეხილა გურჯი-ხათუნი - საოცრება, რომლის მსგავსი არაფერი ყოფილა, არ არის და არც იქნება. მე არ ვიცოდი, რა უპასუხა მევლანა რუმის დედოფალს, მაგრამ ვიცოდი, რომ მან იმ გურჯი პოეტის ამბავი ჰკითხა მევლანას, რომელიც ისე გაქრა და გაუჩინარდა, როგორც ეს მხოლოდ აღმოსავლეთში ხდება, მაგრამ ნეტავ იმ დღეს იქ არ ვყოფილიყვა და საერთოდ არ მენახა გურჯი-ხათუნი, იქნებ ამდენ წამებასა და ტანჯვას ჩემთვის არ მოეცალა. მაშინ არ მივხვდი, რომ ჩემი სიცოცხლე არაფრად ღირდა და არც არაფერი იყო? იქნებ ის ერთი ლექსი, გურჯი-ხათუნს რომ მივუძღვენი და თვით დედოფალს ალბათ არც წაუკითხავს, ალბათ არასოდეს უნახავს ჩემი ცრემლიანი სტროფები და ალბათ არც ის იცოდა, რომ იმ კვირა დღეს მოედანზე თავის მოსაკვეთად გამოყვანილი დერვიში მე ვიყავი, სიკვდილით მხოლოდ სიყვარულისთვის ვისჯებოდი და ბრალად კი ის მედებოდა, რომ ვეღარ გავძელი და ლექსადა ვთქვი ჩემი გულის დარდი, რომელიც დედოფლის პირველი ნახვის შემდეგ მკლავდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, გურჯი-ხათუნის დარდი მოქლავდა, თუ იმ ჯალათის ოღუზური ხმალი, ჩემს სხეულსა და სულს რომ განაშორებდა ერთი დაკვრით. მეც მშვიდად ჩამოვდე თავი სიკვდილის მოლოდინში და ჩემი სიცოცხლე ბოლო წამს სწორედ მან იხსნა, ვისაც ერთადერთს დავუთმობდი ჩემს სიცოცხლესაც და ჩემი სიცოცხლის მიზანსაც - მევლანა რუმის სიტყვამ ფერვანეს სიჯიუტე და სისასტიკეც კი გატეხა და ჯალათმაც, ხმალი კი მოიქნია, მაგრამ თავი აღარ მომკვეთა, მხოლოდ ჰაერი გააპო ოღუზურმა რკინამ. იმ ღამეს კონიის გალავანს უკანასკნელად მოვხედე, რადგან სამუდამოდ ამიკრძალეს რუმის მიწაზე დაბ-

რუსება და მაშინ არ ვიცოდი, რომ იმ ვარსკვლავს, არაბეთისკენ მიმავალ გზებს რომ მინათებდა იმ დამეს, გურჯი-ხათუნის სახელი ერქვა. ეს მერე გავიგე, რამდენიმე წლის შემდეგ, იმ ბედუინისგან, ვინც პირველმა მიამზო მევლანა რუმისა და გურჯი-ხათუნის სიყვარულის შესახებ, ვინც პირველმა მითხრა, რას ნიშნავდა ფილოსოფიური ქვა, ვინც პირველმა დამანახა არაბული უდაბნოდან გურჯი ხათუნის შორეული სამშობლო.

აბდულა ალბანი

რუმიულისა კონიასა ქალაქად მოსვლისა უამსა პირველ ყოველთა მივედით აბანოსა სპარსულსა და არა თურქულსა მოსასვენებლად სხეულისა და რა განვიბანენით, აღვიძრენით სურვილითა დიდითა მოთავსებისა ჩვენთა ქანთალთა რომელსამე პუსა შიგან, რამეთუ ქნთალნი ჩუენნი უქმად გვეტარებინა თვეების განმავლობაში უდაბნოთა შორის. ხოლო როსცა მიგმართენით ამა თხოვნითა სპარსულისა აბანოთა მმართველსა ელჩინ აპერდსა, მანცა მოგვცა რჩევა იგი სასარგებლონი, რომე უმჯობეს არს მოყვნა იმა ქალთა, რომელნი საფასურსა ითხოვდეს, რამეთუ ქალნი უფასონი და პატიოსანნი უფრორე ძვირად უჯდებოდეს კაცსა, ვირე როსციპნი ქალნი, რადგანცა ბაასსა და პატივისა მიგბასა და შემდგომ ჰალვათა მირთმევასა, უფრო მეტი დრო და დირჰემი სჭირდებოდეს და მონასა თქუენსა კი მაშინაც და ახლაც დიდად აწუხებდეს ყოფნა ქესეტად. ამადაც დაცუბალდით იმა გამოჩენილისა მექისისა ელჩინ აპერდისა რჩევასა და სიხარულითა დავეწავენით მოწყურებულსა ქალთა, რომელთაც შემდგომად აღერსთა გასრულებისა მივართმევდეთ საფასურსა სანაცვლოთ პუცთა ტკბილთაფის. ხოლო როცა კმაყოფილნი შემდგომად ვწებათაგან გათავისუფლებისა, ჩამომსხდარნი და ფუთაჩამოხეულნი ჩაის ვსომდით თურქულებსა, ელჩინ აპერდმან სთქუა, რომ თუ გონებისა სიბრიიყვნი ალამაზებდეს ქალთა, იმდენსავე ამაზინჯებდეს კაცთა; რომ კაცსა უხთება გონებანი ჭკვიანურნი. მერმედ კი იწყო გამოკითხეად ჩემთა ამბავთა, თუ საითგან მოველ და რა მიზნითა და ვითარცა ესმა მას პატრონისა ჩემისა სახელნი იბერიელთაგანი, იწყო ქებად დედოფლისა გურჯი-ხათუნისა და აგრეთვეცა ქებათაქება ქმრისა მისისა დიდვეზირისა ფერვანესი, რომე მოწყალე არს იგი ვეზირი ქართულთა მიმართ მომეტებულისა ძალითა და ფერვანე იგი ვეზირი დიდად განიხარებდეს შენსა სტუმრობასა მათსა სამეფოსა კარზედა. არღარა ვუთხარ მექისესა ცბიერსა, თუცალა მივუხთი ზრახვასა მზაკვრულთა მისთა, რაითა კვლაცა სთქუა სიტყუა ესე შეფარულნი, რომ მონა თქუენი არა ქართველისა ტომისა რაითლა უნდა ემსახუროს იბერიელთა სამეფოსა კარსა. ამადაც იყო, რომ ის ელჩინ აპერდი არა გვაჩქარებდეს ქისისა და წყლის საფასურსა, რადგანცა მოელოდეს უფრო დიდსა გასამრჯელოსა ვეზირსა ფერვანეთაგან თუ ვისმე შეიტყუებდეს მსახურებად სელჩუკთა სამეფოსი. არღარა ვუთხარ, თუცა მივართვი საფასური ყოველივესი და არცა აზრი მქონოდეს კვლაცა მისვლისა ელჩინისა აბანოსა სასამოდ. ხოლო რაიცა შეეხებდეს გურჯი-ხათუნის ანბავსა, რომელიცა თქუენი ინტერესიცა იყოს, გაუწყებდეთ ამა წიგნითა, რომ აქა კონიასა და მრთელსა რუმისასა ზედა განივრცო ხმა იგი ცრუ, თუ სელჩუკთა ქართუელმან დედოფლალმან რარიგ დააგდო საწუთრონი ამა სოფლისანი და შეიქნა გურჯი-ხათუნი წინამდოლთაგანი დერგიშთა ქალთა ორდენისა, რომელი იყოს ქალაქსა თოკატესა. თუცალა როგორცა ახლა ცხადი შეიქნეს, ესე ნათქვამი იყო სიცრუე იგი მოგონილნი და გურჯი-ხათუნი კვლაცა ბრწყინავდეს სელჩუკთა დედოფლად კონიისა სამეფოსა ზედა. ქმარი მისი კი ფერვანე მუნ კვლაცა ბატონობდეს, თუცა სულთანსა ქეიქუბადსა ეკუთვნოდეს ტახტი იგი სამართლითა სელჩუკურითა, მაგრა ესე დიდვეზირი მზაკვრობითა თვისითა უფრორე ძლიერდებოდეს. რადგანცა მეკითხებოდეთ სულთნისა ანბავთა, აქა მოვიწერო აგრეთვეცა შესახებ სულთნისა იზედინ ქეიქუბადისა მეორისა, რომელი ერთხელ მისული-

ყო მევლანა რუმისა მედრესესა თავისისა ამაღითა. ესე მევლანა რუმი, როგორცა მანათობელი ბრძნენთა ზედა, მუსაიფითა გატაცებულიყო მდაბიურსა ხალხსა შორის, რომელი სტუმრად მისულიყვნენ პოეტისა კარზედ. ხოლო სულთანი ქეიქუბად ითმენდეს საუბრისა რიგსა და ნაწყენსა ეთქვას დიდობოტისათვის, თუ როდისდა ედირსებოდეს ფურადდებასა და რჩევასა. მევლანას კი ეთქვას, თუ ვით შესძლებდეს იგი პოეტი რჩევათა მიცემასა სულთანისა გონებისათვის, რომელი მწევეში უნდა იყვნეს თვისისა ხალხსა და არა მგელი, ვითარცა იგი სულთანი აწუხებდეს ხალხსა და არათუ იცავდეს სიმშვიდესა მათსა, ძარცვავდეს მათ, ვითა მექობრენი გზათა. ქეიქუბად წამომდგარიყო და ვერა გატეხდა პასუხისა კადრებანი პოეტისათვის, რომელი იყვნეს მეუფე სიტყვათა და კვლავცა აგრძელებდეს ქადაგებასა, რომე იგი ღმერთმან სულთანისა ბედითა დაპბადოს, ხოლო იგი ქეიქუბად იქცეს სატანისა მსახურად. მევლანას სიტყვანი ახდეს, როგორცა გულისთქმანი წინასწარმეტყუელთა და ქეიქუბად დამარცხდეს ტახტზედ, ხოლო ნაცვლად მისისა ბოროტზრახვათა, ტახტი იგი სელჩუკთა სამეფოსი დარჩეს ძმასა მისსა, რომელი უფრო კეთილნი იყვნეს.

პიზელი რუსტიჩანო

არ ვიცი, ყველას ახლა რატომ გაახსენდა ეს ძველი ისტორია, მაგრამ რადგან თქვენც გაინტერესებთ და მეკითხებით, შემძლია წერილობითაც დავადასტურო ის, რაც ზეპირად უკვე მოგახსენეთ მარკო პოლოს შესახებ. გენუის ციხეში რამდენიმე თვე ნამდვილად ერთად გავატარეთ საკანში და ნამდვილად მე ვარ ის რუსტიჩანო, ვინც გონიუს ციხის საკანში ყველაფერს, რასაც მარკო პოლო ჰყვებოდა, ციხის ადმინისტრაციის დავალებით იწერდა. ვიცოდი, რომ ის იყო ვენეციელი ვაჭარი, რომელსაც მრავალი ქვეყანა მოევლო და ჩინეთამდეც კი წასულიყო. რატომ ითხოვდა ჩემგან ციხის ადმინისტრაცია მისი ამბების ჩაწერას, მე არ ვიცი და არც მიკითხავს. მითხრეს მხოლოდ, - შენ იმ კაცის თავგადასავალი კარგად ჩაიწერე და ჩვენის მხრივ კი იქნებ დროზე ადრე გაგიშვათ მშობლიურ პიზაში. უკეთესად როგორდა უნდა ჩამეწერა, რომ ახლა იმ მარკო პოლოს ნააბილს წიგნებად ჰყიდიან როგორც იმის დაწერილს და დიდი მოგზაურიც დაარქევს, მე კი არავინ მახსენებს და არც არავინ მიჯერებს, რომ ჩემი დაწერილია ეგ წიგნები და ის ვენეციელი ვაჭარი კი ზედა ნარზე იწვა არხეინად მთელი დღეები და მე კი ქვემოთ ვიჯექი და ვწერდი. ის მარკო პოლო ისე არეულად ჰყვებოდა თავის ამბებს, რომ აზრი ძლივს გამომქონდა, მაგრამ იმდენი ქვეყანა მოევლო და იმდენი ხალხი ენახა, რომ გასაკვირიც არ იყო, ყველაფერი რომ არ ახსოვდა კარგად და რაც ახსოვდა, ისიც ავიწყდებოდა. მე კი ვიჯექი და ვიწერდი. ამ საქმისთვის ხის მაგიდაც კი შემომიტანეს და თან დარიგებაც მომცეს - რაც შეიძლება ბევრი უნდა ალაპარაკო და ამიტომ შეკითხვებიც მრავლად დაუსვიო. რა უნდა მეკითხა ამდენი, ან რომელი მოსამართლე მე ვიყავი და რაც მოვიფიქრე იმ რამდენიმე თვის მანძილზე, იყო ერთადერთი შეკითხვა - რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რა მოგეწონათ განსაკუთრებით - მეთქი. თუმცა, ამის შეკითხვა არც სჭირდებოდა იმ მარკო პოლოს, რადგან, რაც არ უნდა მოეყოლა, ბოლოს მაინც ამით ამთავრებდა: რამდენი ვიარე, რამდენი ვიწვალე, რა აღარ ვნახე ამ ქვეყანაზე, მაგრამ გურჯი-ხათუნის მსგავსი არაფერი მინახავს და არცა მგონია რუმის დედოფალს ვინმე შეედრებოდესო. ასეთი რა იყო თურქული კონის დედოფალი, რომ ყოველდღე ახსენებდა მარკო პოლო, ვერც მაშინ ვხვდებოდი და ახლაც არ ვიცი.

მურზაყან ორბელიანი

უღილსმან შენმან მამასა ჩუენსა ესე წიგნი მოწერილი ანთალიისა ციხითვანი, როგორცა შენდობისა თხოვნისა წერილი გაახლო პატიებისა აჯა ჩემსგან, უკეთუ არა შესმენილ ვყავ სიტყვანი შენი და რჩევანი და მაინცა დავუტევე მამული იგი საყუარელი ჩუენი და მშობელი და სახლობა ჩუენი და მოგედი კონიასა ქალაქად სელჩუკთა, რომელი არს გაბრწყინვებული დედოფლისა გამო თამარისი, რომელსა აქა ეწოდების გურჯი-ხათუნად, თუცა ჩემისა გულისა და გონებისათვის, იგი დედოფალი მარადეამს იქნების თამარ. თამარ იყვნეს მიზეზთა მიზეზთაგანი, უკეთუ დაუტევე საგაზრდილო ჩუენი და შევეფარენი ლათინთა მისიონსა კონიასა შინა და არღარა გეტყოდე მამავ ბატონსა მართალსა სიტყვასა ოდენ ცრუსა ჟამსა განშორებისა და თუცა შენ გაპკეირდე მიზეზთა გამო, მაგრა არა მეტყოდე სიტყვათა სასტიკოთა რაოდენცა ესე იყვნეს რაობა რწმენისა და სჯულისა. ხოლო საწუთრონი ჩემნი დასჯილ იქმნა როგორცა ღირსნი ვიყავ და რადგანცა ჩემნი ზრახვანი დაფარულ ვყავ შენსგან და ამადაც ვეწამენი. ვითარცა მსურდეს თქმანი სიმართლეთა ახლადა ეგრეცა განკითხულ ვიქმნე შენსგან და არღარა მეღირსოს ხილვა მიზეზთა ჩემისა ტანჯვათა და სულიცა აღმომხოუს მუნ ამა ციხესა შიგან, საცა ვეწმებოდე დიდითა წამებითა ანთალიისა დილეგთაგან უჯურ-ღმულესსა სამისა წლითა, ხოლო ახლადა მეღირსოს სხივნი მზისა და ნათელნი დღისა, როცა ამდენისა ტანჯვათა შემდგომ ახლადა გზი ციხისა ეგზომ მაღალსა საკანსა, რომელთა სარკმლითგან მოჩანდეს იგი ზღვა მუდამეამს ლურჯნი რკინის გისოსთა შუა. ხოლო მიზეზნი ამა ჩემთა წამებათა იყვნეს წრფელი იგი სიყუარული თამარისა ბატონიშვილისა მიმართ, რომელი არა ვისურვნი გამჟღავნებათ, რამეთუ ძრიელი იყვნეს სურვილნი დედისა მისისა რუსუდანისი ქმრად მოყვანებისა უცხოთა სამეფოთა უფლისწულისა გინა ხელმწიფისა.

ამადაც არა გაცხადებულ ვქმნენ ტრფობანი ჩემნი, არამედ დაფარულითა გამიჯნურებულ-სა არა მსურდეს ქიშპობანი მამისა ჩემისა და მეფისა რუსუდანისი, რომელსაცა ფიცითა ერთგულებითა მსახურებდეს ყოველნი ორბელთა გვარნი და აგრეცა მამა ბატონი ჩუენი. ხოლო თამარ დედოფლისა დედისა დედამან დიდმან თამარმან როგორც შემუსრა სელჩუკი, ეგრეცა არღარა იყვნეს დროებანი ჩუენნი და თუ ქაიხუსრევი იგი სელჩუკთა უფლისწული, მოვიდოდეს ქუეყანასა ჩუენსა, განზრახვანიცა მქონდეს მოკვდინება მისისა საქმროსი თამარისი, რომელიცა იყვნეს ჩემისა შლეგურისა ტრფობათა მტერნი. მაგრა სელჩუკმან ქაიხუსრევმან არა ინება მოპრძანება ჩუენსა ქუეყანასა ზედა, არამედ სადედოფლოდ თამარის მიყვანება ებრძანოს მამასა მისისა სულთანსა. ხოლო მაშინ კი უღირსმან შენმან სიცრუითა მოინდომოს ლათინელთა ტაძრად მისვლა კონიისას ქალაქად, რამეთუ დარჩენოდეს მედად კვლავცა ზილვანი მიჯნურისა თვისისა, რომელი შეიქნა ცოლი სულთანისა და თუცა იყო იგი თამარი შედგომად ამისა გურჯი-ხათუნი, მაგრა არა მქონდეს ძალა სიცოცხლისა გარეშე მისისა ცქერისა თუნდა შორითგან და ამადაც ვიქეც კათოლიკე მორჩილად მუნ კონიისა ლათინთა მისიონისა. რადგანცა ვუწყოდი პატრი ჯუზეპეთგან მაშინდელისა სელჩუკთა კეთილმოპყრობანი პაპისა ეკლესისა მომართ, ხშირადცა დარბაზობანი სასახლესა შინა არა ხთებოდეს გარეშე მისიონისა პატრითა და მრავალჯერაცა მქონდეს ბეზიერებანი მისი ცქერისა, როცა მოწვეულნი სტუმარნი მიართმევდეს ძღვენთა და მოსაკითხთა სულთანსა და ცოლსა მისისა, ხოლო მზე იგი სიყუარული ჩემი, მდაბლითა თავდაკვრითა ხვთებოდეს ყოველთა მობრძანებულთა სასახლეთა შინა. თუცა მრავალჯერაცა მქონდეს სურვილნი გამჟღავნებისა, მაგრა მახსოვდეს მცნებანი ბრძენთა, ოდეს სიყუარულსა ჭეშმარიტსა მაღვა უნდა, ხოლო იგი თამარი იყო ბრძენთა სწორი შორის ქალთა, აგრეცა კაცთა და ხვთებოდეს ყოველსა ზრახვათა ჩემთა. ზრახვანი ჩემნი კი იყვნეს მხოლოდა წრფელნი, როგორსაცა ეტრფოდეს ყოველი კაცი გულითა სუფთა და არა ისურვოს ბეჭნიერებანი თვისა სხვისა უბედურებასა ზედა. უბედურებანი ჩემნი კი არა

აღიწევების არცა ამა წიგნსა შენთვის მოწერილსა, არცა სხვისა მიერ უკეთესისა კალმოსანისა თუნდა შოთასა მიერ, რამეთუ ვკვდებოდე ყოველსა დამითა ცრუმლდათხეული სიძრითოგან ტრფობისა და არა იყოს მე ხორციელი ჩემზედ უფრორე შესაბრალისი, ვისა მიჯნურსა პქონლებს წამებანი ესოდენი მიჯნურობისა გამო თვისისა. თუცა მინდოდეს მოკვდინება სულთანისა ქაიხესრევისა და არა მოვკალ; თუცა მსურდეს მოკვდინება მეორისა ქმრისა ფერვანესი და იყიცა არა მოვკალ, ხოლო მოვკალ თავი თვისი წამებითა, მაგრა ვერა შევიძელ განშორება კონიითგან, საცა იგი მზე მეგულებოდეს, რომელი ანათებდეს ყოველსა სულლირსა ქუეყანასა ზედა. ამა სინათლითა დამიბნელდეს გონებაცა ჩემი ოდეს საღამოსა ერთსა ვეზირი იგი ფერვანე სტუმრად მოვიდოდეს ჩუენისა მისიონისა პატრთა მოპატიუებითა, არა ტრაპეზად დაჯდომისა, არამედ მუსაიფთა სურვილითა და ვითარ გულმან მიგრძნოს, რომ კაცსა ესე გულბოროგსა არა უფუარდეს ცოლი თვისი თამარ გურჯი-ხათუნი, როგორცა პირველსა ქმარსა ქაიხუსრევსა და მხოლოდა სარეცელი თანა ეყოფის ჩემსა გულისა მიჯნურთან, ამა გულმან ვერდა დაითმინოს ტკივილი ესე და დანასა მასსა კაბასა ქვეშე დამალულსა ვკრავდე ფერვანესა ფერდსა ზედა. ხოლო კარისკაცნი ამალათაგანი ვეზირისა შემკრავდეს და მრავალნი დღენი მაწამებდეს საშინელითა წამებითა და მკითხავდეს თუ ვისი იყო იგი მზაკვრულნი სურვილნი ფერვანეს მოკვდინებისა, რომელი გადურჩა სიკუდილსა და თვითონაცა მაწამებდეს ბნელსა დილეგსა, რამეთუ ძრიელ სურდეს შეტყობა სახელისა იმა კაცისა, ვინცა მიბრძანებდეს ვაზირისა სიკუდილსა. რამეთუ არა იყო ასეთნი კაცნი, ხოლო იყო ქალი, რომელსა ვერა გავამჟღავნებდე სახელსა მისსა, ვეზირმან ფერვანემ ინება თავისა მოკვეთა ჩემისა ტანისათვის. მაშინ სთქეა კარისკაცმან ვეზირისა ამალითგან, რომე დანა იგი საქართველოთგან ჩემს თანა წარღებული ჰგვანდეს ბებუთსა ოღუზურსა, რაიცა ნიშნავდეს ოღუზურსა შეთქმულებასა და არა ეგების აჩქარება ჩუენი სიკუდილისა და უმჯობეს არს ტყვეობანი ჩუენი, რომელსამე ბნელსა დილეგსა. ხანჯარსა ქართულსა ფხოვითგან ნაჩუქარსა ვერა სცნობდეს თურქი და ამადცა ვიქმნე ტყუედ ანთალიის ციხესა, რომელი მოშორებით არს კონიითგან და უმჯობეს კი იყოს ჩემისა წამებისათვის ახლოით ყოფნა მიჯნურისა ქალაქად თუნდცა დილეგსა შინა. მაშინ კი იყვნეს მხოლოდცოდნე სიმართლისა ერთი, ვინცა გამოიცნოს ყველანი ზრახვანი ჩემნი მრთელსა კონიასა და სელჩუკთა ქუეყანასა ზედა, რომელმან იცოდეს გულისთქმითა თვისისა კარნაზითა მიჯნურისა წადილნი და მხოლოდა იგი მზე სცნობდეს ნამდვილსა მიზეზსა ყველივესი. ხოლო როგორცა უკვე მოგწეროს უღირსმან შენმან, ანთალიისა ბნელსა დილეგსა შინა განვასრულო სამნი წელიწადნი ტანჯვითა, რომელი არა აღიწევების და შემდგომად სამისა წლისა აღვენილ ვიქმნე ზედა საკანსა ციხესა, რომელი გარდაპყურებდეს ზღვასა და რა განვეკირდე ფრიად მოწყვლებითა სელჩუკისა კაცთაგან, მაშინ მოდარაჯემან საკისა ჩემისა, რომელი ლაზთაგანი ყოფილიყოს, ჩურჩულითა მამცნებდეს საიდუმლოსა მასსა, რომე არღა იყვნეს მუედინ ფერვანე ცოცხალთა შორის და მომკვდარიყოს სინოპსა ქალაქად. მაშინ კი აღმიძრეს ფიქრნი ტკბილზედ ტკბილნი თუ ინებოს დედოფალმან გამოხსნა ჩემი ტანჯვათაგან ანთალიისა ციხესა მჯდომისა მიჯნურისა და მოდარაჯესა ჩემისა კართა, რომელი ლაზი ყოფილიყოს, ამბისა შეტყობანი ვევედრე. ლაზი იგი დიდად განაკვირვოს თხოვნამან ჩემმან თუ უბირსა ტყუესა რა ესაქმებოდეს ქუეყნისა დედოფლისაგან, მაგრა დირკემთაცა შევპირდებოდე იმა ლაზსა და მანცა მაუწყებდეს შემდგომად მცირე ხნისა ანბავი გურჯი-ხათუნისა, რომელი წაბრძანებულიყოს კაბადუკისა, რომელი იყოს სამშობლო ქუეყანა წმიდა გიორგისა. წმიდისა გიორგისა შეწევნითა ჯერეთ ცოცხალი ვიყვე და რადგანცა ცხადი შეიქნეს ჩუენთვის თუ რად არ ხელეწიფების გურჯი-ხათუნისა ხსნა და შუელა თქუენისა შვილისა, ამადცა მოგმართავდეს ჩუენი გულისა ტანჯული ხმანი შეწევნისა შველასა თუ მურზაყან ორბელიანსა კვლავცა სცნობდეთ და აღვიარებდეთ, როგორცა შვილსა. ესეთისა კლდოვანისა ნაპირთა ხილვა მნელად თუ მოუხერხდების კაცსა, როგორსაცა კლდეზედ აშენებული იყოს ციხე ესე მიუგალნი, უცხოთათვის მსგავსი ქაჯეთისა ციხეთა. თუ მამამან ჩუენმან გარ-

დასწევიტოს დახსნა შვილისა თვისისა ტყუეობითგან ანთაღისა ციხისა და ლაშქარნი წარმოიყვანოს იბერითგან, შემოერტყას სპითა ამა ციხესა და ითაბიროს მსგავსად სამთა ტყაოსანთა, მაინც ვერა შესძლოს აღება ანთაღის ციხისა, რომელი მიუდგომელ იყოს ფრიად და ამიტომცა უმჯობეს არს საჭურჭლეთა გაცემითა მოსყიდვანი სელჩუკთა, რომელთა ძრიელ უყუარდე ოქრო და ვერცხლიცა ძირფასნი. უკეთუ არა ისურვებდეს მშობელი მამა ხსნასა თვისისა შვილისა, მაშინ აზრიცა არღარა ჰქონდეს ყოფასა ჩემსა, გავსჭრიდე რკინითა გისოსთა სარგმლისა და გარდავეშვებოდე კლდეთა ზედა ციხითგან ესოდენ მაღლისა. სიყუარულითა გეთხვებოდეს მამასა ჩუქნა შვილი შენი უღირსნი, რომელმან ვერღარა იხილოს მშობელი ქუეყანა და მზე იგი, რომელმან დასწუას გული მიჯნურისა, წამებითა გარდაცვლილისა უმაღურსა საწუთროთაგან.

აბუ ალ ბიკა საბით იბნ აპჰად ნაჯმ ად დინ ათ თიფლისი

მე მაშინ პოეტი არა ვყოფილვარ, როცა ანატოლია დავტოვე და არაბეთის ქვიშებისკენ ქარავანს გავყევი. მე ჯერ არ ვიყავი პოეტი; პოეტი იყო მევლანა რუმი, ვინც ჩემი სიცოცხლე იხსნა, როცა ერთი ლექსის გამო სიკვდილი მომისაჯა სელვუკების ვეზირმა. ის ლექსი არც წაუკითხავს გურჯი-ხათუნს, ფერვანეს ცოლს, ვისაც მივუძლვენი ტრფობის სტროფები და მაშინ კი გული დამწყდა, რომ ვისთვისაც ვკვდებოდი, მან არც კი იცოდა ჩემი ლექსის არსებობა. მერე კი მივხვდი, რომ მე მაშინ პოეტი არ ვიყავი და ლექსის სწავლა ისევე მჭირდებოდა, როგორც წყალი უდაბნოში, როცა რომელიმე არაბულს ოაზისში მუალაკებს გვითხულობდი მზის ჩასვლამდე. ვსწავლობდი მაკლუასა და კასიდებს, მარსიას და ჰიჯას, ნასიბსა და მადიჭს, ტარდებს და ხამრიებს, ვასფის და მუფახარას.

განა უკეთეს ადგილს კაცი მიაგნებდა, რომ ლექსზე ეფიქრა და პოეზიის სიბრძნე ესწავლა, ვიდრე არაბეთის ქვიშებია და მხოლოდ უდაბნოში მივხვდი, თუ რატომ არის შავი აქლემი ყველაზე ძირფასი უმამაცესი ბედუინისთვის; მივხვდი, რატომ ადარებენ ბედუინები გაზაფხულის ღრუბლებს უმანკო ქალწულებს; რად აფრიალებს ღვინის ბაირალს ლექსზე შეყვარებული სირაჯი ნიშნად იმისა, რომ ღვინო არ იყიდება; ვის უწოდებენ არაბები გაღმელ აჯამებს; რომელ ქვეყანაში ააშენეს ორამ-ზღაპარი; როდის ცოცხლდებიან მკვდრები არაბეთში, თუკი ისინი თავისი სიკვდილით არ მომკვდარან; როგორ იკარგება ადამიანის კვალი უდაბნოს ქვიშაში და რას ნიშნავს არაბისთვის ის დღე, როცა მას ხალიან ცხვარს ჩუქნიან; რამდენ ხანს გრძელდება შვიდი ყვავის სიცოცხლე; ვის ეძახიან არაბი ტომები შორეულ წინაპრებს; ვინ დამორჩილა არაბული ჯინები, მერე კუმკუმებში დამწყდია და ზღვაში გადაყარა; რა ასუქებს უდაბნოს აქლემს ყველაზე მეტად; რას ადარებენ არაბები ქალის სიარულს; რისი ჩხრიალის ხმა ისმის უდაბნოში, როცა ქარი უბერავს და ქარავანი ზანტად მიუყვება ქვიშიან ბილიკებს; როგორი მუხლები აქს სანაქებო აქლემს და რას გულისხმობს არაბი, თუკი ამბობს, რომ მან მზე დალია; ვინ გააშენა ქალაქ ბასრას ორგვლივ ჯადოსნური ბორცვები, რომელსაც ვერავინ გაივლის, სამტროდ თუ მიადგება ქალაქს; სად დაიწერა პირველი ლექსი მიტოგებული კარვის ნაშთებზე, იმ ნაშთებზე, რომელიც მინახავს - მეც რომ მინახავს და თანაც მრავალვერ, როცა ჩვენი ქარავანი ოაზისში ჩამომდგარა წყლის შესავსებად, იქ კი მხოლოდ ნაშთი დაგვხვედრია იმისა, რომ ოდესლაც აქაც ადამიანები ცხოვრობდნენ, მერე აყრილან და გადასახლებულან, ან მეზობელ თუ შორიდან მოსულ ტომებს ამოუხოცავთ, ან უბრალოდ უდაბნოდან გამქრალან ისევე, როგორც სხვები, მრავალი სხვა, ვინც უდაბნოში ქრება სრულიად უკვალოდ და ეს ალბათ უდაბნოს მთავარი თვისებაა. არსად ისე არ იგრძნობა უდაბნოს სუნი, როგორც უდაბნოში, მაგრამ არსად ისე არ ქრებიან ადამიანები როგორც უდაბნოში და

მე არ მინდოდა გავმქრალიყავი, მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ მესწავლა ზელისგულზე დაყრილ ქვიშასთან ჩურჩული, ქვიშასავით სუნთქვა და ფიქრი. მე უკვე ვიცოდი, როგორ დამტეწრა ლექსი, მაგრამ არ ვიცოდი, სად მომებებია სახლი. სახლი, რომელიც არ სჭირდება დერვიშს, მაგრამ მჭირდებოდა მე, რადგან მე დერვიში აღარ ვიყავი, ჩემი სახლი კი ვერასოდეს იქნებოდა ახლოს გურჯი-ხათუნის სასახლესთან და მაშინ გადავწყვიტე, რომ აუცილებლად ვნახავდი ქართველი დედოფლის მშობლიურ ქვეყანას. თუ გურჯი-ხათუნს არა, გურჯისტანს მაინც ვნახავდი თუნდაც იმის გასაგებად, თუ სად დაიბადა ჩემი უძედურების მთავარი მიზეზი და ჩრდილოეთით მიმავალ ქარავანს ავედევნე. მაგრამ დამავიწყდა, რომ აღმოსავლეთში დრო ნელა გადის და უდაბნოში ადამიანები არ ჩქარობენ, მზეც ზანტად მოძრაობს და კაცთათვისაც დღეები და დამეუბი აზიაში უფრო გრძელია, ვიდრე ეპროპაში. საქართველო ევროპა არ არის, მაგრამ არც აზია და სანამ არაბეთის უდაბნოებში ხეტიალს სამოცი წელი მოვანდომე, საქართველოში ექვსასი წელი გასულა და გურჯი-ხათუნის ქვეყანაში რომ ჩამოვალწიე, უკვე მეცხრამეტე საუკუნის ბოლო იყო. ქართველების უმრავლესობა მაშინ სოფლებში ცხოვრობდა და მე კი თბილისში იმიტომ დავსახლდი, რომ იქ, სეიდაბადის ძველ უბანში სპარსელებთან ერთად არაბებიც მეგულებოდნენ და არც შევმცდარვარ. თუმცა, მაშინდელს თბილისში ქართველებსაც და ათასი სხვა ჯერის ხალხსაც ადგილად შევეგუე. ისე შევეთვისე, რომ აქედან წასვლა აღარც მიფიქრია და ალბათ აქ მოვკვდები კიდეც. რატომ გეღიმებათ? არა გჯერათ, რომ ქართულის ასე კარგად სწავლა არა პოეტსაც შეუძლია, თუ ის არ გჯერათ, რომ მეცხრამეტე საუკუნიდან აქა ვცხოვრობ? არა გჯერათ? აი, ფოტოსაც გაჩვენებთ, ჩემი პირველი ფოტოა, რომელიც აქ, თბილისში გადავიღე. ახალი ჩამოსული ვიყავი, მეცხრამეტეს ბოლოა ან მეოცეს დასაწყისი, ზუსტად არც მახსოვს, მაგრამ ეს ადგილი ხომ თქვენც კარგად გეცნობათ? ხომ იცანით, რომ მე ვარ და იმ თქვენი საჯარო ბიბლიოთეკის წინ ვდგავარ. ჩემი ლეოპარდი, არაბეთიდან რომ ჩამოვიყანე, ჯერ სულ პატარაა. აი, დააკვირდით, ჯერ კიდევ ბოკვერია და ვასეირნებდი. კარგად მახსოვს, ალექსანდრეს ბალიდან გამოვდიოდი და ვხედავ, იმ თქვენი საჯაროს წინ ილია ჭავჭავაძე დგას და სურათს იღებს. ხალხიც გაჩერებულია და სიყვარულით უცექრს. მერე, რომ მოკლეს, სულ ეგ მახსენდებოდა, - ასე თუ უყვარდათ, რაღაზე მოკლეს-მეთქი. მოკლედ, მივღივარ და ჩემი პატარა ლეოპარდიც მიმყავს და ამ ამბავსაც შევესწარი: ილიას ფოტოს ულებენ და გამვლელები კი უყურებენ. ჩენც გავჩერდით. მერე ის სურათი, ილია ჭავჭავაძე რომ საჯაროს წინ დგას, ბევრჯერ მინახავს და თქვენც გექნებათ ნანახი. მაშინ ვიფიქრე, რომ ბარემ ჩვენც გადავიღებთ-მეთქი და იმ ფოტოგრაფმაც სიამოვნებით დაგვაეწი. იქ, სადაც მანამდე ილია იდგა. თუმცა, ის კი მახსოვს, რომ იმის შემდეგ დიდ-ხანს არ უცოცხლია - ცოტა ხანში მოკლეს კიდეც და მის დაკრძალვას ზღვა ხალხი დაესწრო. მეც იქ ვიყავი, იქ ვიყავი იმიტომ, რომ მაშინ, საჯარო ბიბლიოთეკის წინ ხელი ისე მე-გობრულად ჩამომართვა იმ ლამაზმა კაცმა, რომ მისი ცხედრისთვის პატივი რომ არ მიმეგო, ჩემან არც გამოდიოდა კარგად. ის ჩემი ლეიპარდის ბოკვერი კი გაიზარდა ხარფუხში და იმხელა გახდა, რომ იმის საჭმელს ძლიერ ვშოულობდი. თბილისში და საქართველოში უკვე ბოლშევიკები იყვნენ და შიმშილი და გაჭირვებაც უკვე დაწყებული იყო. ჩემთვის ვიკლებდი, რომ ლეოპარდი გამდარიყო, მაგრამ იმას რა გააძლობდა და ერთ დამეს გამეპარა კიდეც. მე კი არ გამეპარა, შიმშილსა და გაჭირვებას გაექცა. მერე ბოლშევიკებმა თათბირი ჩაატარეს და ჩემი ლეოპარდის მოსაკლავად საუკეთესო მონადირეები ჩამოიყანეს ახლომახლო სოფლებიდან - ეგ ვეფხვი უსურიულია და რომ არ მოვკლათ, ხალხს დახოცავსო. ჯერ ეს ერთი, ეგ შემოპარული უსურიული ვეფხვი კი არა, არაბეთიდან ჩამოყვანილი ჩემი ლეოპარდი იყო; მეორეც, ბოლშევიკები თუ იმაზე დარდობდნენ, რომ ჩემი ლეოპარდი ვინმეს რამეს ავნებდა, მერე თვითონ იმდენი ხალხი დახოცეს საქართველოში და ყველგან, სადაც იყვნენ, რომ ჩემი ლეოპარდი, სულ რომ შიმშილისგან ამოხდომოდა სული, მაგას არ იკადრებდა. ვინც ჩემს ლეოპარდს სოფელ დიღომთან თოფი ესროლა, ის მონადირე გვარად წიკლაური იყო და კარგად იმიტომ

დამამახსოვრდა, რომ ეგ ამავის სკოლის წიგნებშიც ჩაწერეს. მერე და მერე ზომ ფველამ გაიგო და მე კი მანამდეც ვიცოდი და ბედუინებისგანაც მსმენია უდაბნოებში ხეტიალისას, - საუკეთესო მოისარნი და ჩუბინები არიანო წიკლაურები.

იმათ ტყვიას სად წაუკიდოდა ჩემი ლეოპარდი.

ბიბი მუნაჯიმე

იმ ღამეს არავის ეძინა, არავის ეძინა მთელს კონიაში, რადგან ჩვენი სულიერი ბატონი უკანასკნელ წუთებს ითვლიდა თავისი მშვენიერი სიცოცხლისა და ჩვენ გვსურდა, მისი უკანასკნელი ამოსუნთქვის ხმაც გაგვევო. მევლანა რუმის პატივსაცემად იმ ღამეს ყველა ქარავან-სარაი ლია იყო და ადამიანები სველი თვალებით ქუჩაში იდგნენ. ისინი ელოდებოდნენ ბოლო წამს, მუედინის ხმას მთავარი მინარეთიდან, რომელიც დიდი გლოვის დაღომას აუწყებდა ქვეყანას და როცა ეს ხმაც გაისმა, ათასობით ადამიანის ხმაც გაისმა, ათასობით ადამიანით აივსო კონიის ქუჩები. ისინი ტიროდნენ: ქალები, კაცები და ბავშვები, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები, მდიდრები და ღარიბები - ყველას სურდა უკანასკნელად შეხებოდა სუფის, ასე ნაცნობსა და ძვირფასს ყველასთვის, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც უნახავს დიდი პოეტი და შეიხი ჯელალ ედ დინ რუმი. ის აღარ იყო ცოცხალი და ათასობით ადამიანს სურდა გაეცილებინა იგი უკანასკნელ გზაზე, რომელიც ულამაზესი ფარდაგებით იყო მოფენილი, სახლების აივნებზე გადმოკიდებულ ხალიჩებზე კი პოეტის ლექსები ამოექარგათ კონიელ ქალებს და სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ქვაფენილზე დაცემული ცრემლების ხმა არღვევდა. ჯელალ ედ-ზინს ჩვენებური, ისლამური წესებით კრძალავდნენ, მაგრამ პროცესიას ქრისტენებიც მიჰყვებოდნენ და ოუდეველებიც, წარმართებიც და ცეცხლთაყვანისმცემლებიც, თურქებიც, არაბებიც, სპარსელებიც, ბერძენებიც, სომხებიც.

სულთანი ფერვანე სასახლის წინ, თავის ამაღლასთან ერთად შეეგება სამგლოვიარო პროცესიას. ის არ იყო ნამდვილი სულთანი. სამეფო ტახტი გურჯი-ხათუნის შვილს ეკუთვნოდა, მაგრამ სელჯუქების ანატოლია ფერვანეს დარჩა ქაიხუსრევის შემდეგ და იგი იდგა, როგორც მშრაძანებელი. მშრაძანებელი, რომელმაც იცოდა, რომ მისი სიკვდილი არავის ააცრემლებდა იმ ქვეყანაში, რომელსაც მართავდა. ალბათ ეს თუ იფიქრა იმ წუთს, როდესაც პროცესის დაშლა პრძანა და როცა მოულოდნელად ხალხის დარბევა დაიწყეს, ადამიანები მიხვდნენ, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ხალხისთვის პოეტის წართმევა მოინდომეს. ისინი მიჩვეულები იყვნენ ძარცვას და სისასტიკეს, მაგრამ პირველად ხდებოდა, რომ პოეტს ართმევდნენ; პოეტს. რომელიც ხალხს ეკუთვნოდა.

და როცა ხალხმა გოდებით ჰყითხა მას, თუ რით დაიმსახურეს მისი რისხვა, ფერვანემ თქვა: თქვენი ამირთა ფადიშაპი ვერასოდეს შეეგუება იმას, რომ მართლმორწმუნე მუსლიმებთან ერთად თავის შეიხს კრძალავენ ქრისტიანები და ოუდეველები - ისინი, ვისი გულიც დახშულია ალაპის სადიდებლად!.. მაშინ კი უთხრა ხალხმა ვეზირ ფერვანეს, ვინც თავის სულთანს უწოდებდა: როგორც მზე ანათებს მთელს ქვეყნიერებას, ასევე ჯელალ ედ-დინ რუმის ჭეშმარიტება და სიბრძნე ანათებდა ყველა ხალხის გულებსა და გონებას. მზე ზომ ყველას ეკუთვნის და მისი ჩაქრობაც ზომ ყველას ერთნაირად აატირებს ამ მიწაზე, სადაც არ უნდა ლოცულობდეს იგი - მეჩეთში თუ ეკლესიაში და აი, ტირიან კიდეც.

მაშინ ფერვანე უფრო განრისხდა, რადგან ვიღაცამ პურსაც შეადარა პოეტი, რომელიც ყველას სჭირდება და მაშინ კი ალბათ საბოლოოდ დარწმუნდა ვეზირი, რომ არათუ სხვა რწმენის ადამიანი, არცერთი მუსულმანთაგანი არ იტირებდა მის სიკვდილს და არავინ გააცილებდა მის ცხედარს ცრემლით და გოდებით უკანასკნელ გზაზე.

... და მაშინ ვეზირი გახდა უფრო სასტიკი, ვიდრე რომელიმე მბრძანებელი, ვისაც საკუ-
თარი ხალხის სისხლი ოდესმე დაუღვრია და კონის მოფარდაგბული ქუჩები წითლად შეი-
ღება მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს პოეტი უყვარდათ. მაგრამ ის, ვისაც ყველაზე მეტად
უყვარდა ჯელალ ედ-დინ რუმი, პოეტის დაკრძალვას არ დასწრებია. იმ დღეს გურჯი-ხათუნი
სასახლიდან არც გამოსულა.

ჯუზეპე კარბონე

დიდად გაგვახარა თქვენმა წერილმა და აგრეთვე იმან, რომ პაპის განკარგულებით წმინ-
და კონგრეგაციის მიერ გამოგზავნილი სანოვაგე და აუცილებლობანი კონსტანტინეპოლის გა-
მოვლით ანაკლიაში მივიღეთ, სადაც ჩვენმა პატრიმა ხომალდიდან ნავებში გადმოტვირთეს
ყოველივე და ნავებით ამოუყვნენ მდინარეს ჩვენს განახლებულ სადგომამდე. სანოვაგესა და
კონგრეგაციის ძღვენს ჩამოყვა ფრანგების ქვეყნიდან ერთი უცნაური კაცი, რომელსაც ეწადა
ნოეს კიდობანის ნახვა და ჩვენ ავუჩხენით, რომ ნოეს კიდობანი სომხეთის მთებშია და ჩვენს
იქაურ მისიონში გავისტუმრეთ. ქართველებმაც დაუდასტურეს, რომ ნოეს კიდობანი დანამდვი-
ლებით სომხეთშია და ღმერთმაც მშვიდობაში მოახმაროთ. ახლა ქართველები დაზავებულნი
არიან მონგოლებთან და ომიანობის დროს კი მთებისკენ იხიზნებიან ხოლმე თავისი ქონებით.
ამჟამად მთელს იბერიულთა ქვეყანაში მშვიდობა კი არის, მაგრამ შეიძლება ეს დროებითი
იყოს და თანაც მშვიდობა ძლიერ აძაბუნებთ ხოლმე მათ და როცა არ ომობენ, ნამდვილს
ღვინის ტრიუმფს მოაწყობენ ხოლმე ყველგან და ვერც გრძნობენ, როგორ ემსგავსებიან წესე-
ბითა და ჩვევებით მონგოლებს, ვისაც მტრებს კი ეძახიან, მაგრამ პირადულის კეთილდღეობის
გამო ხშირად ივიწყებენ ზნესა და სინდისს. ამიტომაც, ძალიან მნელია ჩვენთვის აქ მოღვაწე-
ობა და მისიის ასრულება და ამიტომაც გვიხარია, რომ ქუთაისის ახლოს, სოფელ ილორში
ჩვენმა პატრიმა ბევრი ხალხი მოვნათლეთ გასულს კვირაში. წიგნის მოწერაც ამიტომ დამიგ-
ვიანდა, თანაც კონის სამეფოსკენ წამომსვლელიც არ გამოჩნდა, ვინც არ შეუშინდებოდა
გზებზე ჩასაფრებულ ყაჩად ქალებს, რომლებიც როგორც კი ხელსაყრელ დროს იხელთებენ,
გამოდიან და ძარცვავენ კეთილ მგზავრებს და უფრო სასტიკი არიან, ვიდრე ყაჩაღი კაცები.
ამიტომაც ველოდებოდით დიდ ქარავანს, რომელსაც იცავენ და ამდენ აქლემს ასე ადვილად
არავინ უთმობს გზის ყაჩაღებს.

ქართველებს არა აქვთ პიკარა ანუ პური, რომელიც აქვთ მხოლოდ აღმოსავლეთ იბერია-
ში, ამითი განსხვავდებიან ამერ და იმერ ქართველები. დამწერლობა კი საერთო აქვთ და მათი
ანბანი შედგება ცხოველმყოფელი ასოებისა და ფიგურებისგან და მათი უწმინდესი ანბანი აღე-
ბულია ქრისტეს წყლულებიდან. აქ უწმვენიერესი ასოები და ფიგურებია, მთლად ახალი და
ძალიან მახვილგონივრული. თითოეული ასოს სიცოცხლე და ცხოველმყოფელობა მთლიანობის
ჰარმონიაშია, კავშირის შედეგად კი სრულყოფა; ხოლო თითოეული ასო ისე იწერება, როგო-
რადაც გამოთქმას ამ ბერებს ხალხი და ეს ანბანი უფრო უხვია სხვებთან შედარებით. ეს
არის მეტად ტკბილი ანბანი წინადადების, უწმინდეს ჯვარცმაზე ლოცვისა და სხვა ყველაფ-
რისათვის. ანტიკური ებრაული ანბანის გამომგონებელია მოსე, ებრაული ანბანი გამოიგონა
ეზდრამ, ეგვიპტური ასოების გამომგონებელია დედოფლი იზისი, ლათინური ანბანის გამომ-
გონებელია ნიკოსტრატა კარმენტა, ხოლო ქართული ანბანი არა ჰერაკლეს ადამიანის გამოგონე-
ბულს და შემდეგში აუცილებლად გადმოვიწერ, გამოგიგზავნით და თქვენც ნახავთ, რომ იგი
უმშვენიერეს პატარა ბაღსა ჰერაკლეს. სარეზიდენციო ადგილები კი, რომელიც გვიბობა ქართველ-
თა მეფემ, შემდეგია: ლანჩხუთი, სუორი, ჩიჩერი, წინანდალი, რასიდი, ჯურულეთი, ჯიმერეთი,
სიტიგვე, ოქონა, დირბი, ატასი, წალვერი, ცაგოლი, ბრეთი, არადეთი, პირზა, დომოსო, ნაბეჭ-
ტევი, გუგული, კოდი და კორნიჩი. მაგრამ, მიუხედავად სამეფო კარის მფარველობისა, ქარ-

თველების ქვეყანაში მრავალი პრობლემა გვაქვს, როგორც ადრეც გწერდით. ბერძენთა ჩაგონებების გამო, ქართველები ბოლომდე არ გვენდობიან. ხშირია ლამაზი ქალებისა და ყმაწვილი გოგოების მოგზავნა ჩვენთან საკუთხებლად და შესამოწმებლად და როცა ჩვენ არ ვღალატობთ აღთქმასა და ფიცს, მაშინ გვიგონებენ, თითქოს საჭურისები ვიყოთ და ამიტომაც არ ვმრუშობთ მშვენიერ ქართველ ქალებთან.

ბედნიერია ის, ვინც წითელ ქალს ისურვებს, რადგან ნათლად კიაფობს მასში საპატიო სათნოება, - ასე მითხვა ერთმა აქაურმა პოეტმა.

ამ წიგნის გარდა, ერთი წიგნი გავასრულე გუშინ რომში გასაგზავნი და უავგუსტესს შემდეგი სიტყვებით მივმართე: რომაელი მღვდელთმთავრის სარწმუნოების ყავარჯენი მოციქულებრივი სენატით და სამღვდელო სახელმწიფოთი შენს კეთილშობილებას სთხოვენ, რომ მორჩილმა და ზეციური საქმის მოსურნე ხალხმა ღვთიური შუქით გაანიყიეროს კეთილდღეობის ნაყოფი და სამედო და სანატრელი ნათესი აღმოაცენოს მრავალ სამეფოში და მათ შორის კი იბერიელთა ძველისძველ მიწაზე. ეს ხალხიც უძველესია და უკვე საცმაოდ ბევრი მათგანი დავხატე და თუ ოდესმე ნახავთ მათ სახეებს, დიდად დაგწყდებათ გული, თუ ისინი არ აღიარებენ ჭეშმარიტ ეკლესიას და ჩვენი შრომა და ღვაწლიც ფუჭი აღმოჩნდება.

არავითარი ეჭვი არაა და, რა თქმა უნდა, სინამდვილეა, რომ აღმოსავლეთის მეფეებთან შედარებით, მსოფლიოში ქართველთა ანუ იბერიის მეფეები, როგორც ამას აღიარებს სხვა ხალხიც, შთამომავალია დავითისა, იესეს, სოლომონისაგან, მე ზემოთქმული ვაჟის დავითისა. ეს მტკიცდება არა მხოლოდ მრავალი ტრადიციით, არამედ სხვაგვარადაც, მაგრამ ჯერ არ ჰყოლიათ ქართველებს მეფე, რომელიც სრულიად მიატოვებს თავის მრუდე ჰერეზიას, მტკიცედ აღიარებს კათოლიკურ სარწმუნოებას და მსასოფელი გახდება რომის წმინდა ეკლესიისა. ამის გამოა, რომ იბერიის სამეფოს ხალხიც ჩავარდნილია სულის ცდომილებაში ბერძნების, პატრიარქებისა და, აგრეთვე, სასულიერო პირების მიზეზით. ამიტომაც ვთხოვე კიდევ ერთხელ მღვდელთმთავარს, რომ კიდევ რამდენიმე მშრომელი პატრი გამოგზავნოს საქართველოს ვენახში, რომელიც ქურდულად დაიკავეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც საკუთარი მოსაგალი არა გააჩნიათ რა. მე კი იმ ადამიანებზე ვტირი, რომლებიც ჩვენი ქრისტეს დროშისათვის შეუპოვარნი და ძალიან მამაცნი მებრძოლნი იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ. საქართველოს იმ მიწას ვტირი, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო და კვნესის ქაოსად გადაქცეულა. მე საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, აღთქმული წმინდა ქვეყნა და ქრისტეს მიმბაძველი იყო, ახლა კი ტაძრის საძოვარზე ნარ-ეკალი გაზრდილა. იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვენიერება განანათლეს, ახლა კი სიბერისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა, სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია.

მონლოლებმა და სხვა ბარბაროსებმა ცეცხლითა და მახვილით ვერაფერი დააკლეს ქართველების ფიზიკურ არსებობასა და თავისუფლებას, მაგრამ სულიერად ისინი ისე გატეხეს, რომ ვერც კი მიხვდნენ ეს ამაყი იბერიელები, რომ მათი ძლიერება მათს ღირსებაში იყო, რომელიც დაკარგეს და მეც ამიტომ ვტირი. ვტირი საქართველოს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ჩემი სატრიფო იყო და თუ მალე აქედანაც გამოგვაძევებენ, მე ის მაინც მეყვარება როგორც ძველი, დაუგიწყარი და ულამაზესი სატრიფო, რომლისთვისაც მუდამ ვილოცებ და თქვენც ამასვე შეგთხოვთ.

აბდულა ალბანი

აგრეთვეცა გაუწყებდეთ ამა მოწერილითა წიგნითა დედოფლისა გურჯი-ხათუნის სურვილსა ეკლესიათა აგებისა კაბადუკიასა და სხვაგანცა, სადა მშენებლობანი ტაძართა უკვე გასრულებულნი არს და თუცა ფრიად უკვირდეს სელჩუკთა და განარისხებდეს ყოველთა მო-

პამედიანთა ქცევანი გურჯი-ხათუნისა, ვერა ძე ხორციელთა უბედავდეს აღკრძალვასა ეკლესი-ათა შენებისა და ერთი იმათგანი საკუთარისა თვალითა ვიზილენით იპლარას ხეობასა მდებარე მდინარისა პირად ფრიად შუენიერი და წარმტაცი. იგი საყდარი მოხატულნი მრავალითა თქუ-ენისა წმიდათა მოწამეთა სახელებითა, განაციფრებს ყოველთა მნახველსა და იწოდების გი-ორგი დიდოწამეთა და მომხატველნიცა იყვნეს დია ოსტატნი და გაწაფულნი საქმესა ამას. ესე ყოველი შუენიერებანი იპლარას ხეობისანი კაპალუკიასა ვიზილენით საკუთარისა თუალი-თა და ჩუმისა სიხარულითა გავიხარენით. თუცა ესე ანბავი ეკლესიათა აგებისა ადრეცა გა-უწყეთ, მაგრა მსურდეს აგრეთვეცა ტყობინება იმა უცნაურობათა, რომელი ვერვინცა ამოხსნას ჯეროვნად და არავინ უწყოდეს ჭეშმარიტი იგი სიმართლე შესახებ გურჯი-ხათუნისა, რომელი შემდგომად ტაძართა აშენებისა, გამქრალ იყოს უკვალოდ და დიდი არს მწუხარება ამისა გა-მო კონისა და მთელს სელჩუკთა ქუეყანასა ზედა. ერთნი ამბობდეს, რომ უკანასკნელთა იგი სინოპისა საზღვარზედ უნახავსთ, ხოლო მეორენი ანთალიისა ზღვათა უბნობდეს და სხვანიცა კიდევ სხვათა და სხვათა ადგილთა იმოწმებდეს, თუცა ნამდვილი საყოფელი კი არავინდა იცოდეს დედოფლისა თუ დედოფლალყოფილისა, თუ მან არღარა ისურვოს კონისა განმგებლო-ბა. უკეთუ ისურვა გურჯი-ხათუნმან კვლავცა ზიღვა სამშობლო იბერიისა, თქუენ უთუოდ გე-უწყებოდათ და წიგნი ჩემნი არღარა დაგჭირდებოდესთ შეტყობად მისისა ანბავთა. თუ უკუ მეცნოს გურჯი-ხათუნისა ბედისა გზანი და არღარა იყოს უჩინარნი სამყოფელნი მისნი, მოგ-წერდეს ყოველივესა მსახური თქუენისა დიდებულებისა წრფელისა გულითა, როგორცა აქა-მომდე გემსახურებოდეს ერთგულებითა.

ბიბი მუნაჯიმე

მევლანას სიკვდილის შემდეგ ის გაქრა. გაქრა ისე, როგორც ქრებიან ხოლმე ცაში ვარ-სკვლავები და მე მისი ძებნა არ დამიწყია. თუმცა, ეძებდნენ ყველანი და ყველგან, მაგრამ ვერსად მიაგნეს და მხოლოდ ის დაადგინეს, რომ უკანასკნელად კონიიდან სამხრეთით, იმ უც-ნაურ კლდეებთან ნახეს, სადაც ქართული მზეა გამოსახული. არავინ იცის, როდის და როგორ გაჩნდა ეს ფიგურები აქ, როცა საქართველო ასე შორსაა ჩვენი ქვეყნიდან. მე კი ამ ფიგურე-ბის ამბავი სწორედ მისგან მახსოვდა, სწორედ გურჯი-ხათუნისგან ვიცოდი, რომ ეს ძველის-ძველი ქართული მზე იყო: ბევრი მზე ერთად და ისეთები, როგორიც მხოლოდ გურჯების ქვე-ყანაშია.

მე არ დამიწყია მისი ძებნა, რადგან ვიცოდი, რომ მას გაქრობა სურდა, ვიცოდი, რომ წავიდა ისე, როგორც ოდესლაც ავტორი იმ წიგნისა, საქართველოდან რომ ჩამოიტანა დედო-ფალმა და ყველაზე ხშირად მაშინ კითხულობდა, როცა ძალიან უჭირდა. მისი გაჭირვება იყო ის, რის შესახებ მხოლოდ მან იცოდა. რადაც სხვა, შორეული და მხოლოდ მისთვის ნაცნობი ტკივილი. მე არ დამიწყია მისი ძებნა, რადგან მანამდე უცნობ ვარსკვლავს, რომელსაც გურ-ჯი-ხათუნის სახელი დავარქვი, ყოველთვის იოლად ვპოულობდი ცაზე, როცა ღამე იყო წენა-რი და მე ძალიან მენატრებოდა ჩემი დედოფლალი. გაივლის კიდევ მრავალი წელიწადი და ადა-მიანი ისეთ მანქანასაც მოიგონებს, რომელშიც გაიხედავს და ნებისმიერ ვარსკვლავს მოძებნის, მაგრამ მაშინაც, ბევრი გრძელი წელიწადის მერეც, მაინც იქნება ცაზე ისეთი ვარსკვლავი, რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახავ, თუ იგი ძალიან, ძალიან გიყვარს, როგორც მე მიყვარდა გურჯი-ხათუნი, რომელსაც ყოველთვის ვხედავდი კონის ცაზე და რომელიც ისეთი ლამაზი იყო, როგორც არაფერი ამქვეყნად - არც მიწაზე და არც ცაზე...

ვარსკვლავი, რომელსაც გურჯი-ხათუნი ჰქვია...

ნეტავ გურჯების ცაზეც თუ ჩანს ჩემი ვარსკვლავი, ნეტავ ქართველების ქვეყნიდანაც თუ ასე ლამაზია გურვი-ხათუნი.

სულეიმან დერიდა ოღლი (თბილისელი, მეოდნელი მექისე)

აი, ამ ოთახში ცხოვრობდა, ჩემის მეზობლად. ლექსებსა წერდა არაბულად. ჯანზე კი იყო და უცებ მოკვდა - ჩემმა ცოლმა იყვირა, რო ცუდათ არიო და შეველი და ვარსკვლავს ვეღარა ვხედამო, - მეუბნება. ცოტა უცნაური კაცი იყო და მეც აღარ უთხარი, რო დღისით, მზისით ვარსკვლავს როგორ დაინახამ-მეთქი და იმან კიდე მითხრა, რომაო, ერთი ბიჭი უნდა მოვიდესო და მთავარი ანბავი უნდა მოუყვეო. მე უთხარი, არ შეშინდე, ექმის დაუძახებ-მეთქი და არ გათავდა? თვალები მე დაუხუჭე. ეგ შიიტი იყო, მაგრამ ჩვენ სუნიტები ვართ და ჩვენებურათ დაგმარხეთ მზის ჩასვლამდე. როდის იყო ეგა? გუშინ. თქვენ გელოდებოდათ? მერე გუშინ მოსულიყავი შე დალოცვილო, ყველგან როგორ იგვიანებთ ეს ქართველები, სულ ჩქარობთ და მაინც სუ იგვიანებთ. ჩვენთან შემობრძანდით, ჩაი დალიეთ და მერე წახვალ. ჩაის არა? თუ გეჩქარება? რა უნდა გითხრათ აბუზე - ჩვენ ვეძახდით პაპა აბუს, თორე ისე ძალიან გრძელი სახელი ჰქონდა. არაბებში ეგრეა. მაგან ცოტა ტფუილები კი იცოდა, მაგრამ ისე კი კაი კაცი იყო და აქ, უბანში ყველას უყვარდა. მაგას კიდე კატა ჰყავდა ერთი და გიუდებოდა იმ კატაზე, ლეოპარდს ეძახდა, მაგრამ ერთ დღეს გეეპარა ის კატა და ძალიან იდარდა. საერთოდაც დარდიანი კაცი იყო. უკეთ მიღიხარო? მიბძანდებით? აბა, კარქათ იყვით და სუ კაი ამბავში შევხვედროდით. მაინც რას დარდობდა? ყველაფერს დარდობდა, ერთი თქვენებური ქალი ჰყავარებია და იმასა დარდობდა. თამარი ერქვა, ძან ლამაზი იყო და ისე გაქრა, რო საფლავიც არა აქვსო. თვითონ მაგისი საფლავი სად არი? აქ არი, ჩვენი, მუსულმანების სასაფლაოზე დაგმარხეთ. როგორ არ გაჩვენებთ. რო არ გეჩქარებოდეთ, ეხლაც წამოგყვებოდით. გეჩქარებათ? კი ბატონო, გუშინ კი გაგასწროთ, მაგრამ ეხლა სადღა გაგასწრებთ. როცა მოხვალთ, აი, ამ ფანჯარაზე მომიკუნეთ, სახლში თუ არ ვიყვე, ქვემოთ, აბანოში დერიდა იკითხეთ და დამიძახებენ. ქისა გიყვართ? მაშ, ერთი კაი ქისა ჩემზე იყოს.